

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ნათია აბაშიძე

პარონიმული ატრაქცია და
მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა
ფრანგულ და ქართულ ენებში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან ჯაში

ბათუმი-2012

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. პარონიმთა თეორიული საფუძვლების კვლევა, მათი ლინგვისტური აღწერა	
1.1 პარონიმია, როგორც ემოციური ზემოქმედების სტილისტური საშუალება	10
1.2. პარონიმია - მეტყველების კულტურის შემადგენელი ნაწილი	22
1.3. პარონიმების ორმხრივი ფონეტიკურ-სემანტიკური დაახლოება მათი აღრევისა და კონტამინაციის თავიდან აცილების მიზნით	27
1.4. პარონიმთა ეტიმოლოგია მათი მნიშვნელობის მოტივირებაში; პარონიმია და ხალხური ეტიმოლოგიის სიტყვები	28
დასკვნები I თავის მიხედვით	35
თავი II. პარონიმთა ლექსიკურ-სემანტიკური მახასიათებლები და მათი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ასპექტები ფრანგულ და ქართულ ენებში	
2.1. პარონიმთა ინტერფერენციის სემიოტიკური ასპექტები	38
2.2. ლექსიკურ პარონიმთა დიფერენციაცია მათი ვალენტობის მიხედვით	40
2.3. პარონიმია და მისი კავშირი მონათესავე ლექსიკურ კატეგორიებთან: პარონიმია და ომონიმია, პარონიმია და სინონიმია, პარონიმია და ანტონიმია	44
2.4. ენათშორისი პარონიმები. ინტერფერენციულ პარონიმთა აღრევა	50
2.5. კორელაციური ტიპის ინტერფერენციულ პარონიმთა სტრუქტურული დახასიათება	57
დასკვნები II თავის მიხედვით	60
თავი III. ლექსიკურ პარონიმთა წარმოქმნის გზები ფრანგულ და ქართულ ენებში	
3.1. სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური შეფერილობის შეცვლის გზით წარმოქმნილი პარონიმები	62
3.2. წარმოქმნილ სახელთა პარონიმები, პარონიმთა მორფემული სტრუქტურა	64
3.3. ნასესხები სიტყვებისაგან წარმოქმნილი პარონიმები	71
3.4. ფრაზეოლოგიური და სინტაქსური პარონიმები; მათი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები	74

3.5. პარონიმთა სემასიოლოგიური ანალიზი _____	78
დასკვნები III თავის მიხედვით _____	85

თავი IV. პარონიმთა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური დახასიათება ფრანგულ და ქართულ ენებში

4.1. პარონიმია და მისი კავშირი მონათესავე სტილისტურ საშუალებებთან _____	86
4.2. პარონიმულ წყვილთა ფუნქციურ-სემანტიკური კავშირი; ლექსიკური ინტერფერენცია _____	96
4.3. სინონიმური პარონიმები ფრანგულ ენაში _____	99
4.4. კონტაქტური პარონიმები ფრანგულ ენაში _____	107
4.5. დისტანციური პარონიმები ფრანგულ ენაში _____	109
დასკვნები IV თავის მიხედვით _____	113

თავი V. პარონიმთა ტიპოლოგია ქართულ ენაში

5.1. სინონიმური პარონიმები ქართულ ენაში _____	115
5.2. კონტაქტური პარონიმები ქართულ ენაში _____	117
5.3. დისტინქტური პარონიმები ქართულ ენაში _____	120
5.4. პარონიმთა ტიპების შეპირისპირებითი კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში	122
დასკვნები _____	128
ბიბლიოგრაფია _____	134
დანართი _____	143

შესავალი

წინამდებარე დისერტაციაში „პარონიმული ატრაქცია და მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში“ განვიხილავთ ენაში არსებულ მსგავსი ჟღერადობის მქონე ლექსემებს, რომლებიც თანამედროვე ენათმეცნიერებაში პარონიმების სახელით არის ცნობილი. ლექსემათა სემანტიკის სფეროს კვლევა სიტყვათშორის აზრობრივ კავშირებს მოიცავს. იგი ხანგრძლივი და საინტერესო კვლევის პროცესია, თუმცა ჟღერადობის მსგავსების ფენომენი, რომელიც მხოლოდ ომონიმას არ გულისხმობს, ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ არის შესწავლილი. პარონიმია, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა მეტყველებაში მნიშვნელობებს შორის არსებულ განსხვავებას. მათი აღრევა კი ფონეტიკური სიახლოვით არის განპირობებული.

პარონიმია ბერძნულად *παρωνυμία* „ახლო მდებარე, მსგავს სიტყვებს ნიშნავს“ (ჰინარი, 1989:313), პარონიმული ატრაქცია კი (ლათ. *attractio* მიზიდულობა) სიტყვათა დაწყვილებაა ფონეტიკურ-სემანტიკური ასოციაციების მიხედვით.

პარონიმია პარადიგმატული მიმართებების წიაღში ისახება და ვერბალურ კომუნიკაციაში ვლინდება, სადაც ხშირად აღმნიშვნელის როლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღსანიშნის. აღნიშნულ სემანტთა კვაზი-იდენტურობა და სემანტიკური სხვაობა ხაზს უსვამს ამ ფენომენის ბინარულ სტრუქტურასა და ფუნქციურ თავისებურებებს.

პარონიმია იმ ენობრივ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა არსებობის საფუძველს ქმნის ენობრივ ნიშანთა აზრობრივ-ფორმობრივი ურთიერთქმედება. სიტყვათა ეს კატეგორია ხასიათდება როგორც საერთო, ისე ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნებით. პარონიმის ფენომენით დაინტერესებული ლინგვისტები სხვადასხვაგვარ დეფინიციას გვთავაზობენ, რაც აიხსნება ამ მოვლენის რთული ბუნებითა და ბოლომდე შეუსწავლელი ასპექტებით.

ის განსხვავებული სახელწოდებებითაც კი მოიხსენიება ლინგვისტთა შრომებში: “პარონიმული ატრაქცია”, “ჰეტეროფემია”, “კვაზიომონიმია”, “ხალხური ეტიმოლოგია”. ასეთი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ არსებობს ერთიანი მიდგომა პარონიმის ფენომენისადმი. ენათმეცნიერები ამ კატეგორიაში შემავალ სიტყვათა აუცილებელ პირობად ფორმალურ ნიშანს (გამოხატულების პლანი – ფონეტიკური სიახლოვე) მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისით პარონიმები განისაზღვრება, როგორც მსგავსი, მაგრამ არაიდენტური სიტყვები.

ჯერ კიდევ ჟან ბასტენი პარონიმთა განსაზღვრებაში პრიორიტეტად ფორმალურ ნიშანს მიიჩნევდა: *“სიტყვები პარონიმებად მიიჩნევა, როცა მათ გააჩნიათ ურთიერთმსგავსება წარმოთქმაში”* (ბასტენი 1987:35). აღმნიშვნელებს შორის ურთიერთქმედების საფუძველს მათი ჰომოგენურობა (ურთიერთმსგავსება) ქმნის. საკომუნიკაციო აქტების შესწავლაზე ორიენტირებული თანამედროვე ლინგვისტიკისთვის, ვფიქრობ საინტერესო იქნება ახლებური კუთხით განვიხილოთ პარონიმია. მას მივანიჭოთ ახალი, კონტექსტუალური “ინტეგრატორის” როლი კომუნიკაციაში.

პარონიმის ფენომენის მეცნიერული შესწავლა მოითხოვს იმ პრობლემების გადახედვასა და ახლებური კუთხით წარმოდგენას, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერების ღერძს წარმოაგენს: ლექსიკური მნიშვნელობა, კორელაცია, ინტერფერენცია, ენა და მეტყველება, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება, ენობრივი ნიშნის თეორია, ადამიანის ფაქტორი ენაში, შიდაენობრივი და გარეენობრივი მოვლენები, სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები. ამგვარად, ამ მოვლენის შესწავლა ლინგვისტურ ფაქტორთა ინტერაქციებს, პრობლემის ექსტრალინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ანალიზს, სემასიოლოგიურ და შეპირისპირებით კვლევებს ექვემდებარება, რაც მყარი საფუძველია იმისა, რომ მეცნიერული კვლევა წავმართოთ ინტერდისციპლინარული მიმართულებით.

კვლევის მიზანია:

- განვაზოგადოთ და გავაანალიზოთ პარონიმიის პრობლემის მეცნიერული გამოცდილების შედეგად მიღებული კონცეფციები, რის საფუძველზეც ვაწარმოებთ ინტერფერენციული პარონიმების კვლევას, შევიმუშავებთ პარონიმიის მეტ-ნაკლებად სრულყოფილ დეფინიციას.
- დავადგინოთ აღნიშნულ სემანტიკა აღრევის სპეციფიკა და ფსიქოლინგვისტური საფუძვლები.
- განვსაზღვროთ პარონიმიის ადგილი მონათესავე ლექსიკურ კატეგორიებთან (სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები) მიმართებაში.
- დავადგინოთ პარონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები, მათი მეტყველებაში ფუნქციონირების თავისებურებები.
- გამოვყოთ ფრანგული და ქართული ენების კორელაციური ლექსემები და დავადგინოთ ნორმატიული თარგმნითი ეკვივალენტები.

პარონიმთა ფუნქციონირება სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციაში (ზეპირმეტყველება, ლიტერატურა, პოეზია) ცხადყოფს, რომ საჭიროა სიღრმისეულად გავიაზროთ ენაში არსებული კონცეპტები და დღემდე მათთვის მიკუთვნებულ პერიფერიულ ადგილს ჩაენაცვლოს ენის ცენტრალური ადგილი.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს სხვადასხვა ოჯახის ენებს შორის წარმოებულ კვლევაში.

1) ეს პირველი ნაშრომია ქართული და ფრანგული ენების პარონიმთა შეპირისპირებითი კვლევის თვალსაზრისით. გამოვყოფთ იმ მსგავსებასა და განსხვავებას, რაც თანამჟღერ სიტყვათფორმებში იკვეთება: ფრანგულ და ქართულ ენებში არსებული პარონიმთა ტიპები, მათი სემანტიკურ-ფუნქციური თავისებურებები, სტილისტიკური ვარიაციები.

2) ახლებურად განვიხილავთ პარონიმიის ფენომენს, წარმოვაჩინოთ მის კომუნიკაციურ ფუნქციებს, ლექსემათა ნორმატიული თუ არანორმატიული გამოყენების შემთხვევებს, ვიკვლევთ პარონიმული ატრაქციის გზით წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულებს, განვიხილავთ ფრანგულ და ქართულ ენებში არსებულ მსგავსფუძიან ლექსემებს (კორელატებს).

3) ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ასევე ხსენებული სეგმენტის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმაში განხილვა და პარონიმთა სემასიოლოგიური ანალიზი.

პრობლემის აქტუალობა. პარონიმის კვლევის სფერო იმდენად მრავალფეროვანია, რომ საშუალება გვძლევს ეს ენობრივი მოვლენა სხვადასხვა ჭრილში განვიხილოთ, დავადგინოთ მისი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, კომუნიკაციური ასპექტები, პარონიმული ატრაქციის, ხალხური ეტიმოლოგიის გზით შექმნილი ლექსიკური ერთეულები, სახელდების პრინციპები, გავაანალიზოთ ის ლექსიკური პროცესები, რომელსაც განიცდის და რომლის საფუძველზეც არსებობს ყოველი სიტყვა. პარონიმის ფენომენის სიღრმისეული შესწავლა მეტყველების კულტურას ემსახურება, რაც ხასიათდება კომუნიკაციური მიზანშეწონილობით, სიზუსტითა და ლოგიკურობით, გამომხატველობითი მრავალფეროვნებით.

პოეზიასა და, ზოგადად ლიტერატურაში, პარონიმია მდიდარ ნიადაგს ქმნის კალამბურის, ქარაგმების, აფორიზმების, პარონომაზიული თქმებისა და ანდაზების შესაქმნელად. პარონიმთა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება წარმოშვას სალიტერატურო კაზუსები, აზრობრივი შეცდომები, ორაზროვანება, და საერთო ჯამში, არასწორი მეტყველება. აქვე განვიხილავთ ენათშორის პარონიმებს ე.წ. “ცრუ მეგობრებს”. ნაშრომის აქტუალობა განისაზღვრება სამეტყველო ნორმისა და მეტყველების კულტურის ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში შესწავლით. ამასთანავე აქტუალურია პარონიმების ფუნქციონირების სპეციფიკის შესწავლა ინდივიდის ცნობიერებაში ე.წ. "მენტალურ ლექსიკონში." აქვე მოცემულია პარონიმის პრობლემის სემანტიკური დასაბუთება.

საკვლევი მასალა. პარონიმების ლექსიკოგრაფიული აღწერილობა ლექსიკონებში რთული ენობრივი მოვლენის სახელით არის ცნობილი. პარონიმული აღრევის პრობლემებს ყურადღება მიაპყრეს ლინგვისტებმა შ. ბალიმ, ა. ეოშმა, მ. რამ, რ. ჟორჟენმა, მ. გრევისმა, ჟ. ტეჰმა.

ნორმატიულ და არანორმატიულ სიტყვათა გამოყენება შეისწავლება მშობლიური ენის ენათმეცნიერებაში, სადაც ის კანონზომიერად უკავშირდება ლიტერატურული ენისა და სტილის შესწავლას.

ამ მხრივ საყურადღებოა ა. პეშკოვსკის ნაშრომი, რომელიც მოგვიწოდებს შევისწავლოთ არამართო “ლიტერატურული”, არამედ ენის “ობიექტური” ნორმები. უშუალოდ პარონიმის პრობლემას ეხება ა. პეშკოვსკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენათმეცნიერება განიხილავს *“ენის ცხოვრების ერთ-ერთ საკმაოდ ზოგად და რთულ აღრევის პროცესს”* (პეშკოვსკი, 1925:64).

პარონიმის პრობლემატურობას ეძღვნება რ. ბუდაგოვის, ტ. პონომარენკოს, ი. კუზნეცოვასა და სხვათა ნაშრომები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსული ენის პირველი პარონიმული ლექსიკონი თბილისში გამოიცა 1971 წელს. ქართული ენის პარონიმის ლექსიკონი შ. აფრიდონიძის, თ. ვაშაკიძის, ვ. მალრაძის, თ. ტეტელოშვილის, თ. ღვინაძისა და ნ. ჯორბენაძის ავტორობით გამოვიდა 2011 წელს. ქართული ენის პარონიმთა ემპირიული აღწერისას სწორედ ამ ლექსიკონს ვყვრდნობით. ეს საკითხი ფრაგმენტულად აქვთ განხილული ა. არაბულს, ს. ომიადესა და თ. ღვინაძეს.

კვლევის მეთოდოლოგია. მეცნიერული კვლევა ეყრდნობა შედარებით-შეპირისპირებით მეთოდებს, სალექსიკონო სტატიების ანალიზისა და პარონიმის დეფინიციის ანალიზის მეთოდებს, სემასიოლოგიურ მეთოდს და ასევე ექსპერიმენტირების მეთოდს (რომელსაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ).

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან, რომელიც 156 ერთეულითაა წარმოდგენილი. ნაშრომს ბოლოში ერთვის დანართი ცხრილებისა და წინადადებებში ჩასმული მაგალითების სახით. ნაშრომი მოიცავს 158 ნაბეჭდ გვერდს.

თეორიული დირეზიონები. ნაშრომში განხილული კონცეფციები სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგენს ენის შესწავლის პრობლემას და თავისი წვლილი შეაქვს ლექსიკოლოგიაში, შეპირისპირებით-შედარებით ტიპოლოგიაში, ენათა კონტაქტებისა და ინტერფერენციის თეორიებში, რაც ერთგვარ ფუნდამენტს

წარმოადგენს ენობრივი ნიშნების ურთიერთქმედებისა და ასიმეტრიული ბუნების გამოსავლენად.

პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში განხილული მასალა და მიღებული შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც

- დამხმარე /დამატებითი მასალა პარონიმის პრობლემის შემდგომი კვლევისთვის;
- მთარგმნელობითი მუშაობის ოპტიმიზაციისათვის ორენოვანი ან პარონიმული ლექსიკონების შესაქმნელად;
- როგორც პრაქტიკული ან თეორიული კურსის სალექციო მასალა ლექსიკოლოგიაში, შეპირისპირებით ენათმეცნიერებაში, სემიოტიკასა და სტუდენტთა მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებში.

ნაშრომში გამოყენებული შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი გზას უხსნის ენათშორისი ლექსიკოლოგიური და მორფოლოგიური ინტერფერენციის შემდგომ შესწავლას.

თავი I. პარონიმთა თეორიული საფუძვლების კვლევა, მათი ლინგვისტური აღწერა პარონიმია, როგორც ემოციური ზემოქმედების სტილისტიკური საშუალება

პარონიმის ფენომენი რამდენიმე საუკუნეა იზიდავს მკვლევართა ყურადღებას. ანტიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული მის მიმართ ინტერესი არ განელეზულა, თუმცა ერთიანი აზრი ამ მოვლენის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. პარონიმის ენობრივი ფაქტები მე-17 საუკუნეში შეინიშნება, მაშინ როცა თავად ტერმინი “პარონიმი”, “პარონიმია” აღიარებას პოულობს მხოლოდ XIX საუკუნეში.

ტერმინი “პარონიმი” არისტოტელეს ეკუთვნის. სწორედ ის გვაძლევს პარონიმის შესახებ პირველ განსაზღვრებას. მისი განსაზღვრებით, პარონიმები ის სიტყვებია, რომელთაგანაც ერთ-ერთი იწარმოება მეორისაგან ფლექსიით. პლატონი მას წმინდა გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნევს. ამდენად, მამაცი - სიმამაცი, გრამატიკა – გრამატიკოსი მისთვის პარონიმებია (გროტი 1973:57).

ჟ. ოუენის მოსაზრებით, საკითხის ამგვარი გადაჭრა საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ პლატონისეული ინტერპრეტაცია ბერძნული ენის თავისებურებიდან გამომდინარეობს (ოუენი, 1989:74), თუმცა პლატონის „კატეგორიებში“ წარმოდგენილი განსაზღვრება მთლად უსაფუძვლო არ არის. ენაში მრავლად გვხვდება პრეფიქსაციითა და სუფიქსაციით ნაწარმოები პარონიმები: *abjurer / adjurer* (უარყოფა, განდგომა/შეფიცვა, ვედრება) სადაც ab/ad ლათინური ენიდან შემოსული საპირისპირო მნიშვნელობის მაწარმოებელი პრეფიქსებია. მსგავსი მაგალითია *importation / exportation* (იმპორტი / ექსპორტი), *émigrant / immigrant* (ემიგრანტი / იმიგრანტი).

სიტყვათა პარონიმული ურთიერთქმედება ლექსიკურ ერთეულთა პარადიგმატული მიმართებების ერთ-ერთ გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ენობრივი სისტემის ლექსიკურ-სემანტიკური თვითმყოფადობისათვის. ბოლო ათწლეულის ენათმეცნიერულ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ენობრივ მოვლენას, თუმცა პარონიმის პრობლემურობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი. უფრო მეტიც, არ არსებობს პარონიმის შეჯერებული დეფინიცია.

პირველ რიგში უნდა გამოვყოთ პარონიმის დეფინიციის ორი ინტერპრეტაცია: ფართო და ვიწრო გაგება. ლინგვისტთა ნაწილი პარონიმის ერთდროულად აკუთვნებს ერთი ფუძის თუ სხვადასხვა ფუძის მქონე ლექსემებს (ბალი, 1955:83; მარუზო, 1960:202; ახმანოვა, 1969:313; კუზნეცოვა, 1977:95; შანსკი, 1981:220). ამ ინტერპრეტაციის მიხედვით პარონიმია სხვა ლესიკური კატეგორიების თანაზიარი მოვლენა (პარონომაზია, ომონიმია). წინამდებარე ნაშრომში ასევე განვიხილავთ ერთფუძიან პარონიმულ ერთეულებს (ბელჩიკოვი, პანუშევა, 1994:3-4; პანომარენკო, 1970:3-10; ვიშნიაკოვა, 1974:9; გორკინსკი, 1978:35; ფონიმა, 1990:129). მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პარონიმის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი მოვლენის განხილვა. ერთნი (პეშკოვსკი, 1959:88; ვიშნიაკოვა, 1974:76) ფიქრობენ, რომ პარონიმია სინონიმის, ომონიმისა და ანტონიმის მსგავსი ენობრივი მოვლენა, მეორენი კი პარონიმის დამოუკიდებელ კატეგორიად გამოყოფას ნაადრევად მიიჩნევენ. განსხვავებული ფუძის მქონე სიტყვათა თანაარსებობას “პარონიმული ატრაქციას” უწოდებენ. ლინგვისტური ტერმინოლოგიის ლექსიკონში პარონიმები შემდეგნაირადაა განმარტებული: *„სიტყვები, რომელთა ჟღერადობის მსგავსება და მორფემული შემადგენლობის ნაწილობრივი დამთხვევა ან მცდარად გამოიყენება მეტყველებაში ან კიდევ მას იყენებენ კალამბურის შესაქმნელად”* (ახმანოვა, 1966:131).

ი. სტეპანოვი მიიჩნევს, რომ პარონიმია, ომონიმისა და სინონიმის შუალედური მოვლენა. მისი აზრით პარონიმული წყვილი ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. იდენტური ნაწილის ზღვარი მოცემული უნდა იყოს პრეფიქსში, სუფიქსში, ფუძესა და დაბოლოებაში; 2. უნდა არსებობდეს მნიშვნელობათა მსგავსება. აქედან გამომდინარე, სტეპანოვისთვის “*პარონიმის გამოხატულების ასპექტი ემყარება სიტყვის ფონეტიკური შემადგენლობის მსგავსებას*” (სტეპანოვი 1975:36). ის სიღრმისეულად განიხილავს პარონიმის, თუმცა უფრო ღირებული მისთვის საერთო სემანტიკური კავშირის მქონე პარონიმებია.

პარონიმის ლექსიკონის ავტორები ამ მოვლენას განსაზღვრავენ როგორც “ერთფუძიან სიტყვებს, რომლებიც ერთი და იმავე მეტყველების ნაწილითაა გამოხატული” (ბელჩიკოვი, პანიუშევა, 1994:5). მაგალითად:

ადრესატი / ადრესანტი

ჰუმანური / ჰუმანიტარული

დრამატული / დრამატურგიული

odoriférant / odorant - პოეტ. კეთილსურნელოვანი / სურნელოვანი

onduleux / ondulé - პოეტ. ტალღოვანი / ტალღისებრი, ტალღოვანი

ა. არაბული პარონიმებს ასე განსაზღვრავს: „პარონიმებს უწოდებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ფორმოზრივად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რაც მიზეზი ხდება ადრევისა – ისინი გაუმართლებლად ურთიერთმონაცვლეობენ ზეპირი თუ წერიტი მეტყველების დროს. აქედან გამომდინარე, პარონიმის საფუძველი არ შეიძლება მხოლოდ ორი სიტყვის გარეგნული მსგავსება იყოს; ამისათვის აუცილებელია მათ შორის ადრევის შემთხვევებიც დასტურდებოდეს, მაგალითად სიტყვები ქარი და ქორი მხოლოდ ერთი ხმოვნით განსხვავდება, მაგრამ ისინი პარონიმებს არ წარმოადგენენ, რამდენადაც მათი ურთიერთმონაცვლეობა შეუძლებელია” (არაბული, 2008:226).

ზოგი ენათმეცნიერი პარონიმთა კლასიფიკაციაში ორ ტიპს მოიაზრებს: ნამდვილი პარონიმები, რომლებსაც საერთო ფუძე აქვს და ფსევდო პარონიმები, რომლებსაც სხვადასხვა ფუძე აქვს. განხილული მასალის საფუძველზე იკვეთება პარონიმთა შემდეგი ძირითადი ნიშნები. ესენია:

1. მსგავსი ჟღერადობა;
2. ერთფუძიანი ან მსგავსფუძიანი ლექსემები (ერთფუძიანი ლექსემების არსებობისას აღინიშნება დერივაციული წარმოება).
3. უმეტესწილად ერთი და იმავე მეტყველების ნაწილითაა გამოხატული, ან განსხვავებული გრამატიკული კატეგორიები გააჩნია;
4. აქვს საერთო ეტიმოლოგია, ან საერთო ხმაბადვითი წარმოშობა, ან კიდევ არ გააჩნია სემანტიკური სიახლოვე.

ამგვარად, პარონიმთა საბოლოო დეფინიცია ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: ეს არის ერთფუძიანი ან მსგავსფუძიანი თანამჟღერი სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილითაა გამოხატული, გააჩნიათ საერთო ეტიმოლოგიური საწყისი, ან ხმაბადებითი წარმოშობა ან საერთოდ არა აქვთ სემანტიკური კავშირი. მათი არასწორი ჩანაცვლება მეტყველებაში ბუნდოვანებას იწვევს, სტილისტიკაში კი კალამბურის შესაქმნელად გამოიყენება. განასხვავებენ პარონიმთა რამდენიმე ტიპს. ერთ-ერთი ჯგუფი მოიცავს მნიშვნელობით განსხვავებულ ლექსემებს. მათ არანაირი გრამატიკული და სემანტიკური კავშირი არა აქვთ. ი. კუზნეცოვა მათ დისტინქტურ პარონიმებად მოიხსენიებს (კუზნეცოვა, 1977:19). მაგალითად:

Fuite / suite - გაქცევა/ მიყოლა, დევნა,

figue / fugue - ლეღვი / მუს. ფუგა, გაპარვა,

raisin / raison - ყურბენი/ გონება,

bribe / bride - პატარა ნაჭერი, მცირედი/აღვირი, სადავე, *bribe* სავარაუდოდ ონომატოპეურ (ხმაბადებით) წარმოშობას უკავშირდება. მაგალითად:

Il n'avait entendu que quelques bribes de la conversation - მან საუბრის მხოლოდ მცირე ნაწილი გაიგონა.

Le cavalier marchait à côté de son cheval en le tenant par la bride - მხედარი თავისი ცხენის გვერდით მიაბიჯებდა, მას ის აღვირით ეჭირა.

პარონიმთა მეორე ჯგუფი ძირითადად ერთი ოჯახის სიტყვებს წარმოადგენს. ისინი განსხვავდებიან წარმოების მიხედვით – პრეფიქსაციით, სუფიქსაციით. მაგალითად: *ranger /arranger* - მოთავსება, მოწესრიგება /მოწესრიგება, მოგვარება, *destinataire /destinateur* - ადრესატი /ადრესანტი. ამ ჯგუფში შემავალი ყველა სიტყვა, ცხადია, ერთი ოჯახის წარმომადგენელი არ არის. მათ გააჩნიათ საერთო ფუძე, ან ერთი ეტიმოლოგიური საწყისი, ან კიდევ შეიძლება ხმაბადებითი წარმოშობისა იყოს. მაგალითად: *craquer /croquer* - ტკაცუნა, ხრამუნა/ხრამუნა, ღრღნა;

huer / hululer - ბუს კივილი/ღამის ფრინველის კივილი.

პარონიმთა სემანტიკური ნიშნით კლასიფიცირება ი. კუზნეცოვამ შეიმუშავა, ამაზე ვრცლად ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

პარონიმთა აღრევის საფუძველია უმეტესად ერთ-ერთი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის არ ცოდნა: *bourré /bourru* - ფიჩხის კონა/ბუზღუნა, პირქუმი ადამიანი, *inapte /inepte* - უნიჭო, უუნარო, უგუნური. არსებობს ასევე სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები, რომელთა მნიშვნელობები განსხვავებულ სფეროებში გამოიყენება: *infantile* - მედიცინის ტერმინი "საბავშვო" /*enfantin* სასაუბრო ფორმა " ბავშვური" .

ფონეტიკური სიახლოვისა და სემანტიკურად განსხვავებული ლექსემების მქონე წყვილები ენაში პარონიმულ რიგებს ქმნიან. იქმნება პარადიგმა, რომლის შესწავლა, ლინგვისტური ანალიზი დიდად მნიშვნელოვანია მორფოლოგიურ-ლექსიკური, ლექსიკურ-სტილისტიკური, პრაგმატისტული¹ და პოეტური თვალსაზრისით.

ენათმეცნიერები ოდითგანვე იკვლევდნენ სიტყვის რაობას, მიმართებებს აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის. ჯერ კიდევ ნეოგრამატიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ენა აბსტრაქტული სისტემაა. მათ დაადგინეს ფონეტიკის კანონები, რომელიც ასახავდა ბგერების ევოლუციას. ნეოგრამატიკოსებმა წარუშლელი კვალი დატოვეს სტრუქტურალიზმის სკოლის წარმომადგენლებზე, კერძოდ სოსიურზე, რომელმაც განავითარა წინამორბედთა დოქტრინები, გამოიჩინა სინქრონია და დიაქრონია, ენა და მეტყველება, ჩამოაყალიბა ნიშნის პირობითობის პრინციპები, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის კონცეფციები, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სემიოტიკას.

ნოვალისი, სოსიურის მსგავსად, ენობრივი ნიშნის ორ ასპექტს გამოყოფს (ცნება და ბგერა) ის მიიჩნევს, რომ "სიტყვები აზრების აკუსტიკური კონფიგურაციებია" (ნოვალისი, 1983:33)². ის იყენებს ტერმინთა ტრიადას - *აღსანიშნი, აღმნიშვნელი, ნიშანი*, მაგრამ მათ განსხვავებულად იაზრებს, მაგალითად, აღმნიშვნელში ის გულისხმობს არა ცნების გარეგან ნიშანს, ბგერას (აკუსტიკური გარსი – სოსიური), არამედ თავად შემმეცნებელ სუბიექტს, მის ცნობიერებას. ნიშანი კი გულისხმობს აღსანიშნის აღმნიშვნელის გარეგან, ბგერით ფორმას. ნიშნისა და

¹ თოფურია ვ. გიგინეიშვილი ი. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ განათლება, 1968.

² თარგმანი კ. ბრეგაძე

აღსანიშნის სინთეზის საფუძველი აღმნიშვნელია, მისი ცნობიერების სფეროა (ბრეგაძე, 2009:119).

სოსიურთან აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება ასოციაციის პრინციპს ეფუძნება, ნოვალისთან კი მათ ენობრივი ქმედება, ანუ არტიკულაცია უძევს საფუძვლად. აღმნიშვნელებს შორის კომუნიკაცია ენის საშუალებით ხორციელდება, რაც თავის მხრივ მექანიკურ კი არა, ენით დეტერმინებულ პროცესს წარმოადგენს. პარონიმული აღრევა სიტყვის ორპლანიანობის უცილობელ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

სიტყვის გამომსახველობითი შესაძლებლობების შესწავლა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ინფორმაციის ექსპესიულობის გარე ენობრივმა და შინაგანმა ფორმებმა. ექსპრესიულობა, კლასიკური შეხედულებით, მოიცავს იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც კომუნიკაციაში მონაწილეობს და სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს. ინფორმაციის ექსპრესიულობის მთავარი ფუნქცია ისაა, რომ ზეგავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე, რის შედეგადაც ხდება გარკვეული გრძნობების, განცდების, ქმედების პროვოცირება. თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ყველა განცდა, იქნება ეს ემოციური თუ ინტელექტუალური, რეციპიენტში ემოციურ ეფექტს იწვევს. არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც მეცნიერული, იურიდიული, საქმიანი, ყოველდღიური თუ ლიტერატურული ენის ექსპრესიულობას განაპირობებს. თუმცა ექსპრესიულობა ურთიერთგანსხვავდება სიტყვათა სტილისტური ფუნქციონირების მიხედვით. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი პარონიმული წყვილი *odoriférant /odorant* - პოეტ. კეთილსურნელოვანი /სურნელოვანი, რომელიც განსხვავდება პოეტური და ყოველდღიური სტილით, ასევეა *onduleux /ondulé* - პოეტ. ტალღოვანი /ტალღოვანი, ტალღისებრი.

მხატვრული ლიტერატურა და პოეზია უფრო ამაღლებულ ფუნქციას აკისრებს ვერბალურ შეტყობინებას. იაკობსონის მიხედვით, “*ადრესანტის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ადეკვატურად უნდა მიიღოს ადრესატმა*” (იაკობსონი, 1963:176). კომუნიკაცია თავისი აუცილებლობით მოიცავს ადრესანტისა და ადრესატის

თანაარსებობას, რასაც ემატება კონტექსტის ფაქტორი. ამგვარად, მოსაუბრე ახდენს ინფორმაციის კოდირებას, რეფერენტი კი მის დეკოდირებას ახორციელებს. იაკობსონისეული მეტყველების ფუნქციები (ექსპრესიული /ემოტიური, კონატიური, ფატური, რეფერენციული, მეტაენობრივი, პოეტური) თანაარსებობს და ამდენად, მეტყველება ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ითავსებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპრესიული /ემოტიური და პოეტური ფუნქციების თანაარსებობა, რის შედეგადაც შეტყობინება ესთეტიკურ ღირებულებას იძენს. პარონიმთა სტილისტური ვარიაციები, რომელიც ლიტერატურაში პარონომაზიის სახელით არის ცნობილი, თავის მრავალმხრივ შესაძლებლობებს სწორედ აქ წარმოაჩენს. მეტყველების ექსპრესიული ფუნქცია სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოხატავს. სიტყვის ფონური კონფიგურაციებით ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს. პარონიმთა სტილისტიკური ვარიაციები ანდაზებში, ლექსებში და სარეკლამო ტექსტებში გვხვდება. იგი ნიშნის გარეგნული, ფორმალური მხარის ექსპრესიულობას ემყარება, რაც მეტ გამომსახველობასა და სიძლიერეს ანიჭებს გამონათქვამს. პოეტური ფუნქციის მქონე გამონათქვამები ხშირია ყოველდღიურ მეტყველებაშიც, თუმცა აქ მას ის დატვირთვა არა აქვს, რაც მხატვრულ ლიტერატურაში. ენის პოეტური ფუნქცია ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია და მნიშვნელობების შეხამებაა. ის მიზანმიმართულად ზემოქმედებს მკითხველზე.

ენა, როგორც ადამიანის კუთვნილება, შეუძლებელია გამოვიკვლიოთ ადამიანთან მისი კავშირის გარეშე (კრავჩენკო, 2004:6) ამიტომაც აუცილებელია შევისწავლოთ “ადამიანის ფაქტორი” ენათმეცნიერებაში, აქცენტი გავაკეთოთ ადამიანზე, როგორც ენის მომხმარებელზე და განვიხილოთ ის როგორც საერთო სისტემის (სოციალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური) წევრი, ხოლო ენა – როგორც ცოცხალი ორგანიზმი (ლებედევა, 2004:14–19).

ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი რეპროდუცირდება კომუნიკაციისა და აზროვნების წიაღში და ემორჩილება ენობრივ ნორმებს (ზალევსკაია, 2005:394). ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმა კონცენტრაციას ახდენს ადამიანზე, მას, როგორც სუბიექტს, განიხილავს ენობრივი თვალსაზრისით. ენათმეცნიერებაში ანთროპოცენტრისტული (ბერძნ. anthrōpos ადამიანი, centrum

ცენტრი) პოსტულატების დამკვიდრებამ გამოიწვია ლექსიკური ერთეულების შესახებ არსებული თეორიების გადახედვისა და ინდივიდის მენტალურ ლექსიკონში მოცემულ ერთეულთა ფუნქციონირების შესახებ ახალი ჰიპოთეზების შემუშავების აუცილებლობა. ამგვარად, ანთროპოცენტრისტული მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ინდივიდის აზროვნების თავისებურებები ინფორმაციის კოგნიტურად დანაწევრების პროცესში.

ანთროპოცენტრისტული ელემენტების გათვალისწინებით ზოგიერთი ენათმეცნიერი (ვ. მორკოვკინი, ვ. მანდრიკოვა)³ გამოყოფს შემდეგ ლინგვისტურ ტიპებს:

1. ასოციაციურ-სიტუაციური ველი – ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მთლიანობა, გააჩნია დინამიურად მყარი რეაქცია ლექსიკური სისტემის მარტივი ერთეულების მიმართ;
2. მშობლიური ენის ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ნაკლებად ცნობილია ან სრულიად გაუგებარია ენის მომხმარებლის მიერ (ნეოლოგიზმები, არქაიზმები, პასიური ლექსიკა, დიალექტიზმები, ასევე დარგობრივი ლექსიკა);
3. ლექსიკური სისტემის ერთეულები - ტარონიმები (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური მთლიანობა), რომელთა აღრევა დინამიურად ხდება მეტყველებისა და აღქმის პროცესში თავიანთი ფორმალური, სემანტიკური თუ თემატური სიახლოვის გამო. ესენია ე.წ. ტარონიმები”, რომლებშიც შეიძლება მოვიაზროთ სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები, პარონიმები, ეპიდემატური და დერივაციული ბუდეები, ჰიპერ-ჰიპონიმიური წყვილები, ლექსიკურ-სემანტიკური ველი, თემატური ჯგუფები.⁴

აღნიშნული კლასიფიკაციის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ სამ ქვეჯგუფად დაყოფილი ლექსიკური ერთეულები, თითოეული ჯგუფის მახასიათებლის გათვალისწინებით, ობიექტის შესახებ ინფორმაციას სუბიექტურად

³ Морковкин В.В., Морковкина А.В., Русские агнонимы: понятие, состав и смысловое разнообразие http://www.nspu.net/fileadmin/library/books/2/web/xrest/article/leksika/sostav/mor_art01.htm

⁴ Мандрикова Г.М. Антропоцентрическая лингвистика: новые языковые единицы 2006. – URL: <http://pn.pglu.ru/>

გადმოსცემს. ლექსიკურ ერთეულთა ანთროპოცენტრისტული ინტერპრეტაცია შედარებით “მსუბუქი” ხასიათის მქონეა, რადგანაც ის გამომდინარეობს ენობრივი ერთეულებისა და ლინგვისტური კატეგორიების თავისებურებებიდან და მოიცავს ამა თუ იმ მოვლენის არამართო ფორმალურ კრიტერიუმებს, არამედ მის *“რეალურ უსასრულობას მოსაუბრის ცნობიერებაში”* (მორკოვკინი, 2008:5).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტარონიმების ქვეჯგუფი. მასში შემავალი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ელემენტები პარონიმებისთვის დამახასიათებელ არსებით ნიშნებსა და მახასიათებლებს შეიცავს. კერძოდ, ეს არის მსგავსი გრამატიკული კატეგორიების მქონე ერთი და იმავე მეტყველების ნაწილები, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი სინტაქსური მიმართებები, გამოირჩევიან ფორმოზრივი და სემანტიკური სიახლოვით და შესაძლებელია საუბრის პროცესში მათი აღრევა. პარონიმები, როგორც ანთროპოცენტრისტული ერთეულები, უნდა შევისწავლოთ ფსიქოლინგვისტური და კოგნიტური თვალსაზრისით. ინდივიდის მენტალურ ლექსიკონში სიტყვათა შერჩევა მსგავსება /განსხვავების ნიშნით დამოკიდებულია მის ერუდიციაზე, გამოცდილებასა და კონკრეტულ სიტუაციაზე.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ხშირად ვაწყდებით ისეთ ფენომენს, როგორიცაა “ფსევდო ცოდნის” გამოვლინება. მოსაუბრე სიტყვებს იყენებს სემანტიკური ნიუანსების, კონოტაციების გათვალისწინების გარეშე, ისე, რომ ანგარიშს არ უწევს სიტყვათხმარების კორექტულობას, ნორმატიულ წესებს. ლექსემათა აღრევის კრიტერიუმების დასადგენად, ცდომილებათა პროცენტული მაჩვენებლის გამოსავლენად ჩავატარეთ მცირე ექსპერიმენტი რსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის II და III კურსის სტუდენტებთან (მონაწილეობდა 100 სტუდენტი). გავანალიზეთ 80 ქართული პარონიმი. ექსპერიმენტი სტუდენტებისთვის განკუთვნილი ორი ტიპის დავალებისაგან შედგებოდა: 1. სტუდენტთა ერთ ნაწილს მიეცა ცალკეული პარონიმების ჩამონათვალი, რომლებიც შესაბამის კონტექსტში უნდა ჩაესვათ. 2. მეორე ნეწილს კი პარონიმული წყვილების მიხედვით უნდა შეედგინათ წინადადებები.

ექსპერიმენტისათვის გამოვიყენეთ ქართული ენის შემდეგი პარონიმები:

ა) გაკვაღვა, გადაწერს, გადამტეხი, გადაფარული, გადადის, გააგრძელებს, ბეზიაობა, ბალახიანი, ახლობელი, აციებს, აცდენინებს, აღქმული, ნაჩქარები


ბ) პარონიმული წყვილები:

ადრეული /ადრინდელი, ავალდებულებს /ავალებს /ავალიანებს, ამდენი/ ამოდენა, არასისტემური/ არასისტემატური, აწყენს /აწყენინებს, ახლობელი/ მახლობელი, გამოდევნა /გამოდევნება, გამამთელებელი /გამამრთელებელი, განსაზღვრა /განსაზღვრება, განურჩევლად /გაურჩევლად, გაუგებარი /გაუგებელი, პირდაპირ /პირისპირ, დადებს /დასდებს, დაზარალებული /დაზიანებული, ინერტული /ინერციული, იკრიბება /იკრიფება, იხსენებს /იხსენიებს, მგზავრობა /მოგზაურობა, მსაჯი /მსაჯული, ნასადილები /ნასადილევს, ნაცნობი /ცნობილი, ორკვირიანი /ორკვირეული, პოზიტიური /პოზიციური, სასწავლი /სასწავლო.

მივიღეთ ფრიად საყურადღებო შედეგი: პირველ ვარიანტში, სიტყვა, რომლის ბგერითი შემადგენლობა ძალიან ჰგავდა თავის მეწყვილეს (პარონიმულ ცალს, რომელიც არ იყო მოცემულ ჩამონათვალში), სტუდენტებმა შეცდომად მიიჩნიეს. ასე, მაგალითად, გადასწერს (პირჯვარს), გააიგივეს ზმნასთან გადაწერს: "ს" სუბიექტურ ნიშნად ჩათვალეს, ამიტომ მთლიანობაში ეს სიტყვა მცდარ ფორმად მიიჩნიეს. გადაფარული (რაიმეთი დაფარული) გაუტოლეს სიტყვას გადაფარებული, მეორე ვარიანტში კი, რა თქმა უნდა, სტუდენტები ცდილობდნენ ასოციაციებით დაეკავშირებინათ მსგავსი აღმნიშვნელები. გთავაზობთ ექსპერიმენტზე დაფიქსირებულ პარონიმული აღრევის მაგალითს:

<i>ნაჩქარები გადაწყვეტილება (ნაჩქარევი);</i>	<i>საშური საქმე (რომელიც გამოყენებულია</i>
<i>გადაფარული საფარი (გადაფარებული);</i>	<i>შესაშურის მნიშვნელობით და არა საჩქაროს</i>
<i>ბალახოვანი მინდორი (ბალახიანი);</i>	<i>მნიშვნელობით)</i>
<i>გადამტეხი პერიოდი (გარდამტეხი);</i>	<i>ორდინალური ჩაცმულობა(ორდინარული)</i>
<i>ტანსაცმელს ფერი გადასდის</i>	<i>ფოტოსესიაზე პოზიორობა (პოზირება)</i>
<i>(გადადის/გასდის);</i>	<i>ორკვირეული სიმპოზიუმი (ორკვირიანი)</i>
<i>სიმართლეს აცდენინებს (წამოაცდენინებს);</i>	<i>იზომავს კაბას (იზომებს)</i>
<i>ჩაის აციებს და ისე მიირთმევს (აცივებს);</i>	<i>არასისტემური გაცდენები</i>
<i>ცხოვრების გზა გაკვაღა (გაკვლია).</i>	<i>(არასისტემატური)</i>
	<i>ნაპატივები დანაშაული (ნაპატიები).</i>

შეცდომების ხვედრითი წილი ასე გადანაწილდა: ≈ 20% უშეცდომოდ შეასრულა დავალება, ≈ 47%-მა მცდარად აღიქვა ან ვერ გაიგო 1-15 პარონიმი, ≈ 33% - 15 და მეტი პარონიმი. თითოეულ სტუდენტს 30 პარონიმული ცალი ჰქონდა დასამუშავებელი.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარონიმულ წყვილებზე მუშაობისას უმნიშვნელო შეცდომები დაფიქსირდა, (სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები სტუდენტებმა არ იცოდნენ, ღიად დატოვეს, რაც მერყეობდა 1-5 პარონიმამდე) ვიდრე პარონიმულ ცალებზე მუშაობისას (აღრევის შემთხვევები აქ უფრო მრავლად იყო). აქედან გამომდინარე თანამჟღერ სიტყვათა აღრევა ადრესატის/ადრესანტის ფონურ ცოდნაზე ან ემოციებზე არის დამოკიდებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლექსემათა სუბსტიტუციებს საფუძვლად უდევს გარკვეული სოციალური, ასაკობრივი და სიტუაციური ფაქტორები. ის ასევე დამოკიდებულია ადამიანის კომუნიკაციურ კომპეტენციაზე. რაც შეეხება პარონიმების ერთ კონტექსტში გამოყენებას, სამეტყველო პროცესში, ადრესატის/ადრესანტის მიერ მოცემული სემანტები თანაბარმნიშვნელოვნად აღიქმება და შესაბამისად ურთიერთჩანაცვლებად ლექსემებად მიიჩნევა. ეს ცნებების სინონიმურობასთან არის დაკავშირებული. ინდივიდის ცნობიერებაში სიტყვის მნიშვნელობების სიახლოვე განიხილება, როგორც *“ერთი და იმავე აზრობრივი ნაკადის რეალიზაცია სხვადასხვა ენობრივი რესურსის საშუალებით”* (ლებედევი, 2002:124).

ენობრივი ნორმებიდან გამომდინარე პარონიმთა არაკორექტული გამოყენება შეცდომად მიგვაჩნია, ფსიქოლინგვისტური მიდგომა კი საშუალებას გვაძლევს

ამოვხსნათ ეს დილემა. ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობები ფუნქციას იძენს სამყაროს ასახვის ინდივიდუალურ გამოხატვაში (ზალავსკაია, 2005: 422). სიტყვა წარმოადგენს ინდივიდის ცნობიერებაში წვდომის საშუალებას, ნიშნებისა და კონცეპტების დინამიურ ქსელს, რომელიც იქმნება ინდივიდის მეტყველებისა და კოგნიტური გამოცდილების საფუძველზე (ლებედევა, 2007: 27–30).

მენტალურ ლექსიკონში (ლექსიკური მარაგის) სემანტიკური სუბსტიტუციების ანალიზის დროს ერთ პრობლემას ვაწყდებით: მნიშვნელობათა *“მსგავსების არსებობა ობიექტურია, მისი ხარისხი – სუბიექტური”* (ლებედევი, 2002:95). გამოსავალი შეიძლება ვიპოვოთ თუ გადავხედავთ ზოგადად ურთიერთქმედი ნიშნებისა და საკუთრივ მნიშვნელობათა ურთიერთმოქმედებას. ენობრივი ნიშნის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მნიშვნელობა და ფორმა განუყოფელ ერთიანობად გვევლინება და ამ საფუძველზე ხდება სიტყვათა შერჩევა (ლებედევი, 2002:45), თუმცა შესაძლებელია მოვახდინოთ მნიშვნელობების ტრანსფერი (გადატანა) მსგავსი სიმპტომების მიხედვით. ამ შემთხვევაში ობიექტები ერთმანეთს ემსგავსებიან არა ობიექტური ნიშნით, არამედ სუბიექტურად, რაც, ლებედევას მოსაზრებით, დამოკიდებულია სიტყვის შიდაფორმაზე. ფსიქოლინგვისტური და ანთროპოცენტრისტული პოზიციებიდან პარონიმების განხილვა საშუალებას გვაძლევს აღნიშნული ენობრივი ერთეულები სემანტიკურ–ფსიქოლოგიურ ანალოგიებად მივიჩნიოთ.

1. 2. პარონიმია – მეტყველების კულტურის შემადგენელი ნაწილი

თუ ენას მოვიაზრებთ როგორც ნიშანთა სისტემას, მაშინ მეტყველება ენის რეალიზაციის პროცესად წარმოგვიდგება. ამდენად, ენა “ინფორმაციის გამტარი ფენომენია”, ის მეტყველების საშუალებით ვლინდება. ენათმეცნიერები მეტყველებას სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ. ჩვენ ამჯერად შევჩერდებით მეტყველების კულტურის საკითხებზე. მეტყველების კულტურა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება, ესენია ნორმატიული, ეთიკური და კომუნიკაციური. სალიტერატურო ენისადმი ნორმატიული მიდგომა მიზნად ისახავს ენის სტაბილიზაციისა და მონოლითურობის შენარჩუნებას, ნორმათა უნიფიკაციას. უცხოური ენის სწავლებისას უპრიანი იქნება განვსაზღვროთ ენობრივი ნორმის საკითხები. *“ენობრივ ნორმაში იგულისხმება ისტორიულად ცვალებადი, მაგრამ მაინც დროის შედარებით დიდ მონაკვეთზე არსებული სტაბილური კანონზომიერებანი, რომელთა საშუალებითაც ლიტერატურული ენის წერითი და ზეპირი ფორმა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია”* (ჯაში, 2010:210).⁵

მეტყველების კულტურა ავითარებს ლექსიკურ ერთეულთა შერჩევის უნარს, უზრუნველყოფს ენის რესურსის ადეკვატურ გამოყენებას ვერბალურ კომუნიკაციაში. ენის ნორმატიულობა, ა. ვასილიევას თანახმად, შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1. სტაბილურობა;
2. სიტყვის ელემენტების რეგულირება;
3. ლიტერატურული ტრადიციები;
4. ენის კულტურულ-ესთეტიკური ღირებულებები;
5. ენის დინამიკური ხასიათი;

6. ენის “პლურალიზმი” როგორც შესაძლებლობა ასახოს ტრადიციულისა და ინოვაციურის, სტაბილურობისა და მობილურობის, სუბიექტურისა და ობიექტურის, ლიტერატურულისა და არალიტერატურულის/ზეპირმეტყველების თანაარსებობა და ურთიერთქმედება (ვასილიევა 1990:165).

⁵ ნორმა და ნორმის დარღვევა გრამატიკისა და ლექსიკის კომპლექსური სწავლებისას გვ. 206-210, საერთაშორისო კონფერენციის მასალები: “მრავალენოვნება და უცხოური ენების სწავლების პრობლემები საქართველოში”, თბილისი, 2010

მეტყველების კულტურის ეთიკური ასპექტი გულისხმობს ენობრივი წესების ცოდნასა და გამოყენებას კონკრეტულ სიტუაციაში. კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტები სიტყვათა ეტიკეტს მოიცავს (მისალმება, თხოვნა, შეკითხვა, მიმართვა შენობით/თქვენობით, მილოცვა და ა.შ.). ხშირად მას ექსტრალინგვისტური ფაქტორები: მოსაუბრის ასაკი, სოციალური სტატუსი, ოფიციალური ან ფამილიარული დამოკიდებულება განაპირობებს.

გამოიყოფა ენობრივი დარღვევის ორი ფორმა 1) ე.წ. ენობრივი შეცდომები, რომლის დროსაც ირღვევა ფონეტიკური, გრაფიკული, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური ნორმები. ეს შემთხვევები უარყოფითად აღიქმება; 2) ნორმის სტილისტურად განპირობებული დარღვევა, რაც მიზანმიმართულად გამოიყენება განსაზღვრული სტილისტიკური ეფექტის მისაღწევად. *„ასეთი დარღვევა რეციპიენტის მიერ შეცდომად არ აღიქმება და უმეტესად პოზიტიურად ფასდება. ენის რესურსის მიზანმიმართული გამოყენება მეტყველების კომუნიკაციური ფუნქციის მთავარი ამოცანაა.“*⁶

კომუნიკაციური მიზანშეწონილობა (ვასილიევა, 1990:132) კულტურული მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ლექსემათა მნიშვნელობების ნიუანსები, გავითვალისწინოთ ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთქმედების (კონტექსტის) ფაქტორი მეტყველების პროცესში.

მაღალი დონის მეტყველების კულტურა მოითხოვს უნარს აზრის გამოსახატავად ვიპოვოთ არამართო ადეკვატური საშუალება, არამედ შევარჩიოთ მაქსიმალურად მორგებული, მახვილგონივრული და სტილისტურად გამართული ენობრივი ერთეული. წარმატებული კომუნიკაცია წარმოადგენს ურთიერთგაგების ჯაჭვს, ამიტომ გაგების მნიშვნელოვანი წილი მოსაუბრეს ეკისრება. უნდა გავითვალისწინოთ მისი კომპეტენცია, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები იმისათვის, რომ სწორად მოხდეს შეტყობინების კოდირება/გადაცემა, შემდგომ დეკოდირება, რეფერენტმა (მსმენელმა) ადეკვატურად უნდა მიიღოს და დაინტერესდეს ინფორმაციით. მეტყველების კომუნიკაციური თვისებები – სიზუსტე,

⁶ მ. ჯაში, იქვე.

კორექტულობა, გაგება, სიტყვის გამომსახველობა და მრავალფეროვნება – საუკეთესო საშუალებებია ადრესატზე ზეგავლენის მოსახდენად. სიტყვის კორექტულობა მისი შესაბამისობაა ენობრივ ნორმასთან, სიზუსტე – ეს არის მეტყველების კომუნიკაციური თვისება, რომელიც გულისხმობს მისი აზრობრივი მხარის შეხამებას ასახულ რეალობასთან და მჟღავნდება ადეკვატური სიტყვითი გამოსახვის პოვნის უნარში. ამგვარად, ცნება „სიზუსტე“ მოიცავს:

1. რეალურობის სწორად ასახვის უნარს და 2. აზრის სწორად გადმოცემისა და მისი სიტყვებით გაფორმების უნარს. განასხვავებენ სიზუსტის ორ სახეობას: ნივთიერს (ფაქტიურს) და ცნებითს (კომუნიკაციურს). ნივთიერი სიზუსტე იქმნება მეტყველების შინაარსის, მასში ასახული სინამდვილის ფრაგმენტებთან შესაბამისობის წყალობით. მის საფუძველში დევს დამოკიდებულება “მეტყველება – სინამდვილე”.

საგნობრივი სინამდვილის მთავარი პირობაა მეტყველების საგნის ცოდნა, რის გარეშეც შეუძლებელია ზუსტი ცნობების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიტყვის არანორმატიულ გამოყენებასთან. ამის ნათელი გამოხატულებაა პარონიმული წყვილის *rabattre / rebattre* - შემცირება, დათმობა /ერთი და იმავეს გამეორება, მტკიცება; *résonner/raisonner* - რეზონანსი, ბგერის არეკვლა /მსჯელობა, დასკვნის გამოტანა, არასწორი გამოყენება. მაგალითად:

- *On a les oreilles rabattues de ses continuelles jérémiades* (უნდა იყოს: - *on a les oreilles rebattues* - მისი გაუთავებელი წუწუნით ყურები აქვს გამოჭედილი).

- *Rabattre une note* (უნდა იყოს: - *rebattre une note* - ერთი და იმავე ნოტის რამდენჯერმე აღება).

- *Tu ne résonnes pas juste* (უნდა იყოს: - *Tu ne raisonnes pas juste* - შენ სწორად არ მსჯელობ).

- *Cette salle raisonne parfaitement* (უნდა იყოს: - *Cette salle résonne parfaitement* დარბაზში მშვენიერი აკუსტიკაა).

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ასევე სწორ მეტყველებასაც, რაც სწორად წარმოთქმას, ბგერის არტიკულაციის თავისებურებებსა და ბგერით გაფორმებას მოიცავს. დიდ როლს თამაშობს მეტყველების ტემპი (სწრაფი და ნელი ტემპი),

მეტყველების სტილი (სასაუბრო და წიგნიერი). ამ კანონზომიერების დარღვევის შედეგად იქმნება ბუნდოვანება, გაუგებრობა, არაკორექტულობა, ორაზროვნება, არასწორი, შეუსაბამო მეტყველება. პარონიმები ფორმისა და შინაარსის რთული ურთიერთმიმართებით ხასიათდება, რასაც მათი მეტყველებაში გამოყენების თავისებურება ემატება.

საყურადღებოა პარონიმის განხილვა კომუნიკაციურ ჭრილში, რადგანაც პარაფაზია (პარონიმთა არასწორი გამოყენება) უმეტესად მეტყველების პროცესს უკავშირდება. სამეტყველო ქმედების შესწავლა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი, სოსიურის მოსაზრებით, ეს არის ენა, როგორც სოციალური, ინდივიდისაგან დამოუკიდებელი მოვლენა. ეს მეცნიერება წმინდა ფსიქიკური ბუნებისაა. მეორე – სამეტყველო ქმედების ინდივიდუალური მხარე, მეტყველება ჟღერადობის ჩათვლით, რაც ფსიქო-ფიზიკურ ხასიათს ატარებს (სოსიური, 2002:29).⁷

აქედან გამომდინარე, პარონიმია თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ სამეტყველო ქმედების ფსიქო-ფიზიკურ ბუნებას. ხშირ შემთხვევაში პარაფაზიას ადგილი აქვს მოსაუბრის მიერ ბგერების უნებური ჩანაცვლების ან მოსმენილი ინფორმაციის არასწორად აღქმის დროს, ან სულაც მოსაუბრის (ენის ცოდნის) კომპეტენციაზე დამოკიდებული. საინტერესოა ასევე განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უჭირავს პარონიმს ენის შინაგან და გარეგან ელემენტებს, ანუ ლინგვისტიკასა და ექსტრალინგვისტიკას შორის. რადგანაც ლინგვისტიკა მოიცავს ენის შინაგან სისტემას, კანონზომიერებას, ხოლო ექსტრალინგვისტიკა – ენათა გეოგრაფიულ გავრცელებას, დიალექტებს, ნასესხებ სიტყვებს და ა.შ. პარონიმია ორივე ნაწილში გვხვდება.

ლინგვისტიკაში არსებობს როგორც მსგავსი ჟღერადობის სიტყვები, რომელთა არასწორი ჩანაცვლება არღვევს ენის ნორმატიულ კანონზომიერებას, ხოლო ექსტრალინგვისტიკაში როგორც – უცხოური ენიდან შემოსული სიტყვები, ანგლიციზმები. განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი *challenge* - ხშირად გვხვდება ფრანგული ორთოგრაფიით *chalenge* ინგლისურიდან შემოვიდა “გამოწვევის,

⁷ ფ. დე სოსიური, *ზოგადი ენათმეცნიერების კურსი*, დიოგენე, 2002. თარგმანი ც. ბიბილეიშვილი

შეჯიბრის” მნიშვნელობით, ინგლისურმა კი ძველი ფრანგული ენიდან ისესხა “ბრალდების, შარის, ჩხუბის, დაპირისპირების” მნიშვნელობით. ამ სიტყვამ ფრანგულში ვერ იარსება, მაგრამ დამკვიდრდა ინგლისურში და დაუბრუნდა ისევ თავის დედაენას XIX საუკუნეში, კერძოდ, ის შემოვიდა სპორტული ლექსიკიდან “შეჯიბრის” მნიშვნელობით, რომლის ფრანგული ეკვივალენტია *le défi* “გამოწვევა”. გამოიყენება აგრეთვე “თასის, პრიზის, მედლების” „*une coupe, une médaille, un prix*“ მნიშვნელობით იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრი გულისხმობს დაჯილდოებას. მას ცვლის ასევე სიტყვები “*le tournoi* „შეჯიბრება, ტურნირი“, *le trophée* „სპორტსმენის დავლა, დაჯილდოება, გამარჯვების დამადასტურებელი ნიშანი“. მაგალითად:

- *Le challenge / le tournoi de l'an prochain nous offrira l'occasion d'affronter à nouveau l'équipe italienne* - მომავალი წლის ტურნირი საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთხელ დავამარცხოთ იტალიის გუნდი.

- *Les billets pour la finale de la coupe / du challenge de football se sont envolés rapidement* - ფეხბურთის თასზე დასასწრები ბილეთები სწრაფად გაიყიდა.

- *Le trophée / le challenge sera remis lors de la proclamation des résultats officiels* - პრიზი გადაეცემათ ოფიციალური შედეგების გამოცხადებისთანავე.

მოსაუბრე ფონემათა ნაწილობრივი დამთხვევის გამო ანაცვლებს ერთ ნიშანს მეორეთი. მაგალითად :

დეფექტიანი (ადამიანი) / *დეფექტური* (ნივთები, მეტყველება);

ელექტრული (ელექტროობასთან დაკავშირებული) / *ელექტრონული* (კომპიუტერთან და ინფორმატიკასთან დაკავშირებულს გულისხმობს);

კანდიდატი (მეცნიერებათა) / *კანდიდატურა* (მხარს უჭერს მის კანდიდატურას).

ეს ადასტურებს იმას, რომ მოსაუბრის ცნობიერებაში მოხდა მსგავსი ქდერადობის სიტყვათა აღრევა.

1. 3. პარონიმების ორმხრივი ფონეტიკურ-სემანტიკური დაახლოება მათი ადრევისა და კონტამინაციის თავიდან აცილების მიზნით

სიტყვა, როგორც ლექსიკური ერთეული ლინგვისტიკის განსხვავებულ დონეებს მოიცავს: ფონეტიკურს, მორფოლოგიურს, ლექსიკურს, სინტაქსურს, სოციალურსა და ეთნოლინგვისტურს. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის სიტყვა სხვადასხვა სპექტრში განვიხილოთ. თითოეული ენობრივი ერთეული, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება თავისი ძირითადი ფუნქციის მიხედვით. სიტყვის ფუნქცია სამხაზოვანი მიმართებით გამოიხატება (შმელიოვი, 1997 :15).



სქემა 1. ⁸

ამ თვალსაზრისით სიტყვა ნომინაციური ერთეულია. მნიშვნელობის მქონე ყოველი ერთეული ბინარული ერთეულია, რაც იმას გულისხმობს, რომ სიტყვას გააჩნია გამოხატულებისა (ფორმა) და შინაარსის პლანი. ფორმაში ერთდროულად მოიაზრება ჟღერადობა და გრამატიკული სტრუქტურა, შინაარსში კი მისი ლექსიკური მნიშვნელობაა განთავსებული. როგორც ცნობილია, ენის ლექსიკური რესურსი არ წარმოადგენს ცალკეული სიტყვების მექანიკურ სელექციას. ლექსემათა ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთკავშირი, მათი გაერთიანება სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში ადრევე აისახა ლინგვისტურ ლიტერატურაში.

მ. პოკროვსკის მოსაზრებით სიტყვა და მისი მნიშვნელობა ცალ-ცალკე კი არ არსებობს, არამედ ცალკეულ ჯგუფებად ერთიანდებიან, ეს დაჯგუფებები კი თავის მხრივ მსგავსების ან ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობების საფუძველზე იქმნება. ამიტომაც a priori ცხადია, რომ ამგვარმა ერთეულებმა მსგავსი ან

⁸ სქემის სტრუქტურა ა. შმელიოვს ეკუთვნის, ვიზუალური გაფორმება ჩვენია.

პარალელური სემასიოლოგიური ცვლილებები განიცადეს თავიანთი არსებობის ისტორიაში, ურთიერთზემოქმედებენ და მსგავს სინტაქსურ კომბინაციებში მონაწილეობენ. სიტყვები მეხსიერებაში ასოცირდებიან და საერთო ნიშნის მიხედვით ქმნიან ჯგუფებს. მათ განსხვავებული მიმართებები ახასიათებს. ეს მიმართებები ერთმანეთს უკავშირდება შინაარსობრივად ან ფორმალურად. სწორედ ფორმალური მიმართებები განაპირობებს ენაში პარონიმების გამოვლენას.

მეტყველების ნაკადის სეგმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ალოფონები (ფონემის ფონეტიკური ვარიანტი) ხშირად საფუძველს ქმნის პარონიმული წყვილების ფორმირებისათვის. ისეთ მინიმალურ წყვილებში, როგორცაა *gras – grand, maux – mon, beau – bon, tes – teint* ერთდროულად მონაწილეობს მსგავსებისა და დამატებითი დისტრიბუციის პრინციპები. ფონეტიკურად მსგავსი ორი ფონი [p] და [b] ერთ პოზიციაში ერთმანეთს კონტრასტულად უპირისპირდება *pain / bain*. პარონიმები შეიძლება ურთიერთგანსხვავდებოდნენ ჰომორგანული (ერთი და იმავე ორგანოთი წარმოქმნილი ბგერები) ან ჰეტერორგანული (სხვადასხვა ორგანოთი წარმოქმნილი) ბგერებით *Bribe / bride, stade / stage*.

1. 4. პარონიმთა ეტიმოლოგია მათი მიშენელობის მოტივირებაში; პარონიმია და ხალხური ეტიმოლოგიის სიტყვები

პარონიმული ატრაქცია ვლინდება ენის ბუნებრივი ძალით, ეკუთვნის ერთ ბიოლოგიურ არსს და უპირისპირდება ადამიანური ინტელექტის წარმოსახვას. მას ხშირად აიგივებენ “სპონტანურ ანალიზთან”, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერებაში ხალხური ეტიმოლოგიის სახელით არის ცნობილი. ხალხური ეტიმოლოგიის სიტყვები დიაქრონიული ცვლილებების შედეგად მიღებული ლექსემებია. სოსიურის თანახმად, ენობრივი ნიშნისთვის დამახასიათებელი ცვალებადობა ასე უნდა გავიგოთ: “*შეიძლება ვიფიქროთ, რომ საუბარია სპეციალურ ფონეტიკურ ცვლილებებზე, რომელსაც აღმნიშვნელი განიცდის ცნების შინაარსობრივ ცვლილებებზე. ცვალებადობის ასეთი გაგება არასაკმარისია: როგორც არ უნდა იყოს ცვალებადობის ფაქტორები, იმოქმედებენ ისინი ცალ-ცალკე თუ ერთობლივად, მათ მუდამ მოსდევთ მიმართების გადაწევა აღმნიშვნელსა და*


აღსანიშნს შორის” (სოსიური, 2002:81)⁹. სოსიურისეული ენის დიქტომია, რომელიც “ენა/მეტყველება” მოდელის გარდა სინქრონიისა და დიაქრონიის პრინციპებით განისაზღვრება (იხ. სქემა 2), თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ენის ცვალებადობის ფორმებს.

სქემა 2.



კლასიფიკაციის ეს ორმაგი პრინციპი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ “*Tout ce qui est diachronique dans la langue ne l’est que par la parole*” (სოსიური, 1967:259) “ენაში ყოველივე დიაქრონიული მხოლოდ მეტყველებისგან არსებობს.”

ენაში მრავლად მოიპოვება ისეთი ფაქტები, როცა მოსაუბრე (რეციპიენტი) მორფოლოგიურ-სემანტიკური ასოციაციების საფუძველზე ადგენს ცრუ კავშირს სიტყვებს შორის, ქმნის ე.წ. ასოციაციურ ჯაჭვს და შედეგად გვაქვს სიტყვის ფონეტიკურ-სემანტიკური გარდასახვა. ამის ნათელი მაგალითია ლექსემა *fruste* (გაცვეთილი, გადახეხილი), რომელმაც XIX საუკუნეში მიიღო მნიშვნელობა „უხეში, მძიმე“, ეს გახლდათ სწორედ ცრუ ასოციაციების შედეგი, რადგანაც ლექსემამ „*fruste*“-მა განიცადა სიტყვაფორმის „*rustre*“-ის გავლენა (რაც ფრანგულ ენაში ნიშნავს ტლანქს, უხეშს). ამის დასტურია ის ფაქტი, რომ XV საუკუნეში ლექსემა *fruste* დაფიქსირებულია შემდეგი ფორმით - *frustre*.



⁹ ფ.დუ სოსიური, იქვე, გვ.104.

ტერმინი – ხალხური ეტიმოლოგია – ფორსტემანს (ფორსტემანი, 1852:122) ეკუთვნის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ როცა ეს კონცეპტი შეიქმნა, ხალხური ეტიმოლოგია არ მოიცავდა საკუთრივ ენის ცვლილებებს, ის ეტიმოლოგიის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენდა. მან ეს ფუნქცია მოგვიანებით შეიძინა, ხოლო როცა ნეოგრამატიკოსებმა ენის ცვალებადობის თეორია განავითარეს, ის “ანალოგიის” სფეროს მიაკუთვნეს და სიტყვათა ფორმალური მხარისა და სემანტიკური ცვლილებების ურთიერთქმედების გამოსახატავად გამოიყენეს. სოსიურის კონცეფციების დამკვიდრების შემდეგ, ისევ გაიმიჯნა ხალხური ეტიმოლოგია და ანალოგია და ცალკეულ მიმართულებად განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხური ეტიმოლოგიის ფენომენს დიდი ხნის ისტორია აქვს, ის ისევ ვერ იმკვიდრებს ადგილს თანამედროვე ლინგვისტურ თეორიებში და მხოლოდ ფრაგმენტულად განიხილება. ზოგიერთი მკვლევარი (ჰოკი, 1986:299; ჰოკი და ჟოზეფი, 1996:80) მიიჩნევენ, რომ ხალხური ეტიმოლოგია “ცვალებადი ანალოგიის სახეობაა” (*un type d'analogie non-systématique*), თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ხალხური ეტიმოლოგია მხოლოდ ლექსემაზე ზემოქმედებს, მაშინ როცა ანალოგია სიტყვის გრამატიკულ ელემენტებზე ახდენს გავლენას. აქ იგულისხმება მორფემათა ფლექსიურობა, თუმცა დასადგენია, ზოგადად სიტყვათწარმოება გრამატიკის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ თუ ლექსიკის სფეროს. ამას ემატება ისიც, რომ, ზოგჯერ სემანტიკური ცვლილებები სიტყვის კონოტაციაზე ზემოქმედებს, რაც არ ფიქსირდება ლექსიკონში. ამის თვალნათელი მაგალითია გამოთქმა *jour ouvrable* “სამუშაო დღე”, რომელიც ფრანგულ ენაში დღევანდელი ინტერპრეტაციით ასოცირდება ზმნასთან *ouvrir* “გახსნა” და არა მის ძველ ეტიმონთან *ouvrier = travailler* “მუშაობა”. ერთი კინათელია, ხალხური ეტიმოლოგია მოიცავს კონტამინაციის (ლათ. *contaminacio* დაბინძურებას ნიშნავს; ლინგვ. ახალი გამოთქმის, სიტყვის ან ფორმის გაჩენას ორი ერთმანეთთან ახლო მდგომი გამოთქმის, სიტყვის ან ფორმის შერწყმით: *გააწყალა საქმე* შეიქმნა *გააწყალა გულის* მოდელზე /*გააჭირა საქმე*), აგლუტინაციის (აფიქსების მექანიკური დაკავშირება სიტყვის ფუძესთან ან

ძირთან), ასიმილაციისა (ერთი ბგერის სრული ან ნაწილობრივი დამსგავსება მეორე, მეზობელ ბგერასთან) და დერივაციის (სიტყვაწარმოება) პროცესებს. ფრანგულ ენაში განსაკუთრებით მრავლად გვაქვს აგლუტინაციის მაგალითები (არტიკლი ერწყმის არსებით სახელს):

l'ierre→*lierre* →*le lierre* (სურო);

l'oriot→*loriot* (მოლადური);

l'uette→*luette* (ანატ. ნაქი).

იგივე ითქმის დეგლუტინაციაზეც (არსებითი სახელის თავკიდური ბგერა, უმეტეს შემთხვევაში “ა”, ეკვრის შეკვეცილ არტიკლს):

l'aboutique→*la boutique* (სახელოსნო, პატარა მაღაზია);

l'agriotte→*la griotte* (აღუბლის ჯიში).

წინდებულისა და არსებითი სახელის კოლიზია მეტყველებაში ზოგჯერ მცდარ ფორმებს წარმოშობს: *être en age*→ *être en nage* (*age* იყო დიალექტური ფორმა სიტყვისა *eau*, „წყალი“, ცურვა);

à bandon→ *abandon*→*à l'abandon* (მიტოვებული);

la poule d'Inde→*la d'inde*→*la dinde* (ინდაური).

სოსიურის თანახმად, ანალოგიის, აგლუტინაციის, ნასესხები სიტყვების მსგავსად, ხალხური ეტიმოლოგიის როლი ენაში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ერთ-ერთი იმ მოვლენათაგანია, რომელიც ქმნის სიტყვის ფორმას და მას ანიჭებს მნიშვნელობას - *souffreteux* “ავადმყოფური, სუსტი”, *forcené* “გოჭი”, *habiller* “ჩაცმა”¹⁰ ის ცვლის გაუანალიზებელი სიტყვის ორთოგრაფიასა და წარმოთქმას.

ნორმატიული თვალსაზრისით, ხალხური ეტიმოლოგია “შეცდომაა”, რომელმაც განიცადა ლექსიკალიზაცია, ლინგვისტური თვალსაზრისით კი, ეს არის ენის რაციონალიზაციის მცდელობა, რადგანაც გაუანალიზებელი ლექსიკური მნიშვნელობის აღმნიშვნელის შეცვლით მისი მოტივირება ხდება, და იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღსანიშნის ინტერპრეტაცია მცდარია, ეს მოვლენა არ

¹⁰ CUBY Raymond *C'est faux. Et alors?* « Le français dans tous ses états » Revue du réseau CNDP pour les enseignants de français. N°42.<http://www.crdpmontpellier.fr/ressources/frdtse/frdtse40s.html>

კარგავს თავის ღირებულებას, რადგანაც უფრო საინტერესო ელფერს ანიჭებს სიტყვას და გვიადვილებს მის დამახსოვრებას. ხალხური ეტიმოლოგიის რესურსს ნასესხები და უკვე არსებული სიტყვები, ანალიზს მოკლებული ლექსემები შეადგენს. მაგალითად: *choucroute* – “კომბოსტოს მწნილი”, შეიქმნა სიტყვების *chou* (კომბოსტო) *croûte* (ფურცლოვანი ღვეზელი) შერწყმით. თავდაპირველად მას ელზასურ დიალექტში ვხვდებით *surkrut* ფორმით, რომელიც თავის მხრივ გერმანული ენიდან შემოვიდა *Sauerkraute*, რაც ნიშნავდა “მწარე ბალახს”. 1699 წელს ენაში დამკვიდრდა როგორც *surkrute*, 1973 წელს – *sorcrotés*, შემდეგ კი განიცადა ასიმილაცია *chou / croûte* სიტყვების გავლენით და დღეისთვის გვაქვს *choucroute*. ასევეა ლექსემა *girouette* “ფლუგერი”, ხალხური ეტიმოლოგიით მიღებული კომპოზიტი – *gierer+rouette*. სინამდვილეში კი ეს სიტყვა უკავშირდება ანგლო-ნორმანდიულ ტერმინს *vedrviti* რომელიც XII საუკუნეში მკვიდრდება *wirewite* ფორმით. ანგლო-ნორმანდიულში ის ნიშნავდა “ქარის ინდიკატორს” *indicateur (viti) du vent (vedr)*. ლიტერატურულ ტექსტებში ეს კომპოზიტი მეტაფორულად “ქარიშხალში მოხვედრილ ხომალდს” აღნიშნავდა. XVI საუკუნეში შეიცვალა ამ ლექსემის ორთოგრაფია, კერძოდ „r“-ს ჩაენაცვლა „i“. ცოტა მოგვიანებით კი მისი ეტიმონის მნიშვნელობის გავლენით, რადგანაც ძვ. ფრანგული *wirewite* ფორმალურად არ უკავშირდებოდა ნაცნობი მნიშვნელობის მორფემას ერთმანეთს დააკავშირეს *gierer* “ტრიალი” → *rouette* “პატარა ბორბალი” და ამ ფორმით არსებობს თანამედროვე ფრანგულ ენაში.

ძვ. ფრანგულის საზღვაოსნო ტერმინი *calfeter* “დაფარვა, დაგმანვა” *feutre* ლექსემის გავლენით ახალ ფორმას იღებს *calfeutrer*. *cal* - სეგმენტი კი ისევ ამოუცნობი რჩება.

სიტყვა *Fainéant*-ის (ზარმაცი, უქნარა) დღევანდელი ორთოგრაფია ხალხურ ეტიმოლოგიას უკავშირდება, რომელიც მას აკავშირებს სიტყვებთან *fait* (საქმე) და *néant* (ამაო). სინამდვილეში ეს არის ლექსემების *feignéant* ან *faignéant* (უქნარა) დეფორმაცია, ზმნის *feindre* (თავის მოჩვენება, სიმულირება) აწმყოს მიმღეობა.

faubourg – გარეუბანი. ძველ ფრანგულში უკავშირდებოდა *fors-borc*-ს, სადაც *borc* ნიშნავდა პატარა დასახლებას (*bourg*), *fors* კი იყო წინდებული (ლათ. *foris* =

hors de), ეს წინდებული აბსტრაქტული მნიშვნელობით გვხვდება ფრანსუა I-ის ცნობილ ფრაზაში: “*Tout est perdu fors (hors de, sauf) l’honneur*” – ყველაფერი დაგვარგეთ ღირსების გარდა.

ასე რომ, ეტიმოლოგიურად *faubourg* ნიშნავს "ქალაქისაგან მოშორებულს" (*hors de bourg*). ისმის კითხვა, არის თუ არა აუცილებელი პარონიმული ატრაქციის მითითება (ძველ და თანამედროვე ფრანგულში) განხილული სიტყვის მიმართ, რადგანაც მას არ განუცდია ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ცვლა. პარონიმული ატრაქციის პროცესებზე დაყრდნობით, ამ შემთხვევაში, ვადგენთ, თუ როგორი ორთოგრაფიული ვარიანტით შემოვიდა ლათინურის გავლენით *faubourg* და რომ დიდხანს იწერებოდა ცალ-ცალკე *falsus burgus* და ითარგმნებოდა როგორც *faux bourg* "ცრუ ქალაქი". მაგრამ აქაც შეიძლება გაჩნდეს ეჭვი - პარონიმული ატრაქციის ნაცვლად მცდარ "მეცნიერულ ეტიმოლოგიასთან" ხომ არა გვაქვს საქმე? ცრუ ეტიმოლოგია სულ სხვა მოვლენაა. ის იქმნება პროფესიონალთა და მოყვარულთა მიერ, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ენასთან. მაშინ, როცა დამწერლობა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული, სწავლულები გარკვეულ ზეგავლენას ახდენდნენ მასზე. ეყრდნობოდნენ რა ფრანგული და ლათინური სიტყვების მსგავსებას, ენაში შემოჰქონდათ ფუძე ენისაგან წარმოებული მსგავსი აღსანიშნის მქონე ლექსიკური ერთეულები:

pondus→*poids* "წონა, სიმძიმე",

legatum→*legs* "ანდერძით დატოვებული ქონება",

tempus→*entretemps* "დროის მონაკვეთი, ინტერვალი". და ა. შ. ცრუ ეტიმოლოგია მეცნიერული ეტიმოლოგიის საფუძველზე არსებობს. თავის მხრივ, ხალხური ეტიმოლოგიაც ცრუ ეტიმოლოგიის პრინციპებს იყენებს, მაგრამ ის სიტყვის ისტორიას "არქივის გარეშე ქმნის" (შოვო, 1991:47-61).

ფრანგულ ენაში უხვად არის დუბლეტები, რომლებიც ენაში პარონიმულ წყვილებს ქმნის:

advenire→*avenir* /*advenir*

alba→*aube* /*album*

adversus→*averse* /*adverse*

altitia→*hautesse* /*altesse*

affirmare →*affermer* /*affirmer*

aptitudinem →*aptitude* /*attitude*

<i>arc</i> → <i>arc /arche</i>	<i>includere</i> → <i>enclore /inclure</i>
<i>assignare</i> → <i>asséner / assigner</i>	<i>induratus</i> → <i>enduré /induré</i>
<i>bullā</i> → <i>boule /bulle</i>	<i>interpāusare</i> → <i>entreposer /interposer</i>
<i>campus</i> → <i>camp /champ</i>	<i>inversus</i> → <i>envers /inverse</i>
<i>caplivus</i> → <i>chétif /captif</i>	<i>legalis</i> → <i>loyal /légal</i>
<i>coementum</i> → <i>cément /ciment</i>	<i>plicare</i> → <i>plier /ployer</i>
<i>confidentia</i> → <i>confiance /confidence</i>	<i>relaxare</i> → <i>relacher /relaxer</i>
<i>cópolu</i> → <i>couple /copule</i>	<i>subvenire</i> → <i>souvenir /subvenir</i>
<i>denudátus</i> → <i>dénué /dénudé</i>	<i>valentem</i> → <i>vailant /valant</i>
<i>inclinatiōnem</i> → <i>inclinaison /inclinatiōn</i>	<i>vitrum</i> → <i>verre / vitre</i>

პიერ გიროს გამოკვლევების მიხედვით (გირო, 1967:98), ეტიმოლოგიამ არ უნდა განიხილოს სიტყვები ცალ-ცალკე, არამედ უნდა განსაზღვროს ის ლექსიკური კატეგორიები, რომელშიც ეს სიტყვები თავსდება. ცრუ ეტიმოლოგია მოიცავს სიტყვათა მცირე რაოდენობას, უმეტესად კონკრეტულს და ერთმნიშვნელოვანს. ასე რომ, ცრუ ეტიმოლოგიაც შეგვიძლია პარონიმის მივაკუთვნოთ. ხალხური ეტიმოლოგია ეყრდნობა ხალხის სურვილს, გაიგონ თუ საიდან მოდის ესა თუ ის სიტყვა და ჩაწვდნენ მის არსს. ხალხური ეტიმოლოგიის მაგალითია სიტყვა *diab(l)ète*, რომელიც მორფემათა შემადგენლობით უახლოვდება ლექსემას *diable* (ეშმაკი). რაც შეეხება მათ ურთიერთკავშირს-ხალხის წარმოდგენით ეს ავადმყოფობა (დიაბეტი) ემართებოდა არაკეთილმოსურნე, ბოროტი სურვილით შეპყრობილ ადამიანს.

როცა სიტყვა ინტერპრეტირებულია სხვა ენაზე მოლაპარაკე ინდივიდის მიერ, ხალხი მას უკავშირებს მშობლიური ენის მსგავსი ჟღერადობის სიტყვას. ეს ფენომენი ხშირია ტოპონიმებში (ადგილის აღმნიშვნელი სახელები). ასე მაგალითად: *écharie* რაც გამორიყვის ადგილს ნიშნავს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღიქვეს როგორც *les souris*, რადგანაც ალვეოდენტალური სპირანტი S და ალვეოპალატალური Ch ხშირად მონაცვლეობს მეტყველებაში. მდინარეს, რომელიც ამ ადგილზე ერთვოდა, ერქვა *Apokusis Sipis* – თავგების მდინარე. ფრანგებმა ეს სახელი გაიგეს როგორც *Rivière Apoucouchiche*.

მოგვიანებით *rivière* ჩამოცილდა და დარჩა *Apoucouchiche*, შემდეგ კი არტიკლის დართვის შედეგად მივიღეთ *La Poucouchiche*.

პატარა სოფელი, რომელიც დღეისათვის ცნობილია *La Mitaine* –ის (თათმანი) სახელით, ადრე ერქვა *Petite- Allemagne*. საინტერესოა, რამ გამოიწვია ეს, ერთი შეხედვით შეუსაბამო სახელის ცვლილება? ამის მიზეზია სოფლის ერთი პატარა კოშკი, სადაც იმართებოდა სავარაუდოდ ინგლისელ პროტესტანტთა შეხვედრები ანუ ინგლ. *Meetings*. ეს სიტყვა ასოცირდა ფრანგულ *mitaine* –თან (*meetings / mitaine*) და მოხდა მისი დენომინაცია.

პარონიმია ვრცელდება როგორც ტოპონიმებზე, ისე პიროვნებებზე. მაგალითად, გერმანელი მითიური მასხარა, კალამბერგის კიურე, მიჩნეულია კალამბურის მამად. ალბათ მის საპატივცემულოდ გაჩნდა ლექსიკონში სიტყვა კალამბური, რაც სიტყვათა თამაშს ნიშნავს. ენაში მრავლად არის სიტყვათა თამაშის საფუძველზე შექმნილი სახელები - პარონიმული ატრაქციის, მნიშვნელობისა და ბგერების მსგავსებით გამოწვეული დეფორმაციები. წინადადებაში: *Tu es un Charles!*¹¹ (*tu racontes des histoires!* ნუ იტყუები!) *Charl(es)* სინამდვილეში არის სიტყვის *charlatant* (შარლატანი, თაღლითი) შემოკლებული ფორმა. ლინგვისტი დოზა¹² მიიჩნევს, რომ პატარა ქალაქი *Le Val de Vire* ვოდევილის სამშობლოა. წინათ მისი ფორმა იყო – *vaudevire*. აქ მოსახლე მეწისქვილე პოეტმა პირველმა დაწერა ამ ქანრის კრებული. სუფიქს *ille*-ს რაღაც საერთო უნდა ჰქონოდა სიტყვა *ville*-თან. მკვლევართა აზრით, ვოდევილი პირველად ნიშნავდა სიმღერას, რომელსაც ქალაქში მღეროდნენ. *Vaudevire* შეიძლება მივაკუთვნოთ ტავტოლოგიით შექმნილ სიტყვებს, რომელშიც ასევე შედის ზმნები: *bouleverser* “დანგრევა”, *tournebouler* “აღელვება”, *virevolter* “მკვეთრად შემობრუნება, ტრიალი”.

¹¹ Henri VAN HOOFF *Les prénoms dans la langue imagée*, Meta : journal des traducteurs. Volume 43, numéro 2, juin 1998, p. 262-311. <http://id.erudit.org/iderudit/004531ar>

URI : <http://id.erudit.org/iderudit/004531ar>

¹² Raymond CUBY, იქვე.

ენაში არსებობს ისეთი სიტყვებიც, რომელთა სახელდება ხდება მათი წარმოების ადგილის მიხედვით: - *camembert, champagne*; (გირო, 1967:98). მეორე, უფრო პროდუქტიული მოდელია სახელდება ფიზიკური ნიშნის მიხედვით. აქ შედის მაგალითად ლაქებიანი, წინწკლებიანი ცხოველები თუ ფრინველები. პიერ გაროს ჰიპოთეზის მიხედვით, რომელიც დიალექტურ ფორმებს ეყრდნობა, *le maquereau* (სკუმბრია) – “მარმარილოსავით მოხატული თევზი” (*le poisson marbré de larges bandes*) ასე ეწოდა მისი ფიზიკური ნიშნის მიხედვით. ძველ პროვანსულში მას ეძახდნენ–*vairret*-ს (ლათ. *varius*) რაც ნიშნავდა „გარდამავალფერებიანს“. სიტყვა *Maquereau*-ს მეორე მნიშვნელობაა „მაჭანკალი“, „სუტენიორი“ (*proxenète*) უკავშირდება ლეგენდას-თითქოს სკუმბრიები გადაცურვის დროს ქაშაყებს მიჰყვებიან და ხელს უწყობენ მამრებისა და მდედრების დაახლოებას, ანუ მაჭანკალი თევზები არიან. ამ განმარტებას ვერ ნახავთ ვერც ზოოლოგიაში და ვერც ფოლკლორში, ეს არის ლეგენდა, რომელიც ხშირად მონაწილეობს ახალი მნიშვნელობის შექმნაში.¹³ ქართულ ენაში განვიხილოთ ლექსემა “*საპონელა*” მცენარე, რომლის ნამდვილი სახელწოდებაცაა „*საპონელა*“, რადგანაც დასრესისას საპონით ქაფდება. მას იშვიათად შეხვდებით (გამყრელიძე, 2003:55).

“*ძილისპირული*” ადრე ნიშნავდა საგალობლის ჭაშნიკს, დღეს კი შინაფორმის გავლენის შედეგად სიტყვამ “*ძილისპირმა*” მიიღო ძილის წინ წარმოსათქმელი სიმღერის მნიშვნელობა.

როგორც დავინახეთ, მეტყველების პროცესში პარონიმთა ეს ეფემერული თამაში აზრობრივ შეცდომებს წარმოშობს. ამ ფენომენის იდენტიფიკატორი ისევ ის ფორმალურად მსგავსი სეგმენტებია, რომლებიც მნიშვნელობის მქონე ერთეულებად აღიქმება.

¹³ Raymond Cuby, იქვე.

დასკვნები I თავის მიხედვით

პარონიმის საფუძვლების კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა სიტყვის ფორმალური ფაქტორის როლი ინფორმაციის კოდირებისა და დეკოდირების პროცესში, გამოგვეყო პარონიმის არსებობის ანთროპოლოგიური პრინციპები, ინდივიდის ცნობიერებაში სიტყვათა სელექციის კრიტერიუმები. ლექსმათა სემანტიკის სფეროს კვლევა სიტყვათშორის აზრობრივ კავშირებს მოიცავს. იგი ხანგრძლივი და საინტერესო პროცესია, თუმცა ჟღერადობის მსგავსების ფენომენი, რომელიც მხოლოდ ომონიმას არ გულისხმობს, ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ არის შესწავლილი. პარონიმია, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა მეტყველებაში მნიშვნელობებს შორის არსებულ განსხვავებას. მათი აღრევა კი ფონეტიკური სიახლოვით არის განპირობებული.

პარონიმია ბერძნულად (παρωνυμία) *“ახლო მდებარე, მსგავს სიტყვებს ნიშნავს”* (ჰინარი, 1989:313) და მეტყველებაში აზრობრივ შეცდომებს იწვევს. პარონიმია პარადიგმატული მიმართებების წიაღში ისახება და ვერბალურ კომუნიკაციაში ვლინდება, სადაც ხშირად აღმნიშვნელის როლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღსანიშნის. პარონიმთა კვაზი-იდენტურობა და სემანტიკური სხვაობა ხაზს უსვამს ამ ფენომენის ბინარულ სტრუქტურას და ფუნქციურ თავისებურებებს.

ენაში მოცემული სიტყვები კომპლექსური ერთეულებია. ისინი განისაზღვრება ფორმობრივი და სემანტიკური მახასიათებლებით, რომელთაგან ზოგი ლექსმა ემოციურ ხასიათს შეიცავს, ასახავს პოზიტიურ, ნეგატიურ ან ნეიტრალურ მიმართებებს. შესაბამისად, რეფერენტი ამ მიმართებებს ემოციურად აღიქვამს.

პარონიმის კვლევა მოიცავს მეტყველების კულტურის საკითხებს, კერძოდ, ნორმატიულ და კომუნიკაციურ ასპექტებს. სიტყვების მსგავსების პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს ლიტერატურული ნორმებიდან გადახვევა. მათი ურთიერთაღრევისა და კონტამინაციის საბაზს იძლევა თვით პარონიმის ორმხრივი სემანტიკურ – ფონეტიკური მსგავსება. ამ თვალსაზრისით, სიტყვების პარონიმულ კავშირს ხშირად შეცდომაში შევყავართ. პარონიმების სწორი გამოყენება

აუცილებელი პირობაა გრამატიკული კულტურული მეტყველებისათვის, და პირიქით, მათი არევა დაბალი მეტყველების კულტურის ნიშანია.

ეს ლექსიკური ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჰომორგანული (ერთი და იმავე სამეტყველო ორგანოთი წარმოთქმული) და ჰეტერორგანული (სხვადასხვა სამეტყველო ორგანოთი წარმოთქმული) ბგერებით. პარონიმულ ატრაქციას ხშირად მცდარად აიგივებენ “ხალხურ ეტიმოლოგიასთან”. მეტყველებისთვის დამახასიათებელი სპონტანური შეცდომის ე.წ. “*lapsus lingua*” განხილვის შედეგად ეს ფენომენი შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც პარონიმის ერთ-ერთი გამოვლინება.

პარონიმის მაგალითები ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გვხვდება, მაგალითად, თანამედროვე ფრანგულსა და ძველ ფრანგულში სიტყვა – *souffreteux*. ძველ ფრანგულში ნიშნავდა “ლატაკს”, “ლარიბს”, “უპოვარს” და უკავშირდებოდა არსებით სახელს *souffraite* (უკმარისობა, გაჭირვება). ბგერათა მსგავსების გამო თანამედროვე ფრანგულში დაუახლოვდა ზმნას *souffrir* და მიიღო “სუსტი ჯანმრთელობის”, “ავადმყოფურის” მნიშვნელობა (ნიკე, 1998:125).

პარონიმია თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროებს. სემანტიკას, როგორც მიმართებას აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, და პრაგმატიკას, როგორც ნიშნის მომხმარებლის დამოკიდებულებას ნიშანთან.

თავი II. პარონიმთა ლექსიკურ-სემანტიკური მახასიათებლები და მათი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ასპექტები ფრანგულ და ქართულ ენებში

2. 1. პარონიმთა ინტერფერენციის სემიოტიკური ასპექტების კვლევა

პარონიმის, როგორც ინტერფერენციული ფენომენის, სრულფასოვანი ლინგვისტური ანალიზი შეუძლებელია ამ მოვლენის სემიოტიკური საფუძვლების განხილვის გარეშე, რადგანაც *“ენა ნიშანთა სისტემაა, სადაც არსებითია მნიშვნელობისა და აკუსტიკური გარსის ურთიერთკავშირი”*¹⁴ (სოსიური, 2004:39).

ყველა სახის ლექსიკური ინტერფერენცია უკავშირდება ნიშნის საერთო ფუნქციურ მახასიათებლებს. ლექსიკური ჯგუფი, რომელიც ინტერფერენციის მიზეზია, ხასიათდება *“შინაარსისა და გამოხატულების პლანის ელემენტების განსაკუთრებული ურთიერთქმედებით”* (გაკი, 1998:9-10) განვიხილავთ ინტერფერენციული აღრევის სემიოტიკურ ასპექტებს, ენობრივი ასიმეტრიის პრობლემებს, პარონიმის, როგორც ნიშნის ბუნების თავისებურებებს. ენის სემასიოლოგიური აღწერის პირველადი დოქტრინები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოსიურს ეკუთვნის, რომლის მიხედვით ენობრივი ნიშანი ბინარულ ფსიქოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს მნიშვნელობისა (signifié) და აკუსტიკური გარსის (signifiant) ერთობლიობას. ნიშნის ძირითად თვისებად იგი მიიჩნევა აღმნიშვნელის ნებისმიერობას ან არამოტივირებულობას, რაც გამოწვეული იყო ორივე ელემენტის დამოუკიდებელი დიაქრონიული ცვლილებებით.

ენა თავისი ბუნებით უძლურია თავი დააღწიოს აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მუდმივ ურთიერთქმედებას. ამას ხელს უწყობს კომუნიკაციაც, რომელიც ენას სოციალურ ელემენტებს ანიჭებს. აღმნიშვნელის მნიშვნელობის ცვალებადობა გარკვეულ ბალანსს ინარჩუნებს საზოგადოების რეზისტენტობის შედეგად, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს ლინგვისტურ ინოვაციებს (სოსიური, 2004:83).

ამგვარად, ლინგვისტურ ნიშანს ახასიათებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ცვალებადობა და სტაბილურობა, რაც გამოიხატება ე.წ. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის *“ასიმეტრიულ დუალიზმში”*. აღსანიშნი მუდმივად ისწრაფვის

¹⁴ ფ. დე სოსიური, იქვე, გვ. 39.

შეიძინოს სხვა ფუნქციებიც, აღმნიშვნელი კი ცდილობს იპოვოს თვითგამოხატვის დამატებითი საშუალებები. ისინი ურთიერთასიმეტრიულნი არიან და არასტაბილურ ბალანსირებად მდგომარეობაში იმყოფებიან (კარცევსკი, 2004:245).

სწორედ ამის შედეგად იქმნება სიტუაციები, სადაც სიტყვის ერთი და იგივე “აკუსტიკური გარსი” სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს, ხოლო ერთი და იგივე მნიშვნელობა შესაძლებელია განსხვავებული ფორმით გადმოიცეს. გამოხატულების პლანში ორი ნიშნის ურთიერთდამთხვევას ომონიმიასთან (ხშირ შემთხვევაში კი - ომოფონიასთან) მივყავართ, ხოლო შინაარსის პლანში ურთიერთდამთხვევას – სინონიმიასთან. ნიშნის ამგვარი ასიმეტრიულობა, დიფერენცია გამოხატულებისა და შინაარსის პლანში, შეცდომები, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო და ნაკლებად არეგულირებს საზოგადოება, არ შეიძლება იყოს იგნორირებული, ის ანტინორმატიულ ხასიათს იძენს. ენა, როგორც სემიოლოგიური მექანიზმი, ორ - ზოგად და ინდივიდუალურ პოლუსს შორის მოქმედებს და თავისთავში შეიცავს კომუნიკაციის ორმაგ-ზოგად და ინდივიდუალურ – მახასიათებლებს. პარონიმის, როგორც ენობრივი ნიშნის სპეციფიკა შემდეგია: ენის ცვალებადობა პარონიმულ ერთეულთა შორის, ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული სახესხვაობა, წინააღმდეგობას იწვევს საზოგადოებაში, რაც თავის მხრივ გამოიხატება ლინგვისტთა მიერ მუდმივი მცდელობით მოახდინონ აღნიშნულ ერთეულთა სტაბილიზაცია, ეს მიიღწევა პარონიმთა ლექსიკონების შექმნით, სიტყვახმარების ნორმატიული საზღვრების დადგენით. თუმცა ენის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ პარონიმული წყვილები, მისი სტატუსი -“უარყოფითი ენობრივი რესურსი” დროთა განმავლობაში შესაძლებელია ნორმად გარდაიქმნას. სწორედ პარონიმთა ფონეტიკური სიახლოვე აძლევს მუდმივი ცვლილებების იმპულსს ენის ელემენტებს, რაც დამახასიათებელია „ასიმეტრიული დუალიზმისთვის.“ ამას ადასტურებს ხალხური ეტიმოლოგიის გზით შექმნილი ლექსიკური ერთეულები.

2. 2. ლექსიკურ პარონიმთა დიფერენციაცია მათი ვალენტობის მიხედვით

პარონიმული წყვილები პარადიგმატული მიმართებების საფუძველზე გამოიყოფა, მათ თანახმარების წესებს კი სინტაგმატური მიმართებები ავლენს. *“სინტაგმატური მიმართება აკავშირებს ენობრივ ერთეულებს, რომელიც მეტყველებისას გარკვეულ მიმდევრობას ქმნიან, ხოლო პარადიგმატული მიმართება–სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ასოციაციურად და შეუძლიათ ერთმანეთს ჩაენაცვლონ გარკვეულ გრამატიკულ (სინტაქსურ) კონტექსტში¹⁵.”*

ამგვარად, ვალენტობა სინტაგმატურ დონეზე გამოიხატება. ენობრივ ერთეულთა თანახმარების წესების შესწავლა სწორედ მას უკავშირდება. ტერმინი ფრანგ სტუქტურალისტს ლ. ტენიერს ეკუთვნის. ვალენტობა, ფართო მნიშვნელობით, არის ენობრივი ერთეულის უნარი, დაამყაროს სინტაქსური კავშირი სხვა ენობრივ ერთეულებთან, ვიწრო გაგებით კი ზმნისა და აქტანტების მიმართებებით განისაზღვრება. სიტყვათშორისი კავშირები წინადადებაში პრედიკატის აქტანტებით (ფრ. Actants « მოქმედნი) გადმოიცემა. აქტანტი აღნიშნავს პირს, საგანს, რომელიც მონაწილეობს ზმნით გადმოცემულ მოქმედებაში (გამყრელიძე, 2008: 253-254).

პარონიმული წყვილი თავისი აუცილებლობით მოიცავს რელევანტურობას, რადგანაც სწორედ რელევანტურ პოზიციებში ვლინდება ფონემათა დაპირისპირება. პარონიმები არ ხასიათდება სრული თანხვედრით, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ შეუძლებელია ერთი წევრის ჩანაცვლება მეორეთი ლექსიკური მიმართებებისა და აზრობრივი კავშირების ცვლილების გარეშე განხორციელდეს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სინტაქსური თვალსაზრისით მისაღებია პარონიმულ წყვილთა ურთიერთჩანაცვლება *ნაცნობი სახე / ცნობილი სახე, ნების მიცემა / ნებართვის მიცემა*, არა გვაქვს აზრობრივი თანხვედრა. ვალენტობას, როგორც სინტაქსურ ფენომენს, საფუძვლად უდევს სემანტიკური ინტუიცია. ის ლექსიკონური მიმართებაა. დარსკისის თანახმად „*ვალენტობა სემანტიკურ-სინტაქსური მოვლენაა*,

¹⁵ <http://www.scribd.com/doc/29001359/Lexikologie3> ლექცია

რომელიც ლოკალიზდება წინადადების წევრთა დონეზე და არაერთაზროვან დაქვემდებარებაში ცვალებადია” (დარსკისი, 1995:233).

სიტყვათა შეკავშირებისთვის, სულ მცირე, ორი ლექსემაა საჭირო. ამავდროულად, მას უნდა გააჩნდეს მაკავშირებელი აფიქსები, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ისეთი აფიქსების არსებობა, რომლებიც სიტყვებს შინაარსობრივად აკავშირებენ, სიტყვებისაგან ორგანიზებულ მთლიანობას ქმნიან.

გაემგ ზავრა/იმოგ ზაურა

1. შორ გზაზე წასვლა სამგზავრო ტრანსპორტით,
2. რაიმე მიზნით სხვადასხვა მხარეში სიარულს. ორივე ზმნა მოიცავს აგენსს, მაგრამ განსხვავდება გარემოებებით (ფრ. circonstance – « გარემოება »).

ნათლება/ნათლება

1. სინათლე, შუქი ეფინება (ოთახს), პრედიკატი უსულო პაციენსს მოიცავს.
2. განათლებას, ცოდნას იღებს, პრედიკატი სულიერ პაციენსს მოიცავს.

ასევეა გადაწერს/გადასწერს

1. ტექსტს – აგენსი+უსულო ადრესატი;
2. აგენსი+სულიერი ადრესატი.

შეაჯვარებს/შეაჯვარეობს

1. შეაწყვილებს აგენსი+სულიერი ადრესატი,
2. ჯვარედინად გააკეთებს – აგენსი+უსულო ადრესატი.

სემანტიკური კავშირებისა და ვალენტური მიმართებების მიხედვით (ლ. მორარუს მსგავსად, მაგრამ ის მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიებს გამოჰყოფს) პარონიმები შეგვიძლია დავყოთ განსაზღვრულ ჯგუფებად (მორარუ, 1984:20).

არსებითი სახელი (Nom):

1) კონკრეტული და აბსტრაქტული: *რეალია/რეალობა, აბონემენტი/აბონენტი abonnement /abonné; ბავშვი/ბავშვობა enfant/enfance, მეგობარი/მეგობრობა ami/amitié.*

2) პოზიტიური და ნეგატიური: *აფექტი/ეფექტი, გაკითხული /განკითხული /გაკიცხული, adroit/maladroit.*

3) საპირისპირო მნიშვნელობის: ემიგრაცია/იმიგრაცია, მევალე/მოვალე, *émigration/immigration*.

4) მიზეზ-შედეგობრივი: კრიმინალი/კრიმინალისტი, მეთოდი/მეთოდოლოგია, თარგმნა/თარგმანი; მწერლობა/დამწერლობა, სწავლება/სწავლა – *méthode /méthodologie*.

5) საერთო ფუძის მქონე მნიშვნელობით განსხვავებული პარონიმები: მოწამე/მოწმე, ორდენი/ორდერი, ნაცნობი/ცნობილი, ნაწარმი/ნაწარმოები, რეკლამაცია/რეკლამირება, საკითხი/საკითხავი. *acception/acceptation, stade/stage*.

ზედსართავი სახელი (Adjectif):

1) სულიერი და უსულო მიმართებების მქონენი (სულიერისთვის არის დამახასიათებელი თუ უსულოსთვის): ნერვიული (ადამიანი)/ნერვული (დაავადება), ნაოპერაციევი (ადგილი) /ნაოპერაციები (ბავშვი), *compréhensible/compréhensif*.

2) ტერმინოლოგიური თავისებურებების მქონენი: კომიკური/კომედიური, რითმული/რიტმული, პოეტური/პოეტიკური. *enfantine/infantile*.

3) განსაზღვრება, რომელიც თვისობრივ-კუთვნილებით დიფერენცირებას გამოხატავს: საბავშვო (ბავშვი)/ ბავშვური (ხასიათი), ქლავური (ცხოვრება)/ ქლავის (მკვიდრი), სასპორტო/სპორტული, სამეცნიერო/მეცნიერული.

4) საპირისპირო მნიშვნელობის მქონენი: უკვდავი/მოკვდავი, ურჩი/მორჩილი, *agréable/désagréable, possible/impossible*.

ზმნა (Verbe):

1) გარემოებით (სირკონსტანტებით) დიფერენცირებული: ასვამს (წყალს)/ასმევს (დაღს), აცვამს (ჯვარს) /აცმევს (კაბას), გამოიტანა (გარეთ)/ გამოატანა (წიგნი), *teindre/atteindre*.

2) საპირისპირო მნიშვნელობის მქონენი: ჩასუნთქვა/ამოსუნთქვა, გასახლება/განსახლება, თქმა/გადათქმა, თხოვნა/მოთხოვნა, *abjurer/adjurer*.

3) პოზიტიური და ნეგატიური: ამხელს/ამხილებს, აწყენს/აწყენინებს, *monter/démonter, faire/défaire*.

4) ქართულში გვაქვს კაუზატიური ფორმები: *ააშენა/ააშენებინა, იტირა/აატირა, ითამაშა/ათამაშა* რაც ფრანგულში *faire+verbe* კონსტრუქციით გადმოიცემა.

5) სულიერი და უსულო აქტანტების მქონენი: *აპატიებს /აპატივებს, აციებს (ავადმყოფს) /აცივებს (ღვინოს), განიწმინდა /გაწმინდა, გაიხარა /გაახარა, entendre /attendre.*

6) საერთო ფუძის მქონე მნიშვნელობით განსხვავებული პარონიმები: *აკომპლექტებს /აკომპლექსებს, კრეფს (ხილს) /კრებს (სტუდენტებს), აჩენს (წარმოშობს, ბადებს) /ამჩნევს (შენიშნავს), აცნობს /აცნობებს, მოიხდის (ბოდიშს)/ გადაიხდის (მადლობას), acception /acceptation.*

2. 3. პარონიმია და მისი კავშირი მონათესავე ლექსიკურ საშუალებებთან პარონიმია და ომონიმია, პარონიმია და სინონიმია, პარონიმია და ანტონიმია

პარონიმების შესწავლისას, ბუნებრივად ჩნდება კითხვა სხვა ლექსიკურ კატეგორიებთან მისი მიმართების შესახებ: ომონიმებთან, სინონიმებთან და ანტონიმებთან. ზოგიერთი მკვლევარი, ფორმალური სიახლოვის გამო, პარონიმას განიხილავს როგორც ომონიმის ერთგვარ სახეობას, როგორც “ფსევდო-ომონიმებს”. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, არისტოტელე პარონიმებს – როგორც რიტორიკის ფიგურას – ცალკე კატეგორიად გამოყოფდა. ფრანგული ენის ლექსიკონში ვკითხულობთ: “*Ces mots presque identiques – presque homonymes – sont des paronymes*“ (ჰინარი, 1989 :313) „ეს თითქოსდა იდენტური, თითქოსდა ომონიმური ლექსემები პარონიმებია.“ ეს განსაზღვრება შეგვიძლია იმით ავხსნათ, რომ ლინგვისტთა დიდი ნაწილი არ გამოყოფს პარონიმებს ცალკე, როგორც ლექსიკონის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ისინი მას ომონიმებში აიგივებენ, რაც არასწორია.

ომონიმია განსხვავებული მნიშვნელობების სიტყვათა ბგერობრივი თანხვედრაა. ომონიმურ ლექსემებს კონტექსტუალურად დეტერმინირებული მნიშვნელობა გააჩნია. ეს ფენომენი მაშინ ვლინდება, როცა მსგავი ფორმის ორ ან რამდენიმე სიტყვას განსხვავებული ეტიმოლოგია აქვს, მაგალითად სიტყვაფორმა *souci* აღნიშნავს ორ კონცეპტს - „დარდი, მწუხარება“ და „გულყვითელა“ (ყვავილი). აღნიშნულ კონცეპტებს ორი სრულიად განსხვავებული ეტიმონი აქვს:

souci (chagrin)→lat. Sollicitare

souci (fleur)→ lat. Solsequia

ასევეა ლექსემები: *son* (ბგერა / ქატო), *rue* (ქუჩა / ტეგანი - მცენარე), *canon* (ქვემეხი / ეკლ. წმინდა კანონი), *sommet* (მწვერვალი / სამიტი). ომონიმის ფენომენი ვლინდება მაშინაც, როცა ერთი ეტიმოლოგიური საწყისი ვეღარ აღადგენს სემანტიკურ კავშირს: - *grève* (ზღვის ნაპირი / გაფიცვა), *collège* (სასწავლო დაწესებულება/კოლეგია).

პარონიმის კავშირი მონათესავე ლექსიკურ-სემანტიკურ მოვლენებთან მიმართებაში პირველად შარლ ბალიმ შეისწავლა. მან თავდაპირველად პარონიმებს

“ფსევდო-ომონიმები” უწოდა (ბალი, 1995:193). თანამედროვე ლინგვისტიკაში პარონიმია ომონიმის, სინონიმისა და ანტონიმის მსგავს ენობრივ მოვლენად განიხილება. ასეთი მიდგომა ავლენს პარონიმის თავისებურ ბუნებას, მსგავსსა და განმასხვავებელ ნიშნებს, რაც თავის მხრივ გვეხმარება დავადგინოთ პარონიმთა ფუნქციონირების კანონზომიერება მეტყველების პროცესში.

ომონიმებს პარონიმის მსგავსი გენეტიკური საფუძვლები აქვს: ომონიმების წარმოშობის გამომწვევი მიზეზებია ფონეტიკური ცვლილებები, სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, დერივაცია, კონვერსია და ხშირად ნასესხები სიტყვები. ომონიმებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: - ომოგრაფები (გრაფიკულად იდენტური) და ომოფონები (ფონეტიკურად იდენტური). ომოგრაფებია:

– *Ferme la porte. Je vais à la ferme. Corinne n’est pas assez ferme avec ses enfants.*

(Ferme ფორმის ქართული ეკვივალენტებია : დახურე, ფერმა, მკაცრი).

– *J’ai loué une villa pour l’été. Je l’ai loué de sa ténacité.*

(Louer ზმნის ქართული ეკვივალენტებია: ქირაობა, შექება).

ომოფონების მაგალითია:

- *Fête de la musique. Faites de la musique.* ([fet] სიტყვის ქართული ეკვივალენტები: დღესასწაული, დაკვრა).

– *Mon père m’attend. Delphine n’a pas retrouvé sa paire de gants. Tu perds ton temps.* ([pe :r] ფორმის ქართული ეკვივალენტებია : მამა, წყვილი, კარგავ - დაკარგვა).

– *Vous êtes un sot. Il pleuvait à seaux. Je ne fais qu’un saut. Il m’a confié cette nouvelle sous le sceau du secret.* ([sc] ფორმის ეკვივალენტებია : სულელი, ვედრო, აქ - გამოთქმა: კოკისპირული წვიმა, ნახტომი, ბეჭედი, აქ - გამოთქმა : საიდუმლოდ)

როცა პარონიმიაზე ვსაუბრობთ, არ ვგულისხმობთ ფონეტიკურ თუ გრაფიკულ იდენტურობას. აქ საქმე გვაქვს ფორმის მსგავსებასთან, რაც ერთგვარ ენობრივ „მახეს” წარმოადგენს. ზოგჯერ პარონიმებსა და ომონიმებს შორის სხვაობა იმდენად მცირეა, რომ ერთი შეხედვით შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. ეს ის შემთხვევაა, როცა მსგავს სიტყვებში ერთში გრძელი ხმოვანია წარმოდგენილი, მეორეში – მოკლე, მაგალითად:

alène / haleine - სადგისი / ამოსუნთქვა;

chasse / chásse - ნადირობა / სამარტვილე;

tache / tâche - ლაქა, ნიშანი / სამუშაო, მისია;

reine / réne - დედოფალი / სადავე.

პარონიმია, ისევე როგორც ომონიმია და სინონიმია ენის სიმდიდრეა, ცოდნის საბადაოა. მასზე დაწერილა თითქმის ყველა ენაში, მაგრამ ის მაინც არასაკმარისად არის შესწავლილი (განსაკუთრებით ქართულში). ომონიმის შესწავლა ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ნაწილია. როგორც შეუძლებელია გავიგოთ ყველა სიტყვის ეტიმოლოგია, ისევე შეუძლებელია ერთგვარად მჟღერი ყველა სიტყვა ომონიმის მივაკუთვნოთ. ომონიმია უნდა განვასხვაოთ პოლისემიისაგან, სადაც ყველა მნიშვნელობა ერთიანდება ერთი აზრობრივი ღერძით და მხოლოდ მეტ-ნაკლებად შორდება მას, საქმე გვაქვს პოლისემიასთან, ხოლო როდესაც სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები ძლიერაა დამორებული სიტყვის ძირითად აზრს, კარგავს მასთან კავშირს და ერთმანეთს მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა და არა შინაარსით, საქმე გვაქვს ომონიმიასთან.

ომონიმთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ის სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს დაემსგავსნენ ფონეტიკური ცვლილებების გამო. მაგალითად, ძველ ქართულს ჰქონდა ფარინგალური ხშული „ჩ“ და უკანაენისმიერი სპირანტი „ხ“-ც, რომელმაც თანდათან განდევნა ენიდან ფარინგალური ხშული ბგერა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ქართულში რამდენიმე ომონიმის წარმოქმნას:

ხერხი – მოხერხება (კერკი) / ხერხი - იარაღი;

ხელი – ჯელი / ხელი – გიჟი, და ა.შ.

ომონიმის ქმნის აგრეთვე უცხოური ენიდან შემოსული სიტყვები, მაგალითად:

ასლი – ხორბლის ერთ-ერთი ჯიში; არაბ. დედანი;

ვადა – ხმლის ჯვარედი; არაბ. დრო;

ზარი – დასარეკი; სპარს. ტირილი;

ჯინნი – დაბალი კალათა; არაბ. ავი სული;

ბაზი – მწერი; სპარს. ქორი, მიმინო;

ხალი – ქუმელი; სპარს. ნოხი;

ჩინი – თვალის ჩინი; რუს. წოდება;

ბალი – ხილი; მიწისძვრის საზომი; ფრ. საზეიმო წვეულება; მიწისძვრის საზომი;

კაფე – გუგულის ხმიანობა; ფრ. პატარა რესტორანი.

სიტყვა ძილისპირი – ძველი “საგალობლის ჭაშნიკი”, გარეგნულად დაემთხვა ძილის პირს. ამ დამთხვევამ თავდაპირველი მნიშვნელობა გააბუნდოვანა და მივიღეთ სიტყვა – ძილისპირული – სიმღერა, რომელსაც ძილის წინ მღერიან.

ზმნა აზრობს – “ყინავს”, დღევანდელი შესატყვისია – აძრობს, მას დაემსგავსა ჟღერადობის მიხედვით.

წვანწვარა – შეიქმნა როგორც ნაკადულის ეპითეტი და ერთ-ერთი ჩიტის სახელწოდება. ნაკადულის ეპითეტად ეს სიტყვა ხმაბაძვის გამო ქცეულა.

პარონიმები ერთგვარად უახლოვდება სინონიმებს. უფრო მეტიც, პარონიმულ წყვილთა დიდი ნაწილი სინონიმურ პარონიმებს მოიცავს. სინონიმია, ზოგადად, ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას ეყრდნობა. ისინი სემანტიკური სტრუქტურის მთელი თავისებურებით ურთიერთჩანაცვლების ფართო არჩევანის საშუალებას გვაძლევს, მნიშვნელობის ყველაზე შესაფერისი სიტყვის შესარჩევად ურთიერთჩანაცვლების ვარიანტები გააჩნია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხშირად ადგილი აქვს პარონიმების სინონიმებში გადასვლის შემთხვევებს: *s'adonner/se donner* - გატაცება, მიდრეკილების ქონა / თავის მიძღვნა, თავის გადადება, *fainéant / feignant* - ზარმაცი, უქნარა /უსაქმური, უქნარა, (რასაც თან ახლავს აზრობრივი ნიუანსების დიფერენცირება). ომონიმის, პარონიმისა და სინონიმის გასამიჯნად უნდა გამოვყოთ მათი განმსაზღვრელი ნიშნები:

1. სემანტიკური თვალსაზრისით: სიტყვათა მსგავსება;
2. მორფოლოგიური თვალსაზრისით: საერთო ფუძისეული მორფემების მქონე მეტყველების ერთი და იგივე ნაწილები;
3. ფონეტიკური თვალსაზრისით: სიტყვათა ბგერითი გარსის მსგავსება.

ამრიგად, პარონიმის ომონიმისაგან ფორმალური ასპექტი განასხვავებს, მაგრამ რადგანაც მეტყველებაში მნიშვნელობა უმეტესწილად მოტივირებულია, კონტექსტურად არის განპირობებული, ამიტომაც, მათი მსგავსება, სწორედ რომ გარეგნულია/ზედაპირულია. უფრო ღრმა და ნიშანდობლივია კავშირი სინონიმებთან. მათი გამიჯვნისას რამდენიმე გარემოების გათვალისწინება გვიწევს:



სქემა 3.

ერთფუძიანი სიტყვები სინონიმებად აღიქმება მაშინ, თუ ისინი საერთო აზრს გამოხატავენ, გააჩნიათ საერთო მოცულობის მნიშვნელობები, საერთო ლექსიკური ვალენტობა, ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს წარმოადგენენ

და სტილისტურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაშინ, როცა პარონიმული ერთეულები ხასიათდება განსხვავებული აზრობრივი ნიუანსებითა და არ გააჩნიათ მნიშვნელობის ერთნაირი მოცულობა, არ გამოიყენება ერთსა და იმავე ლექსიკურ შესიტყვებებში. ერთფუძიანი სიტყვები პარონიმებად იმ შემთხვევაში იქცევა, თუ თავისი ლექსიკური მნიშვნელობისაგან გარკვეულ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ და დიფერენცირებას მიაღწევენ. ეს კი ძირითადად დერივაციული პროცესების შედეგად ვლინდება. მაგალითად:

- მწერლობა / დამწერლობა, მხატვრული / სამხატვრო,*
- მოცურავე/მცურავი, მანქანური / სამანქანო.*
- gênant / gêné - შემაწუხებელი/შეწუხებული,*
- ennuyeux / ennuyant - მოწყენილი / მოსაწყენი.*

პარონიმების აზრობრივი განსხვავება ხშირად ანტონიმურ დამოკიდებულებაში შედის, ისინი შეიძლება დაპირისპირებული იყოს კონტექსტის მიხედვითაც. მაგალითად: *სამსახური/მომსახურება*, ან საპირისპირო მნიშვნელობის პრეფიქსების საშუალებით ამგვარად, პარონიმები, სინონიმები, ომონიმები, თავიანთი სპეციფიკაციის მიხედვით ჰომოგენურ სისტემებს ქმნიან. პარონიმია ჰეტეროგენურია მხოლოდ ანტონიმის მიმართ.

“ომონიმია და სინონიმია პარონიმისთან მიმართებაში წარმოგვიდგება როგორც ორი მთავარი კორელაციური კოორდინატი” (კარცევსკი, 2004:242). ამგვარად, პარონიმია, ომონიმისა და სინონიმის შუალედური მოვლენაა, თუმცა მსგავსი ჟღერადობის მქონე ეს ლექსემები არასოდეს არაა იდენტური გამოხატულების პლანში და არც მათ მნიშვნელობებს ახასიათებს იგივეობა. აღსანიშნავია ასევე ამ ლექსიკურ კატეგორიებს შორის არსებული “გარდამავალი ზონები”, რამდენადაც სწორედ ეს ელემენტებია სისტემაში ყველაზე დაუცველი (კარცევსკი, 2004:156).

ენის ფონეტიკურ-სემანტიკურ სისტემაში პარონიმთა შუალედური მდგომარეობა აიხსნება ფონეტიკური და სემანტიკური თანხვედრით (ერთმნიშვნელოვანი სიტყვა) და სრული ფონეტიკური და სემანტიკური შეუთავსებლობით (სხვადასხვა სიტყვებია განსხვავებული მნიშვნელობებით).

სქემა 3¹⁶. პარონიმის ბინარულობა (ორპლანიანობა)



¹⁶ სქემა ჟ. ოუენის მოდელის მიხედვით

პარონიმია ერთობ რთული და კომპლექსური ენობრივი მოვლენაა, რომლის არსიც მდგომარეობს თანამჟღერი სიტყვების ორმხრივ ფონეტიკურ-სემანტიკურ ურთიერთქმედებაში, როგორც:

accident /incident - უბედური შემთხვევა, ავარია/ინციდენტი, გაუთვალისწინებელი შემთხვევა;

conjecture /conjoncture - ვარაუდი/ ვითარება.

თავისი ბუნებით პარონიმია მოიცავს ომონიმასა და სინონიმას, მაგრამ განსხვავდება ორივესაგან. თუ ომონიმია ბგერათა სრული დამთხვევაა, პარონიმია ფონეტიკური თანახმიანობაა და არ ახასიათებს ბგერების სრული იგივეობა.

სინონიმები მნიშვნელობით ახლოს მდგომი სიტყვებია (ხშირად ურთიერთჩანაცვლებადი), პარონიმები კი სემანტიკური კავშირის მიხედვით განსხვავდება. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ სინონიმური და მომიჯნავე (ან მსგავსი) ცნებითი კავშირები, ასევე სხვადასხვა სახის უზუალური თუ ოკაზიონალური კავშირი, რომელიც თავს იჩენს მეტყველებაში. პარონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართება არ გულისხმობს ერთმნიშვნელოვან გააზრებას.

პარონიმის ანალიზი ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებაში არსებული მნიშვნელობების მცირე განსხვავებას. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, პარონიმია ვლინდება არა მსგავსება – განსხვავების ურთიერთობით, არამედ ფონეტიკური და სემანტიკური სიახლოვით.

2. 4. ენათშორისი პარონიმები. ინტერფერენციული პარონიმების აღრევა

ინტერფერენციულობის ფენომენის სრულყოფილი აღწერილობა ორი ძირითადი პროცესის შედეგად მიიღება: 1. ენობრივი სისტემების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე პოტენციური ინტერფერენციის კვლევა და 2. შესაძლო ინტერფერენციული ვარიანტების გადამოწმება. ზოგჯერ მეორე პროცესი წინ უსწრებს პირველს, ეს ხელს უწყობს არსებული მექანიზმის შესახებ დასკვნების წინასწარ გამოტანას. ის შემუშავებულია მოსაუბრის მიერ ორი ენის ფარგლებში მსგავსებისა და განსხვავებების დასადგენად (პანომარევა, 2005:51). ამგვარად,

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ინტერფერენციული აღრევის ორი შესაძლო გზა ფრანგული ენის მცოდნე ქართველებში. ცხადია, ისეთი ფრანგული ენათშორისი (ინტერფერენციული) პარონიმების გამოვლენისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ ფონეტიკური კორელაცია ქართული ენის სიტყვებთან, როგორცაა

gronder /grogner - ღრენა, გადატ. ბუზღუნნი /ღრუტუნნი, ყმუილი, გადატ.

ბუტბუტი, ბუზღუნნი;

bouillir /bouillonner – დუღილი / დუღილი, გადატ. განრისხება, აღელვება;

tentation /tentative - ცდუნება, სურვილი / მცდელობა;

შესაძლებელია მხოლოდ პირველი მეთოდის გამოყენება, რომელიც თავისი არსით საფუძვლად დაედო ურთიერთჩანაცვლებადი ლექსემების არსებობას. არაკორელაციურ პარონიმებს, რომლებიც პოტენციური შეცდომების ნიადაგს ქმნის (ორი ენის ფარგლებში), შეპირისპირებითი მეთოდის საშუალებით ვავლენთ, ხოლო ფონეტიკურად მსგავსი კორელაციური ტიპების დასადგენად (ერთი ენის შიგნით) შემდეგი მეთოდით ვსარგებლობთ: **დაკვირვება →ექსპერიმენტი→შედარება**. კორელაციური პარონიმების შედარების მეთოდი ექსტრალინგვისტური ინტერვენციის თავისუფალი გამოვლინებაა. ის უკავშირდება მოსაუბრის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, დროში ლიმიტირებას, დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებს. ფრანგული და ქართული ენის ლექსიკური სისტემების სემანტიკების შედარებისა და ლექსიკოგრაფიული წყაროების საფუძველზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ კორელაციური პარონიმები სხვა ერთმარცვლიანი სიტყვებისაგან და წინასწარ დავადგინოთ შესაძლო შეცდომები. სწორედ ამაში მდგომარეობს შემოთავაზებული მეთოდის მიზანი (ამ მეთოდს იყენებს პონომარიოვა თავის კვლევაში). განვიხილოთ პროცედურულად:

ვარჩევთ ფორმალურ-ფონეტიკური კორელატის მქონე ქართული ენის ლექსემებს და მას პირობითად აღვნიშნავთ FK (ფონეტიკური კორელატი) - ინიციალებით (პონომარიოვა 2008:81). (პარონიმები შევარჩიეთ შ. აფრიდონიძის “ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონის” მიხედვით).

მეორე ეტაპი საკუთრივ შეპირისპირებაა. შერჩეული ერთეულების სემანტიკურ ეკვივალენტობას ვუპირისპირებთ ფრანგული ენის კორელატურ ფორმებს. ფორმალურ-სემანტიკურად სიმეტრიული პარონიმები წარმოდგენილია ურთიერთმკვეთ ერთეულებად.

დაბოლოს, კორელაციურ სიტყვათა საფუძველზე, რომლებიც პოტენციურ შეცდომებად შეგვიძლია მივიჩნიოთ (სემანტიკური ეკვივალენტობის სრული ან ნაწილობრივი დარღვევა), გამოვავლენთ პარონიმთა შესაძლო აღრევის შემთხვევებს. შეირჩევა ჟღერადობით მსგავსი ფრანგული კორელატების ქართული ეკვივალენტები.

ჩვენ მიერ განხორციელებული შეპირისპირებითი მეთოდის ცენტრალურ ნაწილს შეადგენს ენათშორისი სემანტიკების სემანტიკური კვლევა, რომელსაც თან ერთვის ეტიმოლოგიური და ფორმოზოგიური ანალიზი. გამოვყოფთ ანალიზის შედეგად გამოვლენილ ფრანგულ-ქართულ კორელაციურ სიტყვებში სემანტიკურად ურთიერთქმედ კავშირებს. ქართული ენის ლექსიკურ ერთეულებს ვუსადაგებთ ფრანგული ენის ფორმოზოგიურ-ფონეტიკურ კორელატებს.

სიტყვების ბგერითი გარსის თანხვედრა ფრანგულსა და ქართულ ენებში მოსაუბრეს უქმნის მცდარ შთაბეჭდილებას და ის სპონტანურად აიგივებს აღნიშნული ენების ლექსემათა მნიშვნელობებს, ხდება ე.წ. მნიშვნელობათა ტრანსფერი. მნიშვნელობის გადატანის მექანიზმი მდგომარეობს ცრუ ასოციაციებში, რომლის საფუძველიც გახლავთ ცრუ ფონეტიკურ-სემანტიკური მსგავსება. ქართულ ლექსიკურ ერთეულთა ფონეტიკური კორელაცია (FK), ჩვენი კვლევის ფარგლებში უკავშირდება მსგავსი ბგერობრივი გარსის მქონე ფრანგული ენის კორელატებს, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მათ შორის არსებობს არტიკულაციური, გრაფიკული, მორფოლოგიური თავისებურებები, რაც საკუთრივ ფრანგული ენისთვის არის დამახასიათებელი, მაგალითად:

კლასიფიცირება /classifier,

ალოგიკური /alogique,

კავალერი, მხედარი /cavalier.

შესაბამისი კორელატების დადგენა სწორედ ფორმოზ-ფონეტიკური კრიტერიუმებით ხორციელდება. ზოგ შემთხვევაში, ფორმალურ-სიმეტრიულ პლანში, ქართული და ფრანგული ენების ლექსიკური ერთეულები მნიშვნელობათა სიმეტრიულობით ხასიათდება:

პათეტიკური = pathétique,

პროტოტიპი = prototype,

მანევრირება = manoeuvrer,

ანალოგი = analogue

ზოგჯერ კი მათი მნიშვნელობები ასიმეტრიულია:

გრირი ≠ grime მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავით

≠ სასაცილო მოხუცის როლი;

ვულგარიზაცია ≠ vulgariser გაყალბება, დამახინჯება /გავრცელება,

ავანტიურა ≠ aventure საფუძველს მოკლებული, შემთხვევითი წარმატების

იმედით წამოწყებული უპერსპექტივო საქმე

≠ მოულოდნელი მოქმედება, სასიყვარულო ინტრიგა;

გარნიტური ≠ garniture ერთგვარი დანიშნულების საგანთა კომპლექტი ≠ მოსართავი.

ლექსემა ოპერატიულ-ს ფრანგულში ორი შესატყვისი გააჩნია opératoire / opératif;

opératoire მოიცავს შემდეგ მნიშვნელობებს:

1. relatif à une opération (რისამე ოპერაციასთან დაკავშირებული);

2. qui concerne une action organisée de façon méthodique en vue d'obtenir un résultat déterminé (განსაზღვრული შედეგის მისაღებად გარკვეული მეთოდით ორგანიზებული მოქმედება);

3. qui concerne les interventions chirurgicales (ქირურგიული ჩარევა);

médecine opératoire – ქირურგია;

méthodes opératoires - ოპერატიული მეთოდები.

მისი არანორმატიული კორელატი ე.წ. "ცრუ მეგობარი" უფრო მეცნიერულ და ფსიქოლოგიურ სფეროში გვხვდება, ადრე სქოლასტიკური ტერმინი იყო. ენათშორის პარონიმთა შეუთავსებლობა შესაძლებელია ზოგჯერ უმართებულო თარგმანით იყოს

გამოწვეული, რადგანაც „ოპერატიული“ ზოგჯერ „საომარ ოპერაციას“ გულისხმობს. ამ შემთხვევაში ნორმატიულ ეკვივალენტად გამოიყენება ლექსემა *opérationnel = relatif aux opérations militaires, aux aspects de stratégies qui concernent plus particulièrement les opérations, les combats* (სამხედრო მოქმედება, სტრატეგიული ოპერაციები, შეტაკება): *base opérationnelle* - სწრაფი მოქმედების ბაზა. ამგვარად, ლექსიკურ ერთეულს - „ოპერატიული“ ფრანგულ ენაში სამი კორელატი მოეპოვება: *opérateur / opératif / opérationnel*, რომელთა შორის არჩევანს შესაბამისი კონტექსტური მნიშვნელობა განსაზღვრავს.

სინონიმური მნიშვნელობის ინტერფერენციული პარონიმების ფუნქციური დემარკაცია შესაძლებელია გამოიხატოს ერთ-ერთი პარონიმის გამომსახველობითი შესაძლებლობების შეზღუდვით. განვიხილოთ ლექსემა „გრავიტაცია“, რომელსაც ორი თარგმნითი ეკვივალენტი გააჩნია: *gravitation / gravité*. მიუხედავად იმისა, რომ არანორმატიული კორელატი *gravité* მოძველდა, მაინც შენარჩუნებულია გამოთქმებში:

Loi de la gravité – მიზიდულობის კანონი;

Centre de gravité – მიზიდულობის ცენტრი.

როგორც პირდაპირი მნიშვნელობით:

-Ce nez en porte-à-faux semble entrainer le corps en avant, déplacer son centre de gravité, et causer à Plattner une sensation constante de déséquilibre - კონსოლის ცხვირმა თითქოს წინ წამოსწია კორპუსი, გადმოიტანა მისი მიზიდულობის ცენტრი და პლატნერის წონასწორობის დარღვევა გამოიწვია;

ისე გადატანითი მნიშვნელობით:

-Par ces agrandissements, le centre de gravité de l'Autriche fut brusquement déplacé vers l'Italie et l'Orient (Bainville) - ტერიტორიების გაფართოების მიზნით, ავსტრიის ყურადღება უცებ იტალიასა და აღმოსავლეთზე გადაინაცვლა.

განსაზღვრული ლინგვისტური თანაფარდობით ხასიათდება სინონიმური ზედსართავები *minimum / minimal (qui constitue un minimum)*, რომელიც ქართული სიტყვის "მინიმალური" ეკვივალენტებია. თუ გამოთქმაში *მინიმალური დოზა* ორივე

კორელატის სუბსტიტუციაა შესაძლებელი *dose minimale /minumum*, სხვა შემთხვევაში ისინი ე.წ. "ცრუ მეგობრის" როლში გამოდიან, მაგალითად:

Température minimale – მინიმალური ტემპერატურა,

Paire minimale – მინიმალური წყვილი, მაგრამ

Minimum de frais – ხარჯების მინიმუმი,

Salaire minimum – მინიმალური ხელფასი.

იგივე შეიძლება ითქვას ლექსებზე *სინქრონული* → *synchrone /synchronisé*:

Moteur synchrone – სინქრონული ძრავა,

Natation synchronisée – სინქრონული ცურვა.

ქართული ენის თარგმნითი ეკვივალენტი შესაძლებელია ფუნქციური შესაბამისობითაც გამოირჩეოდეს და ამ თვალსაზრისით გააჩნდეს სინონიმური სუბსტიტუციის უნარი : *დეკორაცია* → *décor / décoration*.

Décoration: 1. *Action de décorer* - მორთვა, მოკაზმვა - მოქმედება.

2. *Résultat de cette action* - ამ მოქმედების შედეგი.

3. *Objets servant à décorer* - გასაფორმებლად, მოსართავად საჭირო ნივთები.

4. *Insigne honorifique* -საპატიო ნიშანი, ორდენი.

Décor: 1. *Ce qui décore* - ის, რითაც ირთვება - დეკორი.

2. *Décoration d'une pièce de théâtre* - თეატრალური პიესის დეკორაცია.

La décoration /le décor d'une église - ეკლესიის დეკორაცია

მაგრამ

Les décors de cet opéra sont splendides - ამ ოპერას დიდებული დეკორაცია აქვს.

"*Quand on ne peut pas changer le monde, il faut changer les décors*" (Daniel Pennac)¹⁷

- თუ სამყაროს შეცვლა არ ძალგვიძს, დეკორაციები უნდა შევცვალოთ.

Ces montagnes formaient à sa demeure un décor magnifique – ეს მთები მუდამ მშვენიერ დეკორს (ფონს) ქმნიდნენ.

La décoration du premier acte - პირველი აქტის დეკორაცია.

¹⁷ Daniel Pennac, *La petite marchande de prose*, Gallimard, Paris, 1997.

Les ténèbres et la lumière, les saisons, la marche des astres... varient les décorations du monde“ (CHATEAUB. , Génie, I, V, 2)¹⁸ –“ წყვდიადი და სინათლე, წელიწადის დრონი, მნათობთა სვლა ... ცვლის სამყაროს დეკორაციებს.”

როგორც ვხედავთ აზრობრივი თანხვედრა ხდება décor-ისა I და décoration-ის III მნიშვნელობებში. დანარჩენ შემთხვევაში ისინი არანორმატიული კორელატებია. ამ ტიპის ინტერფერენციულ პარონიმებს წარმოადგენს ლექსემები:

ჰარმონიული→*harmonieux/harmonique*,

ინტენსიური→*intense/intensif*,

კლასიფიკაცია→*classer/classifier*,

რომანტიკული→*romanesque /romantique*,

ემიგრანტი→*émigré /émigrant*.

თანახმიერ სიტყვათა აღრევის მიზეზი ცხადია, ყოველთვის ერთგვარი არ არის. მცდარი სუბსტიტუცია, გამოწვეული ცრუ მსგავსებით არ არის რელევანტური იმ პირთათვის, რომელთათვისაც მოცემული ენა უცხოური ენაა. მაგალითად კლასიფიკაცია→*classer /classifier* აღრევა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ქართველისათვის ამ ორ ფრანგულ კორელატს შორის განსხვავება უცნობია, ის არ დასტურდება ქართულ ენაში და მნიშვნელობები გაერთიანებულია ლექსემაში "კლასიფიცირება". თარგმნითი ეკვივალენტი *classer* და ფორმალური კორელატი *classifier* ურთიერთჩანაცვლებადია შემდეგი მნიშვნელობებით: "*répartir en classes, en catégories*," "კლასებად, ჯგუფებად დაყოფა". ამასთანავე, *classer* ზმნის მნიშვნელობის მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე ფორმალური კორელატისა *classifier*, რაც პრაქტიკულად ხელს უწყობს მის გამოყენებას "ცრუ მეგობრის" როლში. მაგალითად:

Classer 1. placer dans une classe, dans une catégorie - გარკვეული კლასისადმი მიკუთვნება, გარკვეულ კატეგორიაში მოთავსება;

2. mettre dans un certain ordre - მოწესრიგება, გარკვეულ რიგზე დალაგება.

classer des papiers - საბუთების მოწესრიგება, აღნუსხვა.

¹⁸ François Auguste Chateaubriand, *Génie du Christianisme* V 2, Kessinger Publishing , 2010.

3. *mettre à sa place, dans un classement, ranger son dossier, la considerer comme terminée, renoncer à la poursuivre* (თავის ადგილზე დადება, შეწყვეტა, დასრულებულად მიჩნევა).

classer un édifice comme monument historique - კონკრეტული შენობის მიკუთვნება ისტორიული ძეგლებისადმი.

classer le lapin parmi les rongeurs - ბოცვრის მოთავსება მღრღნელების კლასში.

Classer une affaire - საქმის შეწყვეტა.


ინტერფერენციული პარონიმების მნიშვნელობათა ნაწილობრივი დამთხვევა არ ფარავს სუბსტიტუციის არანორმატიულობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანგული სიტყვების ქართული ვარიანტები უცხოური ენიდან შემოსულ კონცეპტებს წარმოადგენს, ეს არის პირდაპირი ან შუალობითი ნასესხობები.

2.5. კორელაციური ტიპის ინტერფერენციული პარონიმების სტრუქტურული დახასიათება

კორელაციური ტიპის ინტერფერენციული პარონიმების აღრევას იწვევს “ცრუ მეგობრების” ფორმალური მსგავსება. მოსალოდნელი აღრევის შესაძლებლობა მოცემულია ქართული და ფრანგული ენების ლექსიკურ-ფონეტიკურად ურთიერთქმედი ერთეულების სტრუქტურაში. პირველ რიგში ეს გამოიხატება ორი ენის დონეზე სიტყვათა მსგავსებაში, ჩვენს შემთხვევაში ქართულსა და ფრანგულ ენებში, როგორც სიტყვების ფორმალური კავშირი: *არომატი* → *arôme / aromate* (კეთილსურნელება, სასიამოვნო სურნელი / არომატი, სურნელოვანი ბალახები, საკმაზი). ქართული ლექსემა “*არომატი*” სემანტიკურად ითავსებს ფრანგული ენის ორივე ლექსიკურ ერთეულს, მოიცავს როგორც საკმაზის, გემოს მნიშვნელობას, ისე სურნელის, კეთილსურნელების მნიშვნელობას.

ენობრივი ერთეულის არანორმატიულ გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ენათმორისი ურთიერთქმედების სამი კრიტერიუმი: ქართული ენის ლექსიკური ერთეული, თარგმნითი (ფრანგული) ეკვივალენტი (EF) და ფორმალური კორელატი (FK). ეს სქემატურად ასე გამოისახება:

სქემა 4. (სქემა ეკუთვნის პანომარიოვას)



ამგვარად, საქმე გვაქვს კომპლექსურ ენათშორის მოვლენასთან, სადაც ენათშორისი კავშირი ერთგვარ იმპულსს აძლევს კორელაციურ წყვილებს და ადგილი აქვს მსგავსი წარმოთქმის მქონე ლექსემების აღრევას. მოცემულ მაგალითში ინტერფერენციული პარონიმებს შეესაბამება ფრანგული ენის ორი, ხოლო ქართული ენის ერთი ლექსიკური ერთეული, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოდგენილია როგორც ეკვივალენტური მნიშვნელობა (aromate), ხოლო მეორე – ფორმალური კორელატი, ე.წ. “ცრუ მეგობარი”, ასევეა შემდეგ წყვილებშიც:

- არალოგიკური → *Illogique //alogue,*
- დაბომბვა → *bombarder //bomber,*
- ვიტრაჟი → *vitrail //vitrage,*
- დემონსტრირება → *montrer//démontrer,*
- დიაგნოზი → *diagnostic//diagnose,*
- კომუნიკაბელური → *communicatif //communicable.*

გარდა ამისა, შეპირისპირებითი მეთოდით გამოვლინდა ინტერფერენციული ურთიერთობების კომპლექსური სტრუქტურები. თუ პირველი ტიპის წყვილები შეიცავს შესაბამის თარგმნითი ეკვივალენტსა და ფორმალურ-ფონეტიკურ კორელატს, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება ქართული ენის ეკვივალენტს, მეორე ჯგუფში, ფორმალური კორელატი ან ნორმატიული ეკვივალენტის, ან კიდევ “ცრუ მეგობრის” როლში გამოდის. უფრო სიღრმისეულად გავიაზროთ ეს პროცესი: როცა

ქართულ სიტყვას ფრანგული ენის ორი ან მეტი მსგავსი წარმოთქმის ეკვივალენტი შეესაბამება, სრულიად შესაძლებელია მოხდეს აღრევა და უმართებულო სუბსტიტუციებმა აზრის ბუნდოვანება წარმოშვას. სიტყვას, როგორც სემიოტიკურ მოვლენას, პოლისემანტურობა და სემასიოლოგიური ასიმეტრია ახასიათებს. პოლისემანტურობა მოცემულია სიტყვა-სტატიის ორენოვან ლექსიკონებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ქართული სიტყვის მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული ფრანგული ლექსიკური ერთეული შეესაბამება:

ჰუმანიტარული → *humaine (sciences humaines) /humanitaire,*

თალი → *arche (f) (ხიდის)/arc.*

ამ შემთხვევაში ფორმალური კორელატი ზოგჯერ ნორმატიულია, ზოგჯერ კი, კონტექსტის მიხედვით, “ცრუ მეგობარს” წარმოადგენს.

დასკვნები II თავის მიხედვით

პარონიმთა ვალენტური დიფერენცირება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ლექსიკურ პარონიმთა ჯგუფები, განვსაზღვროთ მათი სემანტიკური კავშირები და ვალენტური მიმართებები. აღნიშნული ენობრივი მოვლენის სიმეტრიული/ასიმეტრიული დუალიზმი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს პარონიმის, როგორც ენობრივი ნიშნის ორპლანიანობასა და ფუნქციური თავისებურებაზე, სხვა ლექსიკურ ერთეულებთან მის კავშირზე. ლინგვისტთა ერთი ნაწილი პარონიმებს ომონიმებად მიიჩნევდა, თანამედროვე ფრანგულ ენაში კი ის ცალკე ჯგუფად გაერთიანდა და მიიღო პარონიმის სახელწოდება, თუმცა ბევრი ლინგვისტი მათ შორის აბსოლუტურ ზღვარს ვერ ხედავს. ენათმეცნიერთა მეორე ნაწილი პარონიმის ომონიმებთან, ომოგრაფებთან, ომოფონებთან და პარასინონიმებთან ერთად აჯგუფებს “ცრუ მეგობრების” სახელწოდებით. ტერმინი “faux amis” პირველად ინგლისელმა მეცნიერებმა, კოსლერმა და დეროკინიმ¹⁹ გამოიყენეს. ის შემოვიდა ინგლისური ენიდან “false friend”- სახელწოდება ზუსტად შეესაბამება იმ ლექსიკური ერთეულების გამოხატვას, რომლის ფორმამ თუ მნიშვნელობამ შეიძლება გაურკვევლობა შეიტანოს კომუნიკაციაში. კოლინიონისა და ბერტიეს მიხედვით, სინტაგმა “faux amis” - “ცრუ მეგობრები” - შეიძლება გამოვიყენოთ როგორც რამდენიმე ენის ფარგლებში, ისე ერთი ენის შიგნით (კოსლერი 1928:20).

როგორც დავინახეთ, პარონიმია იზიარებს სინონიმისა და ომონიმის ნიშნებსა და მახასიათებლებს, მაგრამ ამავდროულად განსხვავდება ორივესაგან, მკვეთრი ზღვარის გავლება მათ შორის პირობითია, განსაკუთრებით რთულია ეს, როცა გამიჯვნა ხდება ღია და დახურული, ან გრძელი და მოკლე მარცვლების მიხედვით. ასეთი შემთხვევა მრავლად გვაქვს ფრანგულ ენაში. მათ პარონიმებად მიიჩნევს ფრანგული ენის ენციკლოპედიური ლექსიკონი.²⁰

²⁰ *Le Nouveau Petit Littré* de Emile Littré, Livre de poche, Paris, 1990.

პარონიმიის ინტერფერენციული ბუნების მცირე ექსპერიმენტით კვლევის საფუძველზე, დავადგინეთ კორელაციური ტიპები და ფონეტიკური ეკვივალენტები ფრანგულსა და ქართულ ენებში. კორელაციური ტიპის ინტერფერენციული პარონიმების აღრევას ხშირად “ცრუ მეგობრების” ფორმალური მსგავსება იწვევს.

თავი III. ლექსიკურ პარონიმთა წარმოქმნის გზები ფრანგულ და ქართულ ენებში

3.1. სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური შეფერილობის შეცვლის

გზით წარმოქმნილი პარონიმები

ჟღერადობით მსგავს სიტყვათა სტრუქტურულ ორგანიზაციას, განვითარებისა და ცვალებადობის მიზეზებს ვიკვლევთ ენათმეცნიერების სამი ძირითადი ვექტორის - სემანტიკის, ფონეტიკური ცვლილებებისა და ეტიმოლოგიის თვალსაზრისით. სემანტიკური კვლევები ერთგვარ ბიძგს აძლევს ეტიმოლოგიას იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს მნიშვნელობისა და ფორმის ურთიერთმიმართებას. მისი დახმარებით ვლინდება ის ფორმალური მსგავსება, რომელიც თითქოს წმინდა დამთხვევაა (როცა ორი სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა მოცემულია ერთ ფორმაში *voler* – ფრენა/ მოპარვა). სემანტიკური კვლევები აღადგენს ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სიტყვა *bureau*-ს, რომელიც ადრე აღნიშნავდა “მქისე შალის ნაჭერს” (*bure*). ნ. ბუალო თავის ერთ-ერთ სატირაში სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს მას:

“- (*Damon*) *n'étant vêtu que de simple bureau,*

Passe l'été sans linge et l'hiver sans manteau.”²¹

ამ სიტყვამ შემდეგ მიიღო განსხვავებული მნიშვნელობები: 1. საწერი მაგიდა – *un bureau Louis XV*. 2. კაბინეტი – *Veillez entrer dans mon bureau*. 3. ბიურო, განყოფილება – *bureau de renseignement, un chef de bureau*. 4. აღმასრულებელი ბიურო – *Les députés ont élu leur bureau*.

Agile /agir ფორმების მსგავსებაც ისტორიულ-კულტურული კონტექსტის მეშვეობით დგინდება: *agir*-მა დაკარგა სივრცითი მნიშვნელობა (*avancer* – პირველი მნიშვნელობა მისი ლათინური ეტიმონისა – *agere*), ასევე გაუჩინარდა ნაწილაკი – *ile*, რომელიც აკავშირებდა ლათინურ *agilem*-სა და *agere*-ს. დღეისათვის *Agile /agir*

²¹ *Damon, ce grand auteur*

http://poesie.webnet.fr/lesgrandsclassiques/poemes/nicolas_boileau/damon_ce_grand_auteur.html

სრულიად განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობის მქონე მსგავსი ჟღერადობის მქონე ერთეულებია.

მაგალითად:

"Il [l'amour] rend agile à tout l'âme la plus pesante " ²²MOL. , Éc. des f. III, 4

სიტყვის ფონემური გარსის ცვლილებების შესწავლით სემანტიკა ორმაგ როლს ასრულებს: ადადგენს სიტყვის მივიწყებული ფორმის მნიშვნელობას და ადგენს სემანტიკურ კავშირს, რის საფუძველზეც ვლინდება ის ფორმალური მსგავსებები (პოლისემია, ომონიმია, პარონიმია), რომლითაც სიტყვა ბგერითი შედგენილობით ემსგავსება სხვა სიტყვებს, ანუ თუ შევისწავლით სიტყვას გარკვეული დროის განმავლობაში, ერთი ან რამდენიმე ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილების შეთავსების მოწმენი გავხდებით, ამიტომ ხშირად აუცილებელია გადავხედოთ სიტყვის ისტორიულ წარსულს, მის განვლილ გზას, რომ ჩავწვდეთ ლექსემათა ფორმოზრივი მსგავსების არსს (ნიკე, 1998 : 66-67).

სტილისტიკური, გრამატიკული, ფონეტიკური, სემანტიკური მნიშვნელობების გარდა, პარონიმებს ლექსიკოლოგიური მნიშვნელობაც აქვთ. ისინი აქტიურად მონაწილეობს ახალი ლექსიკური მნიშვნელობების შექმნაში. აქ საქმე გვაქვს ატრაქციულ წარმოებასთან, რომლის დროსაც ხდება ჟღერადობით მსგავსი სიტყვების დაკავშირება და ახალი ლექსემების წარმოქმნა. მაგალითად *pantomime* მივიღეთ *panto + mine* „სახე“ შერწყმით, და არა *panto + mime* „მიმიკი“-საგან. სიტყვა *infarctus* შეიქმნა *fracture* „მოტეხილობა“ სიტყვის მოდელზე და ა.შ. გვაქვს ანალოგიის საფუძველზე შექმნილი გამოთქმებიც: *de conserve*– ერთად, თანაზიარად. ამ გამოთქმის გავლენით შეიქმნა *de concert*, რომელიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება :

fil d'aplomb – შვეულად, ვერტიკალურად ;

fil à plomb – შვეულად.

voguer de conserve – ერთობლივი სვლა,

agir de concert – ერთობლივად მოქმედება.

²² Molière, *L'École des femmes*, Acte III, scène 4 Libro, Paris.

ამგვარად, პარონიმული კვლევა ინტერდისციპლინარულ მიდგომას საჭიროებს. მისი შესწავლა, თავისივე მრავალმხრივი ბუნების გათვალისწინებით, მოიცავს ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ფონეტიკის, სემანტიკის, პრაგმატიკის, სტილისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის ასპექტებს.

3.2. წარმოქმნილ სახელთა პარონიმები. პარონიმთა მორფემული სტრუქტურა

სიტყვის შინაგანი და გარეგანი მხარის ურთიერთქმედების პრობლემა სიტყვაწარმოებით პროცესებშიც აისახება და ხელს უწყობს პარონიმული წყვილების შექმნას. ნაშრომში განვიხილავთ წარმოქმნილ სახელთა პარონიმებს, გამოვყოფთ ფუძისეულ და აფიქსისეულ მორფემებს და ვადგენთ პარონიმთა სემანტიკურ დიფერენციას; ეს საკითხი ლ. მორარუს მიხედვით, მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მოითხოვს შემდეგი ამოცანების დასახვასა და გადაჭრას:

1. პარონიმის ადგილის განსაზღვრა ენის ლექსიკურ სისტემაში; მისი შედარება ომონიმასთან, ერთფუძიან სინონიმებსა და ანტონიმებთან;
2. წარმოებულ პარონიმთა ტიპების განსაზღვრა, მათი ფორმალური და ლექსიკურ-სემანტიკური ნიშნები;
3. მოტივირების ხარისხი და იდიომატური მნიშვნელობები;
4. აფიქსაციით მიღებული პარონიმთა მნიშვნელობები.

სიტყვათწარმოებითი პროცესების კვლევა აღრმავებს ჩვენს თვალსაწიერს სიტყვის მნიშვნელობის ფორმირებაზე. დერივაციული ასპექტების შესწავლა თეორიულ ონომასიოლოგიაში აიხსნება იმით, რომ ენის ეს სფერო თავისთავში გულისხმობს ახალი ფორმების შემოღებისა და მზა ლექსიკური ერთეულების თანაარსებობის კანონზომიერებას. ამ თვალსაზრისით სიტყვაწარმოების ფენომენი იმ ლექსიკურ ერთეულთა ერთობლიობაა, რომლითაც იმართება სახელდების მექანიზმი და იქმნება ლექსიკურ ერთეულთა მოდელირების სისტემა.

ზოგად ენათმეცნიერებაში სიტყვაწარმოება განისაზღვრება როგორც სიტყვათა ფორმირების პროცესი, რომელიც მოიცავს მორფემებისა და ლექსიკური

ელემენტების კომბინაციას. სიტყვათწარმოება განსხვავდება სიტყვათა კომპოზიციისაგან, რომლის დროსაც სიტყვა იქმნება ლექსიკურ ერთეულთა შეწყვილებით. მაგალითად *maisonnette* (პატარა სახლი) დერივაციული ფორმაა, ხოლო *gratte-ciel* (ცათამბრჯენი), ქართულში - *გულკეთილი, ფურირემი* კომპოზიტებია. დერივაცია განსხვავდება ფლექსიისა და კომპოზიციისაგან. ფლექსია მორფოლოგიას ეკუთვნის და ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის ვარიანტებს მოიცავს.

დანიელ კორბენი, დერივაციულ მორფოლოგიაში *"La morphologie dérivationnelle"* აპირისპირებს მარტივ და შედგენილ სიტყვათფორმებს:

"Un mot construit est un mot dont le sens prédictible est entièrement compositionnel par rapport à la structure interne" (კორბენი, 1987: 22)

*"შედგენილია სიტყვა, რომლის წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობა მთლიანად კომპოზიციურია შიდა სტრუქტურასთან მიმართებაში"*²³.

სიტყვაწარმოება იკვლევს ენის ლექსიკურ ფონდს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ენობრივი მოვლენა უკავშირდება გრამატიკას, უფრო ზუსტად კი სიტყვის მორფემულ შემადგენლობას, ის სცილდება მორფოლოგიის შესასწავლ ობიექტს (რადგანაც ეს უკანასკნელი იკვლევს სიტყვის შემადგენელ ნაწილებს) და ცალკე კატეგორიად განიხილება. მორფემა ენის ორმხრივი ერთეულია (ფონემას მხოლოდ ერთი, გამოხატულების – მხარე აქვს), მას აქვს როგორც გამოხატულება, ასევე შინაარსი. მორფემა ენის აბსტრაქტული სიდიდეა და მუდამ გარკვეული ვარიანტებით (ე.წ. მორფემით) რეალიზდება. ამ ვარიანტებს ალომორფებს (*allos* – სხვა) უწოდებენ (მინდაძე, 2009:100).

განასხვავებენ ძირეულ, ფლექსიურ (ფორმამცვლელი) და სიტყვამაწარმოებელ მორფებს. ძირეული მორფემები სიტყვის ლექსიკური საფუძველია, მისი აზრობრივი ღერძია. მაგალითად, ძირეულ მორფემებში *lait, laitage, laitier, laiterie, laiteux* აზრობრივი ბირთვი გამოიხატება მორფემით *lait-*, რომელსაც ყოველგვარი აფიქსაციის გარეშე გააჩნია სიტყვის მსგავსი ფუნქციონირების უნარი, თუმცა თან

²³ თარგმანი ჩვენია

ახლავს გრამატიკული კომპონენტები (არტიკლი, დეტერმინატივები). ძირეულ მორფემას არა აქვს მოტივირებული მნიშვნელობა (ორი სიტყვის ბგერობრივი და აზრობრივი კორელაცია, რომელთაგანაც ერთ-ერთი იწარმოება მეორისაგან). -age, -erie, -ier, -eux სიტყვაწარმოებელი მორფემებია. ისინი ცვლიან ძირეული მორფემის ზოგად მნიშვნელობას (*lait-*) და ამასთანავე გამოხატავენ განსხვავებულ მიმართებებს: განსაზღვრულ ერთგვაროვან საგნებს -age, გაყიდვის ადგილს -erie, პიროვნებას -ier, საგნის ნიშან-თვისებას -eux. თუ შევადარებთ ლექსემებს *laitier/laitière*, გამოვყოფთ ძირეულ და სიტყვაწარმოებელ მორფემებს, მივიღებთ მნიშვნელობის მცვლელ ალომორფს -e, რომელიც გრამატიკულ კატეგორიას ეკუთვნის, უფრო ზუსტად კი, მდედრობითი სქესის მაწარმოებელ სუფიქსს. განსხვავებენ თავისუფალ და დამოკიდებულ მორფემებს. პირველი ტიპის მორფემები ემთხვევა სიტყვას და შესწევთ ფუნქციონირების უნარი; მეორე ტიპის მორფემები კი სხვა მორფემებთან თანაარსობენ. ისეთ ენობრივ ფორმას, რომელშიც ერთდროულად წარმოდგენილია თავისუფალი და დამოკიდებული მორფემები (*feuillage, herbage, laiteux*) ბლუმფილდი კომპლექსურ მორფემებს უწოდებს (ბლუმფილდი, 1968:167-168).

თ. გამყრელიძე წერს: “ყველაზე მრავალრიცხოვანია იმ მორფემის ჯგუფი, რომლებიც გვხვდება როგორც დერივაციულ, ისე ფლექსიურ კონსტრუქციებში” (გამყრელიძე, 2008:181) ქართულში ასეთი მორფემები ბმულია, ფრანგულში – თავისუფალი. დერივაციული ანუ სიტყვაწარმოებითი მორფემები ერთვის ძირეულს (*abjurer/adjurer*→*jur*); ყველაზე მცირერიცხოვანია ფლექსიური ანუ ფორმამცვლელი მორფემები (ისინიც ყოველთვის ბმულია).

სიტყვაწარმოების პროცესების კვლევის შედეგად გამოიყოფა ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების კონსტრუირების მოდელები. სიტყვაწარმოებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნომინაციის (სახელდების) თეორიაში. იგი, კომპოზიციასთან ერთად, ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებაა. ახალი ლექსემა იბადება სიტყვაწარმოების მოდელის მიხედვით. მაგალითად, ფრანგულ ენაში *V+EUR* სუფიქსი აწარმოებს არსებით სახელს. ამაში მდგომარეობს განხილული მოდელის სტრუქტურული მნიშვნელობა. -eur, -ien, -iste, -teur

ფორმანტები სინონიმური მნიშვნელობის მქონე მორფებია, მაგრამ რატომ არის რომ *affichiste* – არის ის, ვინც აფიშას ხატავს, ხოლო *afficheur* – ვინც აფიშას აკრავს; *fumiste* – 1. მეღუმელე; 2. ფანტაზიორი, *fumeur* – მწეველი (ხალიფმანი, 1983:31). ეს კითხვა ხაზს უსვამს სიტყვაწარმოებითი პროცესების მნიშვნელობასა და ენაში ფორმანტების სიძლიერეს. ქართულში დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებია –ი, –მა, –ს, –ის, –ით...; ასევე გვაქვს მნიშვნელობის მცვლელი ფორმანტები: –ოსან, –ოვან, –ეთ, –სა-ო; *სალიტერატურო /ლიტერატურული*. ფაქტი, რომ მოცემული საგანი იწოდება მოცემულ სიტყვად, ანუ აღსანიშნის საგნობრივი მიმართება აღმნიშვნელთან დამოკიდებულია არა სიტყვაწარმოებით მოდელზე, არამედ სოციუმზე, მის გამოცდილებაზე, რომელიც საბოლოოდ ნორმად ფორმდება. ენობრივი ნორმა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ სუფიქსთა დუბლეტები, როგორც აზრობრივად განმასხვავებელი ერთეულები:

abatement / abattage - დაქანცულობა, გულგატეხილობა / ტყის ჩეხა;

boisement / boilage ტყის გაშენება, ხის დარგვა/ ტყის გაშენება, ხით შემოფიცვრა. თუმცა ისეც ხდება, რომ დროთა განმავლობაში სინონიმური მნიშვნელობის მქონე სუფიქსი-დუბლეტი მნიშვნელობის დიფერენცირებას ახდენს. ატრაქციის შედეგად *effleurement* (ოდნავ შეხება, ხელის გადასმა) და *effleurage* (ოდნავ შეხება) ფიქსირდებოდა ლარუსის²⁴ ლექსიკონში, ხოლო 1966 წლის გამოცემაში ამ სიტყვა-სტატიის გვერდით გამოჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელობა *effleurage* – მსუბუქი მასაჟი. ასე გაფართოვდა დუბლეტის მნიშვნელობა.

ამგვარად, შეგვიძლია აფიქსთა პარონიმულ ხასიათზეც ვისაუბროთ, გამოვიყენოთ მსგავსი ჟღერადობის სიტყვამაწარმოებელი ფორმანტები. წარმოქმნილ სახელთა პარონიმიაში, სტრუქტურული თვალსაზრისით, გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1) მარტივი ფორმის პარონიმები და 2) რთული ფორმის წარმოქმნილი პარონიმები. პირველი ჯგუფი მოიცავს ერთეულებს, რომელთა კომპონენტები შეიცავს მხოლოდ ერთ აფიქსს: *გადა-თქმა*, *ა-იდგამს/ამო-იდგამს*. მეორე ჯგუფში შედის ის პარონიმული წყვილები, როლებიც შეიცავს მინიმუმ ორ აფიქსს:

²⁴ *Dictionnaire des difficultés de la langue française*, Larousse, Paris.1971.

არა-კანონი-ერი / არა-კანონზომი-ერი, არა-სისტემ-ური / არა-სისტემ-ატ-ური.
მნიშვნელობის მაწარმოებელი/შემცვლელი მორფემების საფუძველზე შეგვიძლია მოვახდინოთ პარონიმთა შემდეგი კლასიფიკაცია: 1) **ძირეული**, 2) **აფიქსალური** (პრეფიქსაციითა და სუფიქსაციით წარმოებული) და 3) **ფლექსიური** პარონიმები.

ძირეული პარონიმები სიტყვის ფუძეს ემთხვევა და ძირითადად ხმოვანმონაცვლეობით მიიღება:

აღქმა/აღთქმა, ბანკნოტი/ბანკროტი, გამყივანი/გამყინავი,

altitude / attitude - დამოკიდებულება / სიმაღლე,

virage / rivage - ნაპირი / შემობრუნება.

პრეფიქსაციით მიღებული პარონიმები საერთო ფუძის მქონე წარმოქმნილი სიტყვებია: *გა-შენება/ა-შენება, é-migré/im-migré* - ემიგრანტი/იმიგრანტი.

უფრო მრავალრიცხოვანია სუფიქსური პარონიმები, რომელთა წარმოებაც პრეფიქსული პარონიმების პრინციპით ხდება:

ბლოკ-ადა/ბლოკ-ირება, გაგ-ება/გაგ-ონება,

ეკრან-ირება/ეკრან-იზირება, დავალ-ებული/დავალ-იანებული

origin-al / origin-el - ორიგინალური, პირველი / თავდაპირველი, პირველადი, პირველყოფილი;

parti-al/parti-el - მიკერძობული არაობიექტური / ცალკეული, ნაწილობრივი;

littér-aire / littér-al - ლიტერატურული / დამწერლობისა, სიტყვასიტყვით;

égal-er / égal-iser - გათანაბრება, გატოლება / გატოლება, სპორტ. ქულების გათანაბრება.

ფლექსიური ტიპები მრავლობითი რიცხვისა და მდებარეობითი სქესის (ფრანგულში) მაწარმოებლებით გამოიხატება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარონიმული წყვილები შედგენილობის მიხედვით, ფრანგულ და ქართულ ენებში, ძირითადად პრეფიქსული და სუფიქსური წარმოებისაა. ფლექსიური და ფუძისეული პარონიმები მცირერიცხოვანია. ასევე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პარონიმული წყვილების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი წყარო ერთნაირი ჟღერადობის მქონე აფიქსებია (პრეფიქსები და სუფიქსები), რომლებიც ერთვის ფუძეს და სემანტიკურ

ცვლილებებს იწვევს. ამ პროცესის შედეგად ძირეული მორფემები გარდაიქმნებიან
ორ ან სამ მსგავსი მნიშვნელობის მქონე ლექსემად, ერთმანეთს არ ენაცვლებიან.
მაგალითად: *აპარატი / აპარატურა, ასაკოვანი / ასაკობრივი;*

effraction / infraction - გატეხვა, შემტვრევა / დარღვევა (ლათ. ეტიმონი →frangere).

სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურის შესწავლას განსაკუთრებული
მნიშვნელობა აქვს პარონიმული კავშირის ანალიზისათვის. სიტყვის
მორფოლოგიური ანალიზის მთავარი ერთეული მორფემა "*unités doués d'un contenu
sémantique et d'une expression phonique*" (მარტინე, 19672:101) „ერთეული, რომელსაც
გააჩნია სემანტიკური შინაარსი და ფონეტიკური გამოხატულება“. ეს არის ენის
მინიმალური ერთეული, რომელსაც გააჩნია ენის ფუნქციონირების არსებითი
ნიშნები: ბგერითი და აზრობრივი მხარე. მორფემა რეპროდუცირდება ენაში,
ბლუმფილდის განმარტებით, მორფემა (ბერძნ. morfe – ფორმა) მნიშვნელობის მქონე
ფონემათა თანმიმდევრობის მინიმალური ფორმაა, რომელიც მასზე უფრო მცირე
ერთეულებად აღარ დაიშლება. განვიხილავთ ლექსიკურ მორფემებს, რომელიც
სიტყვას ინდივიდუალურ სემანტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს. ის ძირითადად
დერივაციულ აფიქსებს მოიცავს და სიტყვის მოდიფიკაციებს ახორციელებს (ხდება
ლექსემის სემანტიკური და სინტაქსური ცვლილება), ახალ ლექსიკურ ერთეულებს
ქმნის. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ფუნქცია. არსებობს დერივაციის რამდენიმე
ტიპი: პრეფიქსაცია, სუფიქსაცია, პარასინთეზი (აფიქსაცია) (ხალიფმანი, 1983:9).
ლექსიკურ ერთეულთა ანალიზი ხდება პარადიგმატული (ერთ კლასში შემავალ
სიტყვათა შესწავლა) და სინტაგმატური (სიტყვათა კონტექსტუალური)
მიმართებებით. ლექსიკურ სემანტიკაში მოიაზრება ლექსიკის ქვეჯგუფი,
მიკროსისტემა, რომელიც ცნებებს აკავშირებს სიტყვებთან (უზრუნველყოფს
ცნებების კავშირს სიტყვებთან), ანუ იქმნება ასოციაციები ცნებით და ლექსიკურ
ველებს შორის. ცნებით ველში წარმოდგენილია ქვეჯგუფი, რომელიც თავის მხრივ
უზრუნველყოფს ობიექტთა დიფერენცირებას. მაგალითად:

éclaircir / éclairer - განათება, გაღიაგება/განათება, შუქის მოფენა,

prolongement /prolongation - გაგრძელება სივრცეში/გახანგრძლივება, განაგრძობს /აგრძელებს; განვსაზღვრავთ სიტყვაში შემავალი თითოეული მორფის ტიპს, მათ თანმიმდევრობას, ფონემურ მოდიფიკაციებს.

პარონიმები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად, რომელთაგანაც პირველი ჯგუფისათვის დამახასიათებელია მორფოლოგიური განსხვავება და აქვს ფონეტიკურად მსგავსი ფუძე და პირობითად ვუწოდებთ ფუძისეულს:

âcre / âpre - მძაფრი / მკვეთრი, მკაცრი;

cérébral /cervical - ცერებრალური, გონებრივი /ვისრისა,

endémie / épidémie - ენდემური, მუდმივი / ეპიდემია,

leste / preste - მარდი, მკვირცხლი / სწრაფი.

მეორე ჯგუფის პარონიმებს იგივე ფუძე გააჩნიათ, მაგრამ პრეფიქსებითა და სუფიქსებით განსხვავდება:

abjurer / adjurer - უარყოფა / ვედრება;

complaire / plaire - მოწონება, გულის მოგება / გულის მოგება;

anarchique /anarchiste - ანარქიული, უწესრიგო /ანარქისტი;

populaire / populeux - სახალხო / ხალხმრავალი. ამ პარონიმებს შესაბამისად პრეფიქსულს ან სუფიქსურს ვუწოდებთ. ფუძისეულ პარონიმებს შესაძლებელია ეტიმოლოგიური საწყისი ერთი ჰქონდეთ. ერთი ეტიმოლოგიის მქონე ფუძისეული პარონიმების რაოდენობა შედარებით მცირეა, ხოლო სიტყვათწარმოებითი პარონიმები (აფიქსური) პარონიმთა დიდ ნაწილს მოიცავს. აქედან გამომდინარე, პარონიმული აღრევა ზოგჯერ სიტყვაწარმოებითი და ეტიმოლოგიური ცვლილებების არსებობას უფრო ეყრდნობა, ვიდრე ფონეტიკურ მსგავსებას.

ფუნქციურ ურთიერთობაში პარონიმი არის სიტყვა, რომელიც ხშირად შეცდომით გამოიყენება. მათ შორის გამოიყოფა მეტ-ნაკლებად მყარი ნაწილიც, რომელიც ძალიან ადრე იყო რეგისტრირებული ლექსიკონში.²⁵ მაგალითად:

bétail /bestiaux - პირუტყვი / კრებითი სახელი: პირუტყვი;

²⁵ Thomas A. V. *Dictionnaire des difficultés de la langue française*. Hachette, Paris. 1956

consommer / consumer - მოხმარება / ხარჯვა, გაფლანგვა;

conjoncture / conjecture - ვითარება / ვარაუდი;

fleurissant / florissant - აყვავებული / გაფურჩქნული, განვითარებული, აყვავებული;

acroire / croire - დარწმუნება / ფიქრი, დაჯერება. ცალმხრივ პარონიმულ აღრევას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. მაგალითად, ასეთია *consommer / consumer* რომელმაც, პარონიმული კონტამინაცია ჯერ კიდევ XVI საუკუნეში წარმოშვა.

3. 3. ნასესხები სიტყვებისაგან წარმოქმნილი პარონიმები

შიდაენობრივი რესურსის გარდა (სიტყვაწარმოება, სემანტიკური ცვლილებები) ენის ლექსიკის გამდიდრებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს, ეს არის ნასესხობა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ცხოვრებასა და ისტორიას: მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, კომერციულ და კულტურულ ურთიერთობებს, ფასეულობების გადაფასებას – ყოველივე ეს ენაში იწვევს უცხო ლექსემების დამკვიდრებას. თუმცა კონკრეტული მნიშვნელობის გარდა ენაში მრავლად შემოდის უცხოური წარმომავლობის მორფოლოგიური და სინტაქსური ელემენტებიც. სწორედ ამის შედეგად ზმნა *réaliser-მ* ინგლისური ენის გავლენით მიიღო მნიშვნელობა “*concevoir, se rendre compte*” (*tu te rends compte? - tu réalises? წარმოგიდგენია?*). “*სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება – ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს. ნასესხობა მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას, ზოგჯერ იმდენად, რომ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად*” (გამყრელიძე, 2008 :390).

ნასესხობას ახასიათებს შინაფორმის “დაჩრდილვა”, რის შედეგადაც გვაქვს მცდარი, ტავტოლოგიური გამოთქმები: ლათ. *alternare* “*ორიდან ერთის არჩევა*”, ფრ. *alternative* – “*მონაცვლეობა*”, ქართ. *მესამე ალტერნატივა*. ფრ. *en face* “*სახეში, პირისპირ*” ქართულში შემოვიდა როგორც “*ანფასში*”. სხვა ენაში გადასვლისას ზოგჯერ იცვლება ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა. მაგალითად,

სემანტიკურად გარდაიქმნა ბერძნული ლექსემა სიმპათია (თანაგრძნობა), რომელიც ქართულში დამკვიდრდა “კეთილგანწყობის” მნიშვნელობით. მრავალმა სიტყვამ ორჯერ “გადალახა ლა მანში” და ფორმაცვლილი სახით დაუბრუნდა დედაენას. ეს გახლავთ შუალობითი სესხების (მოცემულ ენაში სხვა ენის გავლით შემოსული უცხო სიტყვები) ტიპი, რომლის დროსაც სიტყვები ბუმერანგით უბრუნდება ენას უკვე შეცვლილი მნიშვნელობით. *budget* შემოვიდა ინგლისურიდან, მაგრამ გვხვდება ძვ. ფრანგულში *bougette* ფორმით „პატარა ჩანთა“; ასევეა *tennis* თითქოსდა ინგლისური ლექსიკური ერთეული ფრანგული სიტყვა *tenez-ს* „დაიჭირე!“ (ბურთის ხელის გულით თამაშის დროს) ალტერაციას წარმოადგენს; *humour* ძვ. ფრანგულში *humeur* “ხუმრობისკენ მიდრეკილების მქონეს” ნიშნავდა. *verdict* კი - “*vrai dit*” „ნათქვამ სიმართლეს“, ძვ. ფრანგულში *toster-მ* (სადღეგრძელოს დალევა) “*torrifier*”, მოგვცა ინგლისური *toast* (სადღეგრძელო), რომელიც ამავე ფორმით დამკვიდრდა ფრანგულში. ამ ფაქტის ნათელსაყოფად გთავაზობთ ვოლტერის ციტირებას:

*“Les Anglais, qui se sont piqués de renouveler plusieurs coutumes de l'antiquité, boivent à l'honneur des dames : c'est ce qu'ils appellent toster ; et c'est parmi eux un grand sujet de dispute si une femme est tostable ou non, si elle est digne qu'on la toste.”*²⁶

- ინგლისელები, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით ცდილობენ აღადგინონ ძველი ტრადიციები, გამორჩეულად ლოცავენ ქალბატონებს და ამას დღეგრძელობას (სადღეგრძელოს) უწოდებენ. თუმცა, მათ შორის დიდ დისკუსიას იწვევს ის საკითხი, იმსახურებს თუ არა ქალი დღეგრძელობას.

სიტყვა *Fleureter* “არშიყობა” გარდაიქმნა ინგლისურ *flirt*-ად, *pedigree* „ცხოველების გენეალოგია“ ძვ. ფრანგული *ped de grue* „წეროს ფეხი“. გერმანული *Lärm* “ხმაური” ფრანგულ *alarme*-ში “მაღვიძარა” გამოისახა. *sport* – ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა. ძვ. ფრანგულში *se deporter* სიტყვა “გართობამ” აწარმოა არსებითი სახელი *deport / desport* მისი დღევანდელი ეკვივალენტია *divertissement* „გართობა“.

²⁶ Voltaire, *Dictionnaire philosophique*. Flammarion, Paris. 1993.

XIV საუკუნეში ინგლისური ენა ამ ლექსემას *disport* ფორმით სესხულობს, რომელიც ერთდროულად სუბსტანტივისა და ზმნის ფუნქციას ასრულებს და იმავე მნიშვნელობას მოიცავს, რასაც ფრანგულში “დასვენება, გართობა”.

XV საუკუნეში კი ინგლისურმა სიტყვამ ტრანსფორმაცია განიცადა, აბლაციის შედეგად (თავკიდური ფონემის/ფონემების დაკარგვა) მივიღეთ *sport*, XVI საუკუნეში კი “სუფთა ჰაერზე ვარჯიშის” მნიშვნელობა შეიძინა - “*To amuse or recreate oneself, esp. by active exercise in the open air; to take part in some game or play; to frolic or gambol*” (SOED²⁷ 1984:1483) – ვისივე გართობა სუფთა ჰაერზე გასეირნებით, რაიმე ტიპის თამაშში მონაწილეობით, მხიარულებით. ამგვარად, *sport* ინგლისურ ენაში სრულ ადაპტირებას განიცდის, შორდება პირველწყაროს და მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ მისი წარმომავლობა. სიტყვა *deport*, *desport* და *se deporter* ლექსემები დავიწყებას მიეცა, XIX საუკუნეში *sport* დაუბრუნდა თავის ძირ ენას სულ სხვა მნიშვნელობით.

Challenge: ძვ. ფრანგულში არსებობდა ლათინურიდან შემოსული ტერმინი *Challenge* (*calumnia* – ბრალდება, გამოწვევა), რომელიც XIII საუკუნეში ინგლისურში შევიდა *challenge* ფორმითა და გამოწვევის მნიშვნელობით “*the act of calling to account*” (SOED 1984: 62) – პასუხისმგებლობისაკენ მოწოდება. ის კარგავს “ბრალდების” მნიშვნელობას. XIX საუკუნეში ფრანგული ენა იბრუნებს ამ ლექსემას სპორტის სფეროში.

ზმნა *Distancer* არსებობდა ძვ. ფრანგულში გარდაუვალი ფორმით “*être éloigné*”. XVII საუკუნეში ეს მნიშვნელობა გაუჩინარდა. XIII ს.-ში ინგლისურმა დაისესხა *Distance* სადაც მან მიიღო გარდამავალი მნიშვნელობა - *dépasser* (*ce qui avance*) *d'une certaine distance* “გარკვეული მანძილით დაშორება”. ფრანგულმა დაიბრუნა XIX საუკუნეში.

ძველ ფრანგულში არსებობდა ზმნა *Recorder* “გახსენება, დამახსოვრების” მნიშვნელობით, მისგან ნაწარმოები *record* იურიდიული ტერმინი იყო და

²⁷ *Shorter Oxford English Dictionary on Historical Principles*. Oxford: Oxford University Press. 1984.

ნიშნავდა “მონათხრობს, ჩვენებას”. ფრანგულში ორივე ტერმინი გაუჩინარდა. XII საუკუნეში „გაცდა ლა მანშ“ და 1626 წელს მიიღო მნიშვნელობა: “ *an account of some fact or event preserved in writing or other permanent form*”(SOED) – წერილობითი ანგარიში კონკრეტული ფაქტების ან მოვლენების შესახებ. სპორტის ტერმინად XIX საუკუნეში გადაიქცა და სწორედ ამ მნიშვნელობით დაუბრუნდა ფრანგულს. დროთა განმავლობაში ეს ტერმინი გაცდა სპორტის სფეროს და შეიქმნა ცრუ ანგლიციზმები – *recordman / recordwoman* „რეკორდსმენი“ ფრ. ეკვივალენტი – *champion, ne. Riding coat* გარდაიქმნა *redingote*-ად „სერთუკი“.

3.4. ფრაზეოლოგიური და სინტაქსური პარონიმები; მათი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები

აღწერის მიხედვით პარონიმული ატრაქცია, ხალხური ეტიმოლოგია დიდ როლს თამაშობს იდიომების მნიშვნელობის მოტივირებაში. იდიომები ერთი კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი გამოთქმებია. ზოგიერთი მსგავსია ორ ენაში, ზოგი კი – სრულიად განსხვავებული. ეს კი ენობრივი ასახვის ორი მომენტის შედეგია. ერთი მხრივ, უნივერსალურის, რომელიც საერთოა და მეორე მხრივ, იდიომატურის, რომელიც თითოეული ენის ინდივიდუალური კუთვნილებაა.

ყოველი ერი საკუთარ ენობრივ სურათს წარმოგვიდგენს. თითოეული ერის აზროვნების ხატოვანება, კონცეპტთა მეტაფორიზაცია, სულიერება და მენტალობა სწორედ ენაში აირეკლება. მაგალითად, ამერიკელებისათვის კოკისპირული წვიმა ასე გამოიხატება – *It 's raining cats and dogs (il pleut des chats et des chiens)*, ფრანგებისათვის კი – *il pleut des hallebardes. Hallebarde* – შუბნაჯახი (შუა საუკუნეების იარაღი, წამახვილებული თავით).

იდიომები ენის სიმბოლურ-მეტაფორულ ხასიათს გამოხატავს. მისი სიღრმისეული ანალიზი ეტიმოლოგიურ კვლევებს უკავშირდება. სიტყვის მნიშვნელობას რომ ჩაწვდომოდა, ხშირად პლატონი ერთ ლექსიკურ ერთეულს სხვა სიტყვებთან აკავშირებდა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიტყვათა კავშირებით უნდა ავხსნათ მნიშვნელობა. პლატონი მხოლოდ სიტყვათმშობის კავშირებს ადგენდა.

სიტყვათა სხვადასხვა კრიტერიუმით დაახლოებაა შესაძლებელი, რომელთაგან ერთმანეთს არცერთი არ გამორიცხავს. ეტიმოლოგიური ძიებები ელინისტურ ეპოქაში ჩაისახა და სიტყვათა კავშირებით ნამდვილი მნიშვნელობის დადგენას ცდილობდა (ზლოკი,... 1996:74).

ის არ იკვლევდა სიტყვის ისტორიას. ეს თანამედროვე მეცნიერული ეტიმოლოგიის პრეროგატივაა. ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე შეიქმნა მრავალი ფაზეოლოგიური გამოთქმა თუ ენის ცალკეული ერთეულები. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ხალხური ეტიმოლოგიის როლი მნიშვნელობის მოტივირებაში. მაგალითად, *une bécasse/ une bécassine* – მიამიტი, სულელი ქალია. ეს მეტაფორული გამოყენება ალენ რეის თანახმად უნდა უკავშირდებოდეს ამავე სახელის მქონე ფრინველის *bécasse* (ჩიბუხა) ხასიათს.

გამოთქმა *A la queue leu leu* – “leu” ძვ. ფრანგულში მგელს ნიშნავდა, ამიტომაც ამ გამოთქმის დღევანდელი ვერსია უნდა ყოფილიყო *à la queue loup loup*, მაგრამ ეს ფორმულირება დღევანდელი ფრანგულისათვის შეუსაბამოა, ის ძველი ფრანგულის სინტაქსს ინარჩუნებს, სადაც წინდებულ *de*-ს ნაცვლად ზოგჯერ არტიკლს იყენებდნენ (როგორც *Bourg la Reine*²⁸ ნაცვლად *Bourg de la Reine*-ისა), ანუ უნდა გვექონოდა – *à la queue (du) leu (le) leu / à la queue le leu* – მაგრამ აქ მოხდა პარონიმული აღრევა, ანუ ფონეტიკური მსგავსების გამო არტიკლი *le* გააიგივეს სიტყვასთან *leu*, მიღებული ფორმა დღემდე შემოგვრჩა: *à la queue leu leu* – თანმიმდევრობით სვლა. მაგალითად:

– *Depuis trois quart d’heure, les invités suivaient Breux... Fatigués, ils le suivaient à la queue leu leu comme des chalands à la suite d’un remorqueur* ²⁹– უკვე 20 წუთია დაქანცული სტუმრები უკან მისდევდნენ ბრეს. . . ისინი მას ერთმანეთზე მიბმულ ბუქსირიან ბარჟასავით მიყვებოდნენ.

Dès potron-minet “გარიჟრაჟი” – მისი პირვანდელი ფორმა იყო – *dès potron jaquet*. *potron* მოდის ლათინურიდან *poistron* – *posterior* (ფრ. *postérieur*), *jaquet*

²⁸ პარიზის გარეუბანია, სადაც მდიდრები ცხოვრობენ.

²⁹ P. Margueritte *Maison ouverte*. <http://gallica.bnf.fr/ark:/12148/bpt6k69152w/f6.image>

ნორმანდიულად ციყვს ნიშნავდა. გამოთქმა - *dès potron jaquet* - ნიშნავს ძალიან ადრე. უკვე XIX საუკუნეში ციყვს ვეღარ შეხვდებოდით ასე ხშირად, რასაც სავარაუდოდ უკავშირდება *jaquet* -ს ჩანაცვლება *minet*-ით (კატა). ლექსიკონში გვხვდება *patron-minet*-ც, რომლის ორი ინტერპრეტაცია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ეს იუმორისტული გამოთქმაა და გამოხატავს საბრძოლო შეტევის დროს უკანა რიგებში დამალულ წინამძღოლს. მეორის მიხედვით კი, მოხდა პარონიმული აღრევა სიტყვებისა *potron* / *patron*. რადგანაც არ იცოდნენ სიტყვის *potron* მნიშვნელობა, შეცვალეს ნაცნობი, მიმსგავსებული სიტყვით - *patron*. ხალხურმა ეტიმოლოგიამ, პარონიმულმა მსგავსებამ მოგვცა ახალი გამოთქმა *patron-minet*. თანამედროვე პარიზის დილას კი, მტრედების სიმრავლის გამო, გამოთქმა *potron-pigeon* უფრო შეესაბამება.

Il y a belle lurette ნიშნავს „დიდი ხანია, ძველის ძველად“. ესეც პარაფრაზის მაგალითია. მოხდა სიტყვების *lurette* / *heurette* არევა. *Heurette* კნინობითი ფორმაა სიტყვა - *heure*-ის, რომელიც XIX საუკუნის დიალექტებში გამოიყენებოდა. ა. რეისა და ს. შანტროს თანახმად, ზედსართავის *belle* და კნინობითი ნაწილაკის -*ette* კომბინაცია ქმნის დროის ხანგრძლივობის ეფექტს. მაგალითად:

- *Lisette de Lezac? Il y a belle lurette que nous ne l'avons pas vu ici*³⁰ - ლიზეტ დე ლეზაკი? უკვე დიდი ხანია აქ აღარ გვინახავს.

პარონიმის ემყარება გამოთქმა - *fier comme un pou*. პირველად *pou*-ს ნაცვლად გამოიყენებოდა *poule*, რაც თავის მხრივ ლათინურ სიტყვათა თამაშს ემყარებოდა - *gallus* / *le coq* / *Gallus* / *le Gaulois*. ძველ ფრანგულში კი გვქონდა - *gal* / *poule* - *poule* / *poul* / *poulet*. *Poul* ”მამალი” აღარ გამოიყენებოდა და მას ჩაენაცვლა *pou*. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შუა საუკუნეებში *pou* იწერებოდა შემდეგნაირად - *pouil*, მისგან არის ნაწარმოები ზედსართავი *pouilleux* „ტილიანი“ და არსებითი სახელი *pouillier* „სილატაკე, სიბინძურე.“ სწორედ ამ სიტყვათა თამაშმა მოგვცა ეს გამოთქმა.

Tomber dans les pommes - გულის წასვლა, გულის შეწყუბება. გამოთქმის ძველი სახე იყო *tomber en pamoison* ან *tomber dans les pâmes* (*pâmer*). სიტყვა *pâme* თანდათან

³⁰ C. Vautel, *Mon Curé chez les riches*, éd. Albin Michel, Paris, 1947.

ნაკლებად გამოიყენებოდა და ხალხმა ის შეცვალა მიმსგავსებული სიტყვით *pomme*, რომელიც ლექსიკონში 1889 წელს დამკვიდრდა.

როცა ენაში სიტყვა წყვეტს არსებობას ან ნაკლებად გამოიყენება, ის თანამჟღერი სიტყვით იცვლება. ამის მაგალითია ლათინური გამოთქმა “*bona fama*” (ცნობილი, განთქმული - *de bonne renommé*). ძველ ფრანგულში მისი ეკვივალენტი იყო - *de bon fâme*, შემდეგ გამოთქმა შეიცვალა და გახდა - *une remède de bonne femme* – ამის მიზეზი იყო ის, რომ სიტყვა *fâme* მოძველდა. ამ სიტყვათა თამაშს ემყარება შემდეგი გამოთქმაც – *mal famé* – საეჭვო რეპუტაციის მქონე; ზედსართავეები – *fameux, infâme*.

Faire feu de tout bois – ყველა საშუალების გამოყენება მიზნის მისაღწევად. ზოგიერთი მკვლევარი გამოთქმის ასახსნელად იყენებს იმ პარალელს, რომ თითქოს ცეცხლის დასანთებად ყველა ხის გამოყენება შეიძლება – ეს მცდარი ვერსიაა. სიტყვა “ცეცხლმა” (*feu*) ბევრი გამოთქმა აწარმოა და ამ შემთხვევაშიც ის ჩაენაცვლა სიტყვა *flèche*-ს, ანუ სწორი ვარიანტია *faire flèche de tout bois* – ყველა ხის თუ ნაფოტის გამოყენება ისრის გასაკეთებლად და მიზანში მოსარტყმელად.

გამოთქმა – *raisonner comme une pantoufle* „სულელურად მსჯელობას“ ნიშნავს და პარონიმის ემყარება – *résonner / raisonner*. გამოთქმა – *battre son plein* „სრული ნოტის დაკვრა“ – შეიძლება მრ.რიცხვში შეცდომით ვთქვათ: - *les théâtres battent leur plein* - მაშინ როცა *son plein / son creux* უპირისპირდება ერთმანეთს (ომოგრაფია). ეს იგივე პარონიმული მოტივაციაა.

ხშირად, როცა უცნობი სიტყვა გვეხმის, მას მსგავსი ფორმის ნაცნობ სიტყვასთან ვაკავშირებთ და ასე ვცდილობთ ავხსნათ, ანუ ფორმათა ასოციაციით ჩვენს აზროვნებაში ხდება უცნობი სიტყვის სუბსტიტუცია ნაცნობ სიტყვასთან. მაგალითად: *être califié / qualifié, califié* მოდის სიტყვიდან *calife* „ხალიფა“ და ხალიფასავით აღზრდილს ნიშნავს.

Bouffer de rire – „სიცილით გაგუდვა“, *bouffer / bouffir* - გაბერვა/ შეშუპება.

Un nounour défriché – „ბალანდაცვენილი დათვი“; *défriché / défraîchi* დამუშავებული, დამუშავებული მიწა /ძველი, გაცვეთილი.

Afrodisiaque / aphrodisiaque – აფრიკული ანუ ცხელი / ვნებისაღმძვრელი;

ხშირად მყარი გამოთქმებიც იძლევა მცდარი ინტერპრეტაციის საბაზს:

{ *À raison de* – თანაზომიერად, პროპორციულად;

{ *En raison de* – შესაბამისად, შედეგად.

{ *De concert* – ერთად, ერთსულოვნად;

{ *De conserve* – ერთად, თანაზიარად.

{ *Faire ses preuves* – თავისი უნარის გამომჟღავნება;

{ *Faire preuve de* – დასაბუთება.

{ *Faire chou blanc* – სრული წარუმატებლობა;

{ *Faire ses choux gras* – საქმიდან სარგებლობის ნახვა.

ქართულში გამოთქმა “აზუჩად აგდება” არაფრად ჩაგდებას, დამცირებას ნიშნავს. ის უკავშირდება ძველ ქართულ სიტყვას – აზუჩი, რაც საბას ლექსიკონის მიხედვით, უხამს სტუმარს ნიშნავდა.

3. 5. პარონიმთა სემასიოლოგიური ანალიზი

ლინგვისტური სემანტიკის კვლევის სფერო ფოკუსირდება ენობრივი მნიშვნელობისა და აზროვნების ურთიერთქმედებაზე, მეტალინგვისტურ ფაქტორებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობებზე. ენობრივი სისტემა ერთდროულად აისახება გამოხატულებისა და შინაარსის პლანში, ამიტომაც სიტყვის ეს ასიმეტრიული დუალიზმი ფსიქოლინგვისტურ ახსნას პოულობს გარკვეულ აფაზიაში (ბერძნ. *a phasis* უარყ.ნაწ. *phasis* მეტყველება; მეტყველების უნარის სრული ან ნაწილობრივი მოშლა), რომლის დროსაც შენარჩუნებულია სიტყვის გარეგნული მხარე, ხოლო დავიწყებას ეძლევა მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, ტრადიციული ლინგვისტიკის კონცეფციებისგან განსხვავებით ურღვევი კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის იშლება და შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ

ფუნქციონირების პროცესში - ენობრივი მნიშვნელობის შიდა ფორმის რეპრეზენტაციაში (ზალევსკაია, 1990:133).

ენობრივი მნიშვნელობა (სემემა) არსებობს მისი შემადგენელი კომპონენტების (სემა) რეალიზაციის საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავს მის სისტემურ და მეტალინგვისტურ (გარეენობრივ) მნიშვნელობებს. სემემასა და მის კომპონენტებს მსგავსი ონტოლოგიური (არსებობის სტრუქტურა და კანონზომიერება) თავისებურებები გააჩნია. სემემა ლექსიკურ, სიტყვაწარმოებით და გრამატიკულ სემათა სინთეზს წარმოადგენს და სხვადასხვა სემანტიკურ კატეგორიას განეკუთვნება (ვასილიევი, 1990:139) თავისი მნიშვნელობით ზოგჯერ სემა ემთხვევა სემანტიკურ კატეგორიას. ამიტომაც იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა სემა მივიჩნიოთ ენობრივი მნიშვნელობის ერთ-ერთ კატეგორიად? საკითხის ამგვარი გააზრება სრულიად ბუნებრივია, რადგანაც სემას აქვს ის თვისებები, რაც სხვა ენობრივ ნიშანს ახასიათებს (ინფორმატიულობა, რეპრეზენტატიურობა /გამომსახველობა, სტრუქტურირება). თუმცა სემასა და სემემას შორის მაინც მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. სემას ინფორმატიულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაზღვრავს დენოტატურ მნიშვნელობას და ქმნის “ლოგიკურად კონსტრუირებად კონცეპტს”³¹, ხოლო სტრუქტურული ინფორმატიულობა განისაზღვრება ენის სემანტიკურ-სტრუქტურული მნიშვნელობით. რეპრეზენტაციულობა გამოიხატება ნიშნის სხვა ნიშნებთან მიმართებებში, როგორც სემემა სხვა სემემასთან მიმართებაში. მაგალითად: დედა-მშობელი. სტრუქტურულ ნიშანში მოიაზრება მისი შინაგანი ორგანიზაცია, კომპონენტებს შორის იერარქული დამოკიდებულება. ჩვენ შეგვიძლია ლექსიკურ-სემანტიკურ მახასიათებლების მქონე სემა გრამატიკული მორფის გამოხატულებად მივიჩნიოთ. რადგანაც ის, ფაქტობრივად იზიარებს მორფის ნიშან-თვისებებს.

სემემათა ცვლილებები პარონიმული ერთეულების შექმნის წინაპირობაა.

³¹ Васильев Л.М. *Современная лингвистическая семантика*. стр. 139, Высшая школа, М.

ბ. პოტიეს³² მიერ შემუშავებულ ონომასიოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით განვახორციელეთ პარონიმთა ტაქსონიმია³³. ხუთი სემის საშუალებით ვადარებთ პარონიმული წყვილის სემებს, რის საფუძველზეც გარკვევით ჩანს მნიშვნელობით მონათესავე პარონიმული წყვილების დიფერენცია. ცხრილში გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- S1 – ძირითადი მნიშვნელობა;
- S2 - გრამატიკული კატეგორია;
- S3 – გადატანითი მნიშვნელობა;
- S4 – საერთო ფუძე;
- S5 – ძლიერი ინტენციონალი, რომელშიც ვგულისხმობთ რაოდენობრივ

მაჩვენებელს (შემადგენელი კომპონენტების რაოდენობას).

	S1 sens général donner le teint	S2 catégorie grammaticale	S3 sens figuré	S4 même radical	S5 intension forte
colorer	+	+	+	+	+
colorier	+	+	+		-

სემემა *colorer* = {S1, S2, S3, S4, S5}

სემემა *colorier* = {S1, S2, S3, S4}

მოცემული წყვილის არქისემემა S1 სემაშია მოცემული.

წყვილის საერთო მნიშვნელობა “ფერის მიცემაა“. ზმნა *colorer*-ს „შეღებვა“ პირდაპირი მნიშვნელობაა ფერის, გარკვეული ტონალობის მიცემა. გადატანითი მნიშვნელობით გულისხმობს „შეფერადებას, შელამაზებას, შეფაკლვას“. გამოიყენება ნაცვალსახელოვანი ფორმით. მორფი *color* ნეიტრალურ როლს ასრულებს. სიტყვა *colorier* - ზედაპირის გაფერადებას, შეღებვას გულისხმობს.

³² Lehmanne A. Martin-Berthet F. *Introduction à la lexicologie, sémantique et morphologie*, Armand Collin, 2008.

³³ შენიშვნა: ტერმინი „ტაქსონიმია“ პარონიმული ატრაქციით არის მიღებული ბერძნული ეტიმონიდან - ταξινομία *taxinomia*, τάξις „*taxis*“, გარკვეული რიგი, ნიშანი, νομός „*nomos*“ – კანონი, წესრიგი.

- *On dit que Ramsès II colorait ses cheveux avec du henné* - ამბობენ, რომ რამზეს მეორე თმებს იწითლებდა.
- *Lorsqu'on lui adresse un compliment, les joues de Delphine se colorent d'un rouge pivoine* - როცა დელფინას კომპლიმენტს ეუბნებიან, მას ლოყები ყაყაჩოსავით უწითლდება.
- *Ce poète colorait toujours ses propos de cynisme* - ეს პოეტი თავის სიტყვებს ყოველთვის ცინიზმით ამკობდა³⁴.
- *Les élèves dessinent d'abord la carte, puis colorient en bleu les cours d'eau* - მოსწავლეები ჯერ რუკას ხატავენ, შემდეგ ცისფრად აფერადებენ წყლის შენაკადებს.
- *Découper des images et les colorier permet aux enfants d'exploiter leur créativité* - სურათების გამოჭრა და გაფერადება ბავშვებს შემოქმედებით უნარს უვითარებს.

	S1 sens général rendre clair	S2 catégorie grammaticale	S3 sens figuré	S4 même radical	S5 intension forte
éclairer	+	+	+	+	-
éclaircir	+	+	+		+

სემემა *éclairer* = {S1, S2, S3, S4 }

სემემა *éclaircir* = {S1, S2, S3, S4, S5}

მოცემული წყვილის არქისემემა S1 სემაშია მოცემული.

წყვილის საერთო მნიშვნელობა “ნათელის მოფენაა”. ზმნა *Éclaircir* -ის პირდაპირი მნიშვნელობაა გაღიაება. აქ სიტყვა *clair* არ ატარებს უშუალოდ შუქის მნიშვნელობას, არამედ ფერის ინტენსიობას გამოხატავს (მუქი, ღია).

Mon coiffeur a éclairci la couleur de mes cheveux - დალაქმა თმის ფერი გამიღიავა.

გადატანითი მნიშვნელობით «ახსნას» ნიშნავს (*rendre plus clair pour l'esprit; expliquer*):

³⁴ უფრო ზუსტი თარგმანია: ამ პოეტის სიტყვებში ყოველთვის ცინიზმი გამოსჭვივდა.

Le détective Poitras a finalement réussi à éclaircir ce mystère -დეტექტივმა პუატრამ მოახერხა საბოლოოდ ამ საიდუმლოს ახსნა.

Après plusieurs heures de travail, Nicole a éclairci toutes les énigmes qui lui étaient proposées dans son cahier d'exercices - რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ ნიკოლმა ამოხსნა ყველა ის ამოცანა, რომელიც მოცემული ჰქონდა სავარჯიშო რვეულში.

C'est au cours de la dernière réunion de direction que nous avons éclairci cette affaire - სწორედ ბოლო თათბირზე ავხსენით ეს საქმე.

Éclairer – 1. განათება, შენათება. 2. მიხვედრა, გაცნობიერება, ახსნა.

Le boulevard s'éclaire tout juste avant que la nuit tombe -ბულვარი განათებულია შებინდებამდე.

Elle affiche un sourire si resplendissant qu'il éclaire son visage - ისე გაიღიმა, რომ სახე გაუნათდა.

L'astrophysicien Hubert Reeves m'a éclairé sur l'origine de la vie lors d'une conférence -ასტროფიზიკოსმა ჰუბერტ რივისი კონფერენციის დროს მესაუბრა სიცოცხლის წარმოშობის შესახებ.

Le policier l'a éclairé sur les problèmes de drogue qui sévissent dans son quartier - პოლიციელმა მას აუხსნა ნარკომანიის პრობლემები, რომელიც მის უბანში მძვინვარებდა.

დაბოლოს, სასაუბრო ენაში ზმნა *éclairer* არის გამოთქმის *faire les éclairs* - ელვა (ელავს) სინონიმი.

Je n'ai pas osé sortir de la maison puisqu'il a éclairé toute la soirée - ვერ გავბედე გარეთ გამოსვლა, რადგანაც მთელი ღამე ელავდა. (la langue courante). ოფიციალურ სტილში გვაქვს გამოთქმა - *faire les éclairs*.

Hier soir, il a tonné et fait des éclairs pendant plusieurs minutes – გუშინ საღამოს ჭექა-ქუხილი რამდენიმე წუთი გრძელდებოდა.

	S1 ზოგადი მნიშვნელობა: გალამაზება	S2 გრამატიკული კატეგორია	S3 გადატანითი მნიშვნელობა	S4 საერთო ფუძე	S5 ძლიერი ინტენციონალი
ამშვენებს	+	+	+	+	+
ამშვენიერებს	+	+	-		-

სემემა *ამშვენებს* = {S1, S2, S3, S4, S5}

სემემა *ამშვენიერებს* = {S1, S2, S4}

მოცემული წყვილის არქისემემა S1 სემაშია მოცემული.

ამშვენებს - 1.ალამაზებს, ლაზათს ჰმატებს; 2. უხდება.

ამშვენიერებს - ალამაზებს, ლაზათს ჰმატებს.

„მაშინაც ვინ თქვას, ვინ ვის *ამშვენებს*, მაძლი ამ სახეს თუ სახე - მაძლსა?“ (ილია)³⁵

„ო, როგორ გამშვენებთ ცრემლი“ (ჭ. ამირეჯიბი)³⁶

„საზოგადო სიკეთის სურვილი *ამშვენიერებს* კაცის სიტყვას“ (ილია)³⁷

„სიყვარულის სხივ-ფერადებით *ვამშვენიერებ* მძლავრსა სულის ქნარს“ (კ. მაყაშვილი)³⁸

	S1 ზოგადი მნიშვნელობა: გახანგრძლივება	S2 გრამატიკული კატეგორია	S3 გადატანითი მნიშვნელობა	S4 საერთო ფუძე	S5 ძლიერი ინტენციონალი
გააგრძელებს	+	+	+	+	+
განაგრძობს	+	+	+		-

სემემა *გააგრძელებს* = {S1, S2, S3, S4, S5}

სემემა *განაგრძობს* = {S1, S2, S3, S4}

³⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, მერიდიანი, თბილისი, 2008.

³⁶ იქვე გვ. 522

³⁷ იქვე, გვ. 522

³⁸ იქვე, გვ. 522

მოცემული წყვილის არქისემმა S1 სემაშია მოცემული.

გააგრძელებს - 1. გრძელს გახდის; 2. დაწყებულ მოქმედებას გაახანგრძლივებს;
3. შეწყვეტილ საქმეს განაახლებს;

განაგრძობს - 1. დაწყებულ საქმიანობას არ შეწყვეტს, განაახლებს; 2. გაახანგრძლივებს.

ხაზი გააგრძელა;

მისაღები გამოცდების ვადა გააგრძელეს;

„იმათ რომ სწავლა გააგრძელონ, სახელოვანი შვილები გამოუვლენ ჩვენს ... ქვეყანას“
(ნ. ლომოური)³⁹.

„ივანემ ... გაშლილი ნაბიჯით განაგრძო სიარული“ (რ. ერისთავი)⁴⁰

„ ... თავაულებლივ განაგრძობდა გაზეთის კითხვას“ (ლ. არდაზიანი) ⁴¹

„აფსუს, რომ არ განვაგრძე სწავლა!“ (ვ. ბარნოვი)⁴²

ილუსტრირებული ლექსების სემასიოლოგიური ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ არქისემმაში გამოიხატება პარონიმული წყვილის ძირითადი აზრობრივი ღერძი, პარონიმთა სემანტიკური თანაკვეთა სწორედ მასშია მოცემული, ამიტომაც სინონიმური პარონიმები მთელი პარონიმული სპექტრის ბირთვს შეადგენს. ტაქსონომიური კრიტერიუმები პარონიმული წყვილის ფორმირებისათვის აუცილებელი ნიშნებით ხასიათდება. პარონიმის, როგორც ბინარული ნიშნის თავისებურებიდან გამომდინარე, სემასიოლოგიური ანალიზი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ლექსებში არამარტო ფორმოზრივ მხარეს, არამედ სემანტიკასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

³⁹ იქვე, გვ.522

⁴⁰ *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ.II, მერიდიანი, თბილისი, 2008.

⁴¹ იქვე, გვ. 24.

⁴² იქვე გვ.1000.

დასკვნები III თავის მიხედვით

პარონიმია, ჩვენი თვალთახედვით, სიტყვაწარმოებითი პროცესებისა და სხვადასხვა აფიქსის მქონე ლექსიკური ერთეულების თანაკვეთის შედეგად მიიღება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფორმანტები, რომლებიც ლექსიკურ ერთეულს განსხვავებულ აზრობრივ შეფერილობას ანიჭებს ან სრულიად ახალ მნიშვნელობას აწარმოებს. ფრანგული ენის დერივატებია: *-age, -erie, -ier, -eux*, ხოლო *-eur, -ien, -iste, -teur* ფორმანტები სინონიმურ მნიშვნელობებს აწარმოებს. ქართულში ამ ფუნქციას *-ოსან, -ოვან, -ეთ, -სა-ო* ფორმანტები ასრულებს.

პარონიმთა მორფემულ ანალიზში განვიხილეთ ამ ლექსემათა სტრუქტურა, განვსაზღვრეთ სიტყვაში შემავალი თითოეული მორფის ტიპი, მათი თანმიმდევრობა, ფონემური მოდიფიკაციები. სიტყვათწარმოებითი პროცესების შედეგად მიღებულ პარონიმებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1. მარტივი და 2. რთული წარმოქმნილ სახელთა პარონიმები. მორფემული სტრუქტურის მიხედვით კი არსებობს პარონიმთა შემდეგი ტიპები: ფუძისეული, აფიქსალური (პრეფიქსული და სუფიქსური).

სიტყვაწარმოების ფენომენი აწესრიგებს სიტყვის ფორმირების პროცესებს და ადგენს მის მოდელებს. აფიქსებით ხშირად ნასესხები სიტყვებიც იწარმოება, რითაც იჩრდილება უცხო სტრუქტურა და ხდება ასიმილაცია მიმღებ ენასთან. ქართულში, ისევე როგორც ფრანგულში, მრავლად გვაქვს შუალობითი სესხების მაგალითები.

სპონტანური ანალიზი ანუ ხალხური ეტიმოლოგია, როგორც პარონიმული ატრაქციის ერთ-ერთი ნაირსახეობა, პროდუქტიული მოვლენაა ფრაზეოლოგიური და სინტაქსური პარონიმების შესაქმნელად. ხალხური ეტიმოლოგია, რომელიც სცილდება მეცნიერული ეტიმოლოგიის ჩარჩოებს, როგორც პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მეცნიერული ეტიმოლოგიის საფუძვლებს უკავშირდება. მისი შესწავლა ნათელს ჰფენს მრავალ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას.

თავი IV. პარონიმთა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური დახასიათება ფრანგულ და ქართულ ენებში

4. 1. პარონიმია და მისი კავშირი მონათესავე სტილისტიკურ საშუალებებთან

“ჭეშმარიტი საუბარი წმინდაწყლის სიტყვათთამაშია. პირდაპირ გასაოცარია ერთი სალალბო ცდომილება, როცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ თითქოს ისინი საგნების გამო საუბრობენ. ენის სწორედ ის თავისებურება, რომ იგი თავის თავზე თვითონ ზრუნავს, არავინ უწყის.”

ნოვალისი “მონოლოგი”⁴³

პარონიმთა დეფინიცია ერთობ არაზუსტი და არაერთგვაროვანია, ამიტომ, ლინგვისტთა ერთი ნაწილი მას მსგავსი ფუძის მქონე მნიშვნელობით მონათესავე თანამჟღერ სიტყვებად მიიჩნევს (ვიშნაკოვა, 1987: 5), მეორენი კი სხვადასხვაფუძიან სიტყვებად განიხილავენ. პარონიმთა სტილისტიკურ ვარიაციებს, მათ წინასწარგანზრახულ დაწყვილებას წინადადებაში, პარონომაზიასთან მივყავართ. ძველ ქართულში პარონომაზია ასე განისაზღვრებოდა: *“ერთ ცნებას შეიცავს, შინაარსით ერთი ერთეულია”* (იმნაიშვილი, ...1996:594). პარონომაზიულ გამოთქმაში ჩვეულებრივ განასხვავებდნენ ზმნის წყვილ ფორმას, რომელთაგანაც ერთი საწყისი იყო, მეორე კი - პირიანი. მაგალითად: *სმენით მესმოდეს; მოსვლით მოვიდეს; ნებით ვინებო; ტიროდეს ტირილითა დიდითა*⁴⁴. ი. იმნაიშვილი ამ სტილისტიკურ ფიგურას ასე ახასიათებს: *„ეს ფორმები ზოგჯერ ერთგვარ რიტორიკულ ხერხს წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებული ენერგიული ტონითა და კატეგორიული კილოთი ხასიათდება“* (იმნაიშვილი, ... 1996:499), დანარჩენ შემთხვევაში კი გამოხატავდა მოქმედების აუცილებლობას, ინტენსიობას და ა.შ. პარონომაზიის მაგალითები უხვად არის „შუმანიკის წამებაში“, „მოქცევაი ქართლისაში“, ბიბლიაში. ქართველი

⁴³ კ. ბრეგამე, *ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები*, მერიდიანი, თბილისი, 2009. გვ. 292.

⁴⁴ იმნაიშვილი ი... *ზმნა ძველ ქართულში*, ნაწილი II, 1996. გვ. 595.

ენათმეცნიერები (ივანე და ვახტანგ იმნაიშვილები, 1996:595) იკვლევდნენ, თუ „რამდენად ქართულია ეს მოვლენა და რამდენად დამახასიათებელია იგი ქართული ენისთვის“⁴⁵ და იმთავითვე უგულებელყოფილია მოსაზრება, რომ თითქოს ის სხვა ენიდან თარგმნისას მექანიკურად შემოვიდა: „შეუძლებელია ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ასე ფართოდ დამკვიდრდეს ენაში, თუ მას ამ ენაში არა აქვს გარკვეული მშობლიური საფუძველი“ (იმნაიშვილი, ... 1996:595).

პარონიმის ლიტერატურაში და კერძოდ, პოეზიაში, უმეტესწილად ბგერითი მსგავსებით შექმნილი წყვილი განსაზღვრავს, თანაბერადობით შემოიფარგლება. პარონიმაზიის სათავეებს ანტიკურ რიტორიკაში ვპოულობთ, სადაც ორატორულ მეტყველებაში მსგავსი ბგერობრივი შედგენილობის ფორმასა და ბგერათა გამეორების გვერდით განიხილავდნენ (ომიაძე, 1998 :222).

ჩვენ პარონიმაზიის შემდგენაირ დეფინიციას გთავაზობთ: ვიწრო გაგებით, პარონიმაზია პარონიმთა წინასწარგანზრახულ დაწყვილებას წარმოადგენს. ფართო და უფრო თანამედროვე მიდგომით კი ის თანამჟღერ სიტყვათა შეხამებით მიღებული სტილისტიკური ხერხია.

აქვე აღვნიშნავთ პარონიმაზიის მიმართებას ანტანაკლათან, ასონანსთან და ალიტერაციასთან. ზემოაღნიშნული ფიგურები მეტყველების პროცესთანაა დაკავშირებული, ახასიათებს გარკვეული ბუნდოვანება, თანამჟღერ სიტყვებად ერთიანდება და სიტყვათა თამაშს, კალამბურს ქმნის. ფონტანიე მათ მეტყველების თანახმიერ ფიგურებში აერთიანებდა (*des figures d'élocution par consonance*). ანტანაკლაზი განსხვავებული კონოტაციის ან დენოტაციის მქონე მსგავსი სიტყვების გამეორებას წარმოადგენს წინადადებაში. ის ზოგჯერ პოლისემიურობას, ზოგჯერ კი ომონიმას ეყრდნობა. პარონიმაზიის მსგავსად ისიც ორატორთა პაექრობებში გამოიყენებოდა. მაგალითად:

- *Le palais pas laid.* (არც ისე ულამაზო სასახლე)
 - *Avec nos imprimantes, la qualité d'impression fait toujours impression (publicité)*
- (ჩვენი პრინტერის ბეჭდვის ხარისხი ყოველთვის გაგაოცებთ).

⁴⁵ იქვე, გვ.595

რაც შეეხება ასონანსს და ალიტერაციას, ორივე პოეზიას უკავშირდება და ერთი და იმავე ფონემების გამეორებით გამოიხატება. ასონანსში ხმოვნები მეორდება, ალიტერაციაში კი – თანხმოვნები. მაგალითად:

- *Tout m'afflige et me nuit et conspire de me nuire* » („Phèdre“ Racine)⁴⁶
- *Je dis durement des vérités dures* (Bernanos)⁴⁷;
- *Un halo de haletante haleine* (Joyce)⁴⁸

ფონემების გადანაცვლება ხშირია პარონიმულ წყვილშიც - *abjurer / adjurer* (უარყოფა, განდგომა/ ვედრება, შეფიცვა).

ავტორი სათქმელს პირდაპირ ან ფარულად გადმოსცემს, რასაც ენის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ბუნებასთან მივყავართ. სტილისტური ფიგურების განხილვისას ორივე თავისებურებას ვაწყდებით. პარონიმაზია ამ თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას, ფონემებისა და მნიშვნელობის მსგავსების გამო წინადადებაში შექმნილი ბუნდოვანება ორაზროვნებას ბადებს, წარმოიქმნება სალიტერატურო კაზუსები, აზრობრივი შეცდომები. მაგალითად:

“L’automne faisait voler la grive à travers l’air atone” („Poème arabe“)⁴⁹

”შენთვის ხელობს გონება

სურის თვალთა კონება” (აქ ის რითმას ემთხვევა)

(უცნობი ავტორი)⁵⁰

პარონიმაზია რიტორიკის უძველესი ფიგურაა. მას ყველაზე ხშირად ორატორები იყენებდნენ ლაკონურობისა და გონებამახვილობის გამოსახატავად, რაც იმის დასტურია, რომ ეს ენობრივი მოვლენა უშუალოდ მეტყველებას უკავშირდება. ამას მოწმობს ფონტანიეს მოსაზრებაც: *“პარონიმაზია მეტყველების პროცესს ეკუთვნის, თავად სიტყვებს შორის კავშირი კი ვლინდება არა მხოლოდ ბგერათა თანახმიერებაში, არამედ აზრობრივ სიახლოვეშიც”* (ფონტანიე, 1968:345).

⁴⁶ Racine J. *Phèdre*, I, 3. éd. Libro, Paris, 2003

⁴⁷ <http://perso.ensad.fr/~ardilouze/P.html>

⁴⁸ <http://perso.ensad.fr/~ardilouze/P.html>

⁴⁹ Verlaine P. *Oeuvres poétiques complètes*, Gallimard, 1938.

⁵⁰ *ხალხური სიბრძნე*, ნაკადული, თბილისი, 1967.

პარონომაზიული თქმები უმეტესწილად პარონიმული წყვილის საშუალებით იქმნება. ამგვარად, პარონომაზიული გამონათქვამის მისაღებად აუცილებელია მინიმუმ ორი ლექსემა, რომელიც ერთმანეთს შეეწყობა შინაარსის და გამოხატულების პლანში. აქვე აღვნიშნავთ, თუ პარონიმთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის აღნიშნული პარონიმი (სინონიმური პარონიმები - სინონიმური მნიშვნელობის მქონე; კონტაქტური პარონიმები - მსგავსი მნიშვნელობების მქონენი, რომელთა ჩანაცვლება არ შეიძლება; დისტინქტური პარონიმები - აზრობრივად სრულიად განსხვავებული, ან თემატური პარონიმები)⁵¹.

Qui vivra verra (სიტყვასიტყვით: ვინც იცხოვრებს, მოესწრება. ქართული ეკვივალენტია, „აღდგომა და ხვალეო“-დისტინქტური პარონიმები).

Beauté sans bonté est comme vin éventé (სიტყვასიტყვით: სილამაზე სიკეთის გარეშე აძმარებულ ღვინოსავითაა, -დისტინქტური პარონიმები).

De nouveau roi, nouvelle loi (სიტყვასიტყვით: ახალი მეფე, ახალი კანონი-კონტაქტური პარონიმები).

En train de former et de formuler l'idée du sujet... Ce qu'on croyait être coïncidence est coexistence (Merleau-Ponty)⁵²- იდეის ჩამოყალიბებისა და ფორმულირებისას ... აღმოჩნდა, რომ რასაც თანხვედრად მივიჩნევდით, თანაარსებობა ყოფილა.

(1. კონტაქტური პარონიმები, 2. დისტინქტური პარონიმები).

ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში საყურადღებოა რუსთველური პარონომაზია:

“შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა კმანია” (დისტინქტური პარონიმები) ან კიდევ

“შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა” (სინონიმური პარონიმები)

„მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების“ (დისტინქტური პარონიმები)

„არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა“ (დისტინქტური პარონიმები)

⁵¹ მათი კლასიფიკაცია ი. კუზნეცოვას ეკუთვნის

⁵² <http://perso.ensad.fr/~ardilouze/P.html>

“ზმალი ღონიერისა, ხერხი – გონიერისა” (ხალხური, დისტინქტური პარონიმები)

ზოგჯერ მსგავსი ლექსემების გამოყენება წინადადებაში ღია-ყოველგვარი ალუზიურობის გარეშე ავტორი გვიჩვენებს სიტყვათა სემანტიკურ ნიუანსებსა და თანახმიანობას. პარონიმთა ამგვარი კოლიზია სხარტად და ნათლად გამოხატავს კონცეპტს. ამ დროს პარონიმული ატრაქცია ტავტოლოგიის ეფექტს ქმნის და აძლიერებს მნიშვნელობას :

Qui se ressemblent s'assemblent (სიტყვასიტყვით:ერთმანეთის მსგავსნი თავს ერთად იყრიან. გადატანითი მნიშვნელობით: გული გულს იცნობსო, ან ძალი ძალს იცნობსო, კონტაქტური პარონიმები).

სასწორის სიწორე ამწონავზე ჰკიდიაო (ხალხური გამონათქვამი, კონტაქტური პარონიმები).

პარონიმთა იმპლიციტური გამოყენებისას ყველასათვის ნაცნობი ფრაზა განიცდის ტრანსფორმაციას და ხდება ერთი ლექსემის მეორეთი ჩანაცვლება. ამის მაგალითები ხშირია პრესაში, რეკლამებში: *Les petits vaisseaux font les grandes lumières* ემყარება ანდაზის პარონიმულ პერიფრაზს: *Les petits ruisseaux font les grandes rivières*.

ასეთი “ოკაზიონალური” საავტორო პარონიმები მყარ შესიტყვებაში ცვლის თავის კორელატებს, ქმნის კალამბურს და ახალ აზრობრივ შეფერილობას ანიჭებს ფრაზას: *La parole est d'argent, mais le silence endort . . . (d'or)* უნდა იყოს: “სიტყვა ვერცხლია, დუმილი კი ოქრო” -სიტყვასიტყვით:“ სიტყვა ვერცხლია, მაგრამ დუმილი ძილს გვევრის“ (ზაი, 2006: 88). მაგალითად :

Entre deux maux il faut choisir le moindre (Paul Valéry) : mots = maux ;

Je sortirai du camp, mais quel que soit mon sort / J'aurai montré du moins comme un vieillard en sort(comme un vieillard en sort = comme un vieil hareng saur).

ამრიგად, იმპლიციტური კომპონენტის ექსპლიციტური ოპოზიციები ემყარება: 1.გარკვეული მოდელის მკაცრ სტრუქტურულ კავშირებს და 2. კომუნიკანტის ფონურ ცოდნას (ექსტრალინგვისტურ კონტექსტს). ექსპლიციტურად გამოსახული კომპონენტები არა მხოლოდ მელოდიურად ეხამებიან თავიანთ იმპლიციტურ

კორელატებს, არამედ გრამატიკულ-აზრობრივ კონტექსტშიც ერწყმინან (პროკოპჩიკი, 2007: 38).

უზუალური ფრაზეოლოგიური ერთეულები გაიაზრება როგორც უკვე ცნობილი ინფორმაცია, მას სტანდარტული მოდელი გააჩნია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს მოცემული ინფორმაცია რეციპიენტისთვის ახალი არ არის. ოკაზიონალური პარონომაზიული თქმების სტრუქტურულ-სემანტიკურ მოდელების განხილვის საფუძველზე ვადგენთ ფრაზეოლოგიური გამოთქმების სუბსტიტუციურ კომპონენტებს. სუბსტიტუციის ტექნიკა მდგომარეობს გამონათქვამის საბაზო ფორმის ერთი ან რამდენიმე კომპონენტის ჩანაცვლებაში, რომლებიც მეტ-ნაკლები ადეკვატურობით გამოხატავენ ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციას. თუმცა კომპონენტებს შორის ვირტუალური კავშირი არ იკარგება, პირიქით, ამ კავშირის საფუძველზე ყალიბდება ფრაზეოლოგიური და სუბსტიტუციური ერთეულების პირობითი ნიშანი.

სინტაქსურ-მორფოლოგიური შედგენილობის მიხედვით გამოყოფენ პარონომაზიის შემდეგ ტიპებს:

1. $S \rightarrow V \rightarrow S \rightarrow V$

L'homme propose, Dieu dispose (კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო)

2. Phrase elliptique- $S \rightarrow S$

Songes – mensonges (სიტყვასიტყვით: სიზმარი – ტყუილი)

საზიარო – საზიანო

3. მიმართებითი წინადადება

Qui s'excuse s'accuse (სიტყვასიტყვით: ვინც მოიბოდიშებს, თავს იდანაშაულებს)

ვინც მოითმენს ის მოიგებს.

ანდაზებისა და პარონომაზიული თქმების დიდ ნაწილს კლასიკური გრამატიკული მოდელი აქვს:

4. $S \rightarrow V \rightarrow O$

Patience passe science (სიტყვასიტყვით: მოთმინება ცოდნას სჯობიაო)

ოქრო და ვერცხლსა წმიდასა ვერსად უპოვი წიდასა.

5. Prép.→V, prép.→V

A prendre et à apprendre (სიტყვასიტყვით: აიღე და ისწავლე).

პარონიმული წყვილი მეტყველებას მხატვრული ტონალობით ამკობს. მისი განსაკუთრებული ექსპრესიულობა პოეზიაში ვლინდება, სადაც ე.წ. კლაუზულებს ქმნის და რითმას უფრო მეტ მუსიკალურობას, გამომხატველობას ანიჭებს:

“მისთვის გიდეგ უ ბ ე შ ი

გაღობ ცრემლის გ უ ბ ე შ ი,

ამისრულო რაც გითხრეს

თუ ხარ ჩემი ნ უ გ ე შ ი” (ა. წერეთელი “საიდუმლო ბარათი“)

ზოგჯერ კი შიდარიტმას გვაძლევს:

“Il pleure dans mon coeur

*Comme il pleut sur la ville”*⁵³ (P. Verlaine “Romances sans paroles”)

ავტორი პოეზიაში აქსოვს აზრის სინატიფესა და მელოდიურობას, რაც თანახმიერი სიტყვების შეწყობით გამოისახება და ჰარმონიულად ეხამება სმენას, გადმოსცემს სულიერ განცდებს, გრძნობებს. ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული მონაცვლეობა, პარონიმთა ეს ეფემერული თამაში განსაკუთრებულ ექსპრესიულობას სძენს ტექსტს.

« Oh feuille qui me viens effleurer le visage

Avec ce doux frémissement »

(Jean Moréas)⁵⁴

« Vous me le murmurez, ramures, O rumeur. »

(Valéry)

« Je me mire et me vis ange ! et je meurs, et j'aime »

(Mallarmé)⁵⁵

⁵³ <http://clicnet.swarthmore.edu/litterature/classique/verlaine/pleut.html>

⁵⁴ <http://fleurduciel.rmc.fr/33/>

⁵⁵ <http://damienbe.chez.com/mallarme.htm>

ვერბალური შეტყობინება თავისი შესაძლებლობების, გამომსახველობითი უნარის უმაღლეს დონეზე რეალიზაციას მხატვრულ ლიტერატურაში აღწევს. ამას მოწმობს იაკობსონისეული მოსაზრება: *"მხატვრული ტექსტის ღირებულებას მისი უნივერსალურობა და პროგრესულობა განსაზღვრავს. უნივერსალურობა გულისხმობს დროისა და სივრცის საზომთა გადალახვას, ხოლო პროგრესულობა – პოეტური სიტყვის ძალმოსილებითა და გამომსახველობის ძალით, ანუ პოეტური სახის გამომეტყველების ძალით ტრანსცენდენტური სიღრმეების წვდომასა და დაუფლებას"* (ბრეგაძე, 2009 :119).

პარონიმები ლიტერატურული ენის სიმდიდრეა. ფონემათა პერმუტაციებით მიღებული სტილისტიკური ფიგურები: პარონიმია, ასონანსი, ალიტერაცია და სხვა სიტყვათა თამაში პოეზიის მაცოცხლებელ ფიგურებს წარმოადგენენ.

"L'imposture ne le déclassé pas, mais le surclasse plutôt" (J. Cocteau)⁵⁶

"Deux qui s'adoptent, il faut mieux encore qu'ils s'adaptent" (H. Bazin)⁵⁷.

"étonnement monotone et lasse

Est ton âme en mon automne, hélas!" (Vilmorin)⁵⁸

ერთმარცვლიან სიტყვებში ის შეიძლება ასონანსს (ბოლო მარცვლების განმეორება) დაემთხვეს:

"Le piano que frôle une main frêle" (Verlaine)⁵⁹

*" Vouloir c'est pouvoir "*⁶⁰.

"Il tonne, étonne tant de flammes entonnées;

Ce vent disputé bouffe et bouffit dépiteux" (M. Regnier)⁶¹

"Je tresserai mes vers de verre et de verveine

Je tisserai ma rime au métier de la fée" (Aragon)⁶²

⁵⁶ Dictionnaire des rimes et assonances, Le Robert, 2006.გვ. 6-13.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე

⁵⁹ იქვე

⁶⁰ იქვე

⁶¹ იქვე

⁶² იქვე

პარონიმები ის მარგალიტებია, რომელსაც ორატორები მეტყველების მოსართავად იყენებენ. სიტყვათა თამაში, ბგერათმონაცვლეობა, რომელიც პარონიმების არსებობის მთავარი მიზეზთაგანია, მრავლადაა სიურეალისტთა პოეზიაში, კომიკურ თეატრში, პრესაში, პუბლიცისტურ და მხატვრულ ლიტერატურაში, სტუდენტთა სავარჯიშოებში.

მაგალითად:

Passez- moi mon arc barbère, dit le monarque barbare (R. Desnos)⁶³

“Ménage ton manège

Manège ton ménage” (Max Jacob)⁶⁴

“Coeurs et soeurs, damas damnant de langueur” (Rimbaud)⁶⁵

“(La chanson) qui ne pleure que pour vous plaire” (P. Verlaine)⁶⁶

ერთ წინადადებასა თუ აზვაცში პარონიმთა კოლიზია (შეჯახება) ხაზს უსვამს თითოეული სიტყვის აზრობრივ და სტილისტიკურ თავისებურებას, იკვეთება მათი ინდივიდუალობა. ომონიმური და პარონიმული აღრევა ერთგვარი კალამბურია. ეს, ცხადია, შემთხვევითი ფენომენია, გამოწვეული ფაქტებისა და საგნების მსგავსი ბუნებით. პარონიმის ბევრი მაგალითი გვხვდება ქართულ სატრფიალო პოეზიაში:

“ მთვარე ვნახე მავალი

ჭირნი ვუთხარ მრავალი.”

“ცოცხალსა მსურდა შენი მონება,

არ მომხვდა ბროლის სვეტსა გონება,

ამად ვტირ, არ მაქვს ჭირთა ფონება” (უცნობი ავტორი)⁶⁷

პარონიმებს გალაკტიონის პოეზიაშიც ვხვდებით:

“რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?”

("ლურჯა ცხენები," გალაკტიონი)

⁶³ *Dictionnaire des rimes et assonances*, Le Robert, 2006. გვ. 6-13.

⁶⁴ იქვე


⁶⁵ იქვე

⁶⁶ იქვე

⁶⁷ *ხალხური სიბრძნე*, ნაკადული, თბილისი, 1967.

ამგვარად, ზემოთგანხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარონიმები მოიცავს იმ ნიშნებს, რაც ახასიათებს ასონანს, ანტანაკლაზსა და ალიტერაციას. ის მოიცავს როგორც ბგერათმონაცვლეობას, ისე - მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა კონოტაციურ და დენოტაციურ ვარიაციებს.

სქემა 5.



დაბოლოს, ბგერითი გარსის ეს ანალოგიები კრეატიულობის შინაგან მექანიზმებს ავლენს: ყველა რითმის საფუძველს ხომ კალამბური წარმოადგენს. ხელოვნება მოითხოვს ერთდროულად წარმოვაჩინოთ და შევნიღბოთ ეს მოჩვენებითი შეუსაბამობა, სადაც ბგერა ქმნის მნიშვნელობას და მნიშვნელობა – ჟღერადობას.

ამგვარად, პარონიმული ატრაქცია მდიდარ ნიადაგს იძლევა სიტყვათა თამაშის, ანდაზების, აფორიზმების, პარონომაზიული თქმების შესაქმნელად, როგორც სტილისტიკური ფიგურა, იგი პოეზიას შეუდარებელ მელოდიურობას ანიჭებს. ტექსტში მისი მახასიათებელი ნიშნებია: ლაკონიურობა, ექსპრესიულობა, რიტმულობა, რითმულობა, ქარაგმულობა, ფუნქცია კი - მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღების მიპყრობა, შთაბეჭდილების მოხდენა და ენის მოქნილობის წარმოჩენა.

4.2. პარონიმულ წყვილთა ფუნქციურ-სემანტიკური კავშირი;

ლექსიკური ინტერფერენცია

ენობრივი ერთეულები ხასიათდება ორმაგი – ფორმალური და ფუნქციონალური ნიშნებით. პირველ შემთხვევაში მოიაზრება გარეგანი თავისებურებები, ნაწილის მთელისკენ მიმართება, მეორეში კი – შინაგანი თავისებურებები აისახება. შესაბამისად, ენის სტრუქტურის ასაღწერად გამოიყოფა ორგვარი ურთიერთქმედება: 1. ფუნქციური და 2. ფორმალური. ფორმასა და ფუნქციას შორის არსებობს ორი ტიპის დამოკიდებულება: ფუნქცია განაპირობებს ფორმალურ ცვლილებას, რის შედეგადაც ხორციელდება ფუნქციური მოდიფიკაციები, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმა ზემოქმედებს ფუნქციაზე, ფუნქცია – ფორმაზე (ნიკიტინი, 2009:11).

ფორმალური ერთეულები განიხილება როგორც ნომინაციური და კომუნიკაციური მნიშვნელობების განმასხვავებელი ტექსონომიური კატეგორია. *“თუ აღმნიშვნელს მივიჩნევთ როგორც ენობრივი ნიშნის გამოხატულებას სხვადასხვა დონეზე, მაშინ ფორმალური ერთეულები განისაზღვრება როგორც დესიგნატთა განმასხვავებელი ტექსონომიური კატეგორია, რომელიც უზრუნველყოფს აღმნიშვნელთა/დესიგნატთა სტრუქტურულ ორგანიზაციას ფუნქციონირების სხვადასხვა დონეზე”*(ნიკიტინი, 2009:15).

პარონიმულ ერთეულთა ლექსიკურ კლასში გაერთიანება მათი ფუნქციური მახასიათებლებით არის გამოწვეული. ენობრივი მექანიზმები, რომლებიც პარონიმულ აღრევას წარმოშობს, ლექსიკურ ინტერფერენციას უკავშირდება. ლექსიკური ინტერფერენცია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე შიდაენობრივი ან სხვადასხვა ენობრივ სისტემებს შორის მიმდინარე პროცესია, ამ ფენომენის ლინგვისტური ანალიზი კუზნეცოვას ეკუთვნის, რომლის თანახმადაც ინტერფერენცია ლექსიკურ ერთეულთა ორმხრივ (გამოხატულებისა და შინაარსის პლანი) დაახლოებას წარმოადგენს. გამოწვეულია როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური მსგავსებით. მეტყველებაში აზრის ბუნდოვანებას იწვევს და ამავდროულად, არღვევს ენის ნორმატიულ სტრუქტურას. ან კიდევ, მისი

მიზანმიმართული, განსაზღვრული გამოყენება სტილისტიკური ეფექტის შექმნას ემსახურება. მაშასადამე, ლექსიკური ინტერფერენციის განსაზღვრებისთვის პირველ პლანზე გამოდის ორი თანამჟღერი ერთეულის ურთიერთქმედების ფაქტი. ინტერფერენციის პროცესების შედეგები აისახება ისეთ ფენომენში, როგორცაა პარონიმია (შიდაენობრივი ლექსიკური ინტერფერენცია), “ცრუ მეგობრები” (ენათშორისი ლექსიკური ინტერფერენცია), ასევე პარონიმულ ატრაქციებსა და პარონიმთა სტილისტიკურ კომპოზიციებში. ამჯერად შევჩერდებით შიდაენობრივ ლექსიკურ ინტერფერენციაზე. ინტერფერენციული პროცესების საერთო ხასიათი, რომელიც მცდარ ანალოგიებად ვლინდება მეტყველებაში, შეისწავლა ვინოგრადოვმა. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერფერენციული გავლენის შედეგად მიღებული შეცდომათა ტიპები ერთთავად ემთხვევა ბავშვის მეტყველებასა და უცხო ენის შემსწავლელ პირთა მიერ სიტყვათა აღრევას. ამ შეცდომების მაპროვოცირებელი მოვლენაა ანალოგია (ერთი ენის შიგნით – თანამჟღერი ლექსემები, ან ორი ენის ფარგლებში არსებული მსგავსი ფონემური გარსის მქონე ერთეულები) (პანომარიოვა, 2008:29).

პარონიმთა უნებური აღრევა მოცემულ კონტექსტში ენობრივი ნორმების დარღვევაა. თუმცა ასეთი მონაცვლეობა (გარკვეული მნიშვნელობის გამოხატვა განსხვავებული ფონემური შედგენილობის მქონე მორფებით) ზოგჯერ ბუნებრივადაც აღიქმება და მთელ რიგ მიზეზებს უკავშირდება. მისი გამორკვევა ფსიქოლინგვისტურ ანალიზს საჭიროებს. ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინდივიდის დამოკიდებულება ამა თუ იმ ლექსიკური მნიშვნელობის მიმართ, ანუ, სხაგვარად რომ ვთქვათ, დავადგინოთ, თუ რა ღირებულება გააჩნია მოცემულ სიტყვას ინდივიდის ცნობიერებაში, მის მენტალურ ლექსიკონში. მეცნიერები ინდივიდის ცნობიერებას განიხილავენ როგორც ღია, რთულ და დინამიკურ, თვითმართულ სისტემას. მენტალურ სივრცესა თუ მენტალურ ლექსიკონში მოიაზრება იმ სისტემების დინამიკური ფუნქციონირება, რომელიც არეგულირებს მეტყველებისა და აზრების სემანტიკის მუდმივ ურთიერთქმედებას. კონკრეტული ინდივიდისათვის სიტყვათა ამგვარი იდენტიფიცირება შესაძლებელია

განპირობებული იყოს კომუნიკაციური, ემოციური, ან სულაც, ცხოვრებისეული ფაქტორებით.

პარაფაზიის მეორე გამომწვევ მიზეზად მივიჩნევთ ინდივიდის ცნობიერებაში არსებულ მნიშვნელობათა ურთიერთმსგავსების ხარისხს. წმინდა ობიექტური ფაქტორების გარდა, ეს მოვლენა მოიცავს სუბიექტური დამოკიდებულების მნიშვნელოვან წილს. ამგვარად, ინდივიდის “გამოცდილება”, მისი წვდომა ენის რეალებში, განსაზღვრავს სიტყვათა მნიშვნელობების დაახლოებას, რის შედეგადაც მეტყველებაში ისინი ერთმანეთის ვარიანტებად გამოდიან. სიტყვათა ურთიერთდაახლოების ფაქტორად გვევლინება ასევე ინდივიდის სოციალური და პროფესიული სტატუსი.

Blanchiment / blanchissement / blanchissage სამივე ერთეული *blanchir* (გათეთრება) ზმნისაგან არის ნაწარმოები, მაგრამ აზრობრივად განსხვავებულ ნიუანსებს მოიცავს: *Blanchiment* – გაღიავება, გათეთრება; გადატ. გამართლება, უდანაშაულოდ მიჩნევა; *blanchissement* – გათეთრება, გაჭაღარავება; *blanchissage* – გათეთრება, როგორც გასუფთავება, გარეცხვა, აქედან *blanchisserie* – სამრეცხაო. *être allergique à certains produits de blanchissage*;

culturel/cultural ორივე ლექსემა *culture*-სიტყვისგან მოდის, მათ განასხვავებს el/al სუფიქსები, რომლებსაც შეაქვთ სემანტიკური დიფერენციაცია. *culturel* – „კულტურული, განვითარებული, განათლებული“ - *patrimoine culturel*; ხოლო ზედსართავი *cultural* სასოფლო-სამეურნეო კულტურასთან დაკავშირებულს გამოხატავს.

déchaîner/desenchaîner, déchaîner – ჯაჭვის მოხსნა, ნებაზე მიშვება, ბრაზისგან გამძვინვარება, გრძნობების აზვირთება; *désenchainer* – ჯაჭვიდან ახსნა, აშვება, აწყვეტა; ამ წყვილში როგორც ვხედავთ, პირველი მნიშვნელობა ითავსებს მეორისას, მაგრამ არა გვაქვს ინვერსიული მიმართება.

პარონიმული წყვილის დასადგენად მხოლოდ ფონეტიკური ნიშანი არ არის საკმარისი. აუცილებელია შევისწავლოთ ამ კომპონენტების ფუნქციური

თავისებურებები და სემანტიკური კავშირი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფუნქციურ ნიშანს.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ნიშანდობლივია პარონიმთა კატეგორიებიც: პარონიმული წყვილის ორივე წევრი ეკუთვნის ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს. შესაძლებელია პარონიმული წყვილი სხვადასხვა მეტყველების ნაწილი იყოს, მაგრამ ერთნაირი სინტაქსური ფუნქცია ჰქონდეთ: *affidé /affilié* - თანამზრახველი, ნდობით აღჭურვილი პირი /მიღებული, მიტმასნილი, *stupéfait / stupéfié* - გაოცებული /გაბრუებული, განცვიფრებული. ამ თვალსაზრისით, პარონიმების ჩანაცვლება ხდება ტოლმნიშვნელოვან სინტაქსურ კონტექსტში, რომელიც ხასიათდება ერთდროულად ლექსიკურ – გრამატიკული იგივეობით.

პარონიმები, კუზნეცოვას მიხედვით, სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: სინონიმური, კონტაქტური და დისტინქტიური. განსაკუთრებულ სემანტიკურ კავშირს ავლენს სინონიმური პარონიმები, უფრო ნაკლებს – კონტაქტური, სულ მცირედს (ან სემანტიკური კავშირი საერთოდ არ გააჩნია) - დისტინქტიური პარონიმები. ეს კატეგორიები (ჯგუფები) განხილულია ნაშრომის ბოლო თავში.

4. 3. სინონიმური პარონიმები ფრანგულ ენაში

მეტყველების პროცესში ნებისმიერ გამონათქვამს საფუძვლად უდევს რეფერენციისა და პრედიკაციის აქტების ერთობლიობა, თუმცა ხშირად ადგილი აქვს შეუთავსებლობას სიტყვის ბგერით ფორმასა და ცნობიერებაში არსებულ ცნების მნიშვნელობებს შორის, რაც განაპირობებს გაუგებრობის ფენომენის წარმოქმნას. აზრის ბუნდოვანება კი უფრო მძაფრად შეიგრძნობა, როცა ლექსემებს მნიშვნელობის მსგავსებასთან ერთად ჟღერადობის სიახლოვეც ახასიათებს. ჩვენ აქ თანადროულად ვაწყდებით ორი ძირითადი ვექტორის – სინონიმისა და პარონიმის, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივი მოვლენის გაერთიანებას სემანტიკური ნიშნის მიხედვით, რასაც სინონიმურ პარონიმებს ვუწოდებთ.

როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელობის სიახლოვის მიხედვით პარონიმები, ი. კუზნეცოვას თანახმად, სამ ჯგუფად იყოფა: სინონიმური, კონტაქტური და

დისტინქტიური (კუზნეცოვა, 1977:17). თავის მხრივ სინონიმურ პარონიმებში გამოიყოფა სამი ტიპი:

1. სემანტიკური ერთიანობის მქონე სტილისტური პარონიმები (ასევე სტილისტურ-დიფერენციაციის მქონე);
2. იდეოგრაფიული პარონიმები ;
3. სემანტიკურ-სტილისტიკურად დიფერენცირებული პარონიმები (კუზნეცოვა, 1977: 10).

1. სტილისტიკური პარონიმები მოიცავს სტილისტურად განსხვავებულ სიტყვებს, ტერმინებს. სიტყვის არაადეკვატური გამოყენება არღვევს ენის ნორმატიულ სტრუქტურას და მეტყველებაში ის უხეშ შეცდომად აღიქმება, ამიტომაც ამ ტიპის პარონიმებთან განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს.

lancement / lancer - სპორტ. ტყორცნა / სროლა (ეს წყვილი სინონიმებად გვევლინება ქართულშიც, მაგრამ არ მოიცავს პარონიმას);

შემდეგი პარონიმები განსხვავდება პოეტური და ყოველდღიური სტილის მიხედვით:

odoriférant / odorant - პოეტ. კეთილსურნელოვანი / სურნელოვანი (ანალოგიურია ქართულშიც);

onduleux / ondulé - პოეტ. ტალღოვანი / ტალღისებრი (ანალოგიურია ქართულშიც). ნეიტრალურ და სალაპარაკო სტილს შორის დაპირისპირება წარმოდგენილია წყვილში *enrager / rager* - სალ. მდგომარეობიდან გამოსვლა / გაცოფება, გაბრაზება.

საერთო მნიშვნელობის მქონე პარონიმები შეიძლება დიაქრონიული ასპექტითაც განსხვავდებოდეს, რადგანაც განსაკუთრებულ სტილისტიკურ შეფერილობას იძენს. მაგალითად:

embobiner გადატანითი მნიშვნელობით “გაცურებას, იოლად გამოსვლას” ნიშნავს, მას ხშირად ენაცვლება ზმნა *embobeliner* იმავე მნიშვნელობით. ასეთივეა შემდეგი პარონიმული წყვილები:

sécurité / sureté - უსაფრთხოება/ უსაფრთხოება, თავდებობა;

affecté/affété - თვალთმაქცური / მოჩვენებითი, პრანჭია.

ჩამოთვლილთაგან პირველი პარონიმი მნიშვნელობას იფართოებს მეორის ხარჯზე. ზოგ შემთხვევაში პარონიმთა ჩანაცვლება ძველ გამოყენებას ანახლებს: სიტყვა *béant* ლექსიკონში გამოჩენისთანავე უპირისპირდება სინონიმური მნიშვნელობის ზედსართავს *bée* “პირდაღებული” და მუდმივად ენაცვლება ამ უკანასკნელს. დღეს კი ნორმატიულია ორივეს ჩანაცვლება კონტექსტში *bouche bée / béant (d'étonnement)*. დანარჩენ შემთხვევაში მათი ურთიერთჩანაცვლება შეცდომად ითვლება. ილუსტრირებული მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ პარონიმულ ზეგავლენას ზოგჯერ მივყავართ ფონეტიკურ სახეცვლილებამდე, მნიშვნელობის შეცვლამდე, და საბოლოოდ – ახალ სიტყვათა წარმოებამდე.

2. იდეოგრაფიული ანუ სემანტიკურად ნაწილობრივ განსხვავებული პარონიმები - სინონიმური პარონიმების მეორე ქვეჯგუფს შეადგენს და ერთმანეთისაგან არა სტილისტიკურად, არამედ მნიშვნელობის ნიუანსებით განსხვავდება. სემანტიკური გამიჯვნა ხდება მნიშვნელობისა და მისი მოცულობის (გამოყენების) მიხედვით. ნაწილობრივი დამთხვევის დროს პარონიმთა მნიშვნელობა ან დენოტატიურია, ან გადატანითი: *relâcher* „მოშვება, დასვენება, გათავისუფლება“ გაიგივებულია ზმნასთან *relaxer* “გათავისუფლების” მნიშვნელობით, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როცა *relaxer* გამოხატავს “მოდუნებას, მოშვებას”, რადგანაც *relâcher* “ყურადღების მოდუნებას” გულისხმობს. ამ ტიპის სიტყვათა წყვილს შეგვიძლია პირობითად კონტექსტური პარონიმებიც ვუწოდოთ.

ჩანაცვლებადია შემდეგი ზმნებიც – *consommer / consumer*, რომელთა ისტორიაც ნათლად გვიჩვენებს პარონიმული აღრევის პროცესს. ორივე ზმნა ენაში XII საუკუნეში შემოვიდა. ადრე *consommer* გამოხატავდა “შეჯამებას”, *consumer* – “დარღვევას”, დროთა განმავლობაში, პარონიმული ატრაქციის შედეგად *consumer* იძენს “განადგურების, ჩაშლის მნიშვნელობას”, შემდეგ იცვლება “მოხმარება, ხარჯვის” მნიშვნელობით. *consommer* კი იფართოებს მნიშვნელობას *consumer*-ს მნიშვნელობების შეთავსებით. მოგვიანებით *consumer* კარგავს ახალ მნიშვნელობას და ენაში მკვიდრდება როგორც “ჩაშლა, დარღვევა, გაჩანაგება”. აქედან გამომდინარე,

პარონიმული ატრაქციის შედეგად ორივე ლექსემა ევოლუციას განიცდის, უახლოვდება ერთმანეთს და იკვეთება მნიშვნელობის ნიუანსები. აღნიშნული პროცესის ეს ორფაზოვანი დინება დამახასიათებელია სხვა პარონიმებისთვისაც –

Incroyant / incrédule - ურწმუნო / არასარწმუნო, დაუჯერებელი, უნდო (ანალოგიურია ქართულშიც).

სინონიმური პარონიმების სემანტიკური გამიჯვნა შეიძლება შეეხოს მათი მნიშვნელობის მოცულობასაც. მოცულობის ნაწილობრივი დამთხვევა წარმოდგენილია წყვილში *plier / ployer* - მოღუნვა, ორად გაკეცვა / გადაკეცვა (ანალოგიურია ქართულში);

Granuleux / grenu - მარცვლოვანი / უხვმარცვლოვანი (ანალოგიურია ქართულშიც) და ა.შ.

სამეულში *impudence / impudeur / impudicité* - თავხედობა, კადნიერება / უტიფრობა / გახრწნა, გარყვნილება - მნიშვნელობების უარყოფითი შეფერილობა თანდათან ძლიერდება. ისინი ერთმანეთისგან კონოტაციით (დადებითი და უარყოფითი შეფასებით) განსხვავდება, ამიტომაც ისინი შეგვიძლია ემოციურ-შეფასებით პარონიმებს მივაკუთვნოთ.

მოცულობის მიხედვით სინონიმთა ნაწილობრივი დამთხვევა შეიძლება გავიგოთ როგორც ერთი, უფრო ვიწრო მნიშვნელობის ჩართვა მეორეში:

Rayer / radier - გახაზვა, ამოშლა, გადაშლა / სიიდან ამოშლა;

Sommeiller / somnoler - თვლენა, უმოქმედება/ ჩათვლენა;

Funèbre / funéraire - სამგლოვიარო, ბნელი, პირქუში / დამკრძალავი;

პარონიმულ ზეგავლენას, განხილულ მაგალითებში, მივყავართ მნიშვნელობის გაფართოებამდე ან შევიწროებამდე, ზოგჯერ კი პარონიმული აღრევის პროცესები ნორმად ფორმდება და ლიტერატურული ენის საკუთრება ხდება.

3. სემანტიკურ-სტილისტიკურად დიფერენცირებული პარონიმები – ამ ჯგუფის ლექსემები ურთიერთგანსხვავდებიან გამოყენების სიხშირით, სინტაგმატური (ლექსიკურ-სემანტიკური) ნიშნებით. თუ სინონიმები განსხვავდება როგორც სტილისტიკურად, ისე სემანტიკურად, პარონიმული აღრევა ხშირად

ორმხრივი შეცდომაა და ერთდროულად არღვევს ორივე ლიტერატურული ნორმის კომპონენტს. ასეთი თავისებურებებით გამოირჩევა წყვილი

Armes / armoiries - გერბი / ჰერალდიკა;

Transparent / translucide - გამჭვირვალე / შუქგამტარი, გამჭვირვალე;

Biennal / bisannuel - ორწლიანი (ორ წელიწადში ერთხელ)/ორწლიანი;

Difficile / difficileux - ძნელი/სამძიმო, მეწვრილმანე (ანალოგიურია ქართულშიც). პარონიმული პროცესის ეს ორფაზოვანი დინება დამახასიათებელია სხვა პარონიმებისთვისაც. მაგალითად: *rose / rosace* - ვარდისფერი / არქ. ვარდული-ამ ფორმის ორნამენტი; *incroyant / incrédule* - ურწმუნო / არასარწმუნო, დაუჯერებელი, უნდო. პარონიმების სემანტიკურ ურთიერთგავლენას მოწმობს წყვილი *anarchique* (1594) / *anarchiste* (1791), თანამედროვე ენა ორივეს იყენებს. პარონიმ *errement*-ის პირველი მნიშვნელობა იყო -“დამყარებული წესრიგი”; სიტყვა *erreur*-ის ზეგავლენით მიიღო “ცთომილების” მნიშვნელობა (მრ.რიცხვი *erremments*); შემდეგ მოხდა სემანტიკური დიფერენციაცია და *erremments* დაუბრუნდა თავის თავდაპირველ მნიშვნელობას, ოღონდ უარყოფითი გაგებით – რუტინა.

პარონიმთა ურთიერთაღრევისა და კონტამინაციის საბაზს იძლევა თვით ამ ენობრივი მოვლენის ორმხრივი სემანტიკურ-ფონეტიკური სიახლოვე. სიტყვათა სემანტიკურ სიახლოვეს სინონიმიასთან მივყავართ, თუმცა სინონიმური მნიშვნელობები ყოველთვის არ გულისხმობს ორმხრივ ჩანაცვლებას. აქვე დავაზუსტებთ, რომ ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს აბსოლუტური სინონიმები.

ჩვენი კვლევის ობიექტია ლექსიკური სინონიმები, რომლებიც შეიძლება “ურთიერთშენაცვლებადი” იყოს, ე.ი. მათ შორის განსხვავებები შეიძლება ნეიტრალიზაციას განიცდიდეს გარკვეულ პოზიციებში, მაგრამ საზოგადოდ, სინონიმია ერთმანეთის ჩანაცვლებას აუცილებლობით არ გულისხმობს; ამ უკანასკნელს ზოგჯერ ლექსემათა თანახმარების წესები ზღუდავს” (გამყრელიძე, 2008: 366).

მათი აზრობრივი ნიუანსების გამოვლენა ენის ღრმა ცოდნას მოითხოვს. შევეცდებით დავადგინოთ ურთიერთკავშირი იმ პარონიმებსა და სინონიმებს შორის, რომლებიც სემანტიკური მიმართებების ერთიანობით გამოირჩევა.

ენაში აბსოლუტური სინონიმის არსებობა ეჭვის ქვეშ დგას, რადგანაც ყოველი სიტყვა ხასიათდება მნიშვნელობის განსაკუთრებული შეფერილობით, სტილისტიკური ნიშნებით. აქედან გამომდინარე, სინონიმური წყვილები მხოლოდ ნაწილობრივ ურთიერთჩანაცვლებადია. ზოგ შემთხვევაში ჩანაცვლება ნორმატიულია, ზოგჯერ კი – სტილისტიკური და სემანტიკური ნორმების დარღვევას აქვს ადგილი. თუ დარღვევა გამოწვეულია სიტყვათა თანახმიერების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსაუბრე შეცდომით აკეთებს ჩანაცვლებას და საქმე გვაქვს პარაფაზიასთან (პარონიმთა აღრევა).

სინონიმურ პარონიმებზე საუბრისას ტერმინში “სინონიმური” ის პარონიმული წყვილი მოიაზრება, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა და შესაძლებელია მათი ურთიერთჩანაცვლება განსაზღვრულ მომენტში. მაგალითად:

Oiseux /oisif „უსარგებლო, უმოქმედო“. ზედსართავი *oiseux* გამოხატავს “გამოუყენებლობას, უმოქმედობას”, რაც ზოგადად აღნიშნული საგნის თვისებას წარმოადგენს, ხოლო *oisif* გვიჩვენებს, რომ ნივთი, რომელზედაც ვსაუბრობთ, ამ კონკრეტული მომენტისთვის არის უსარგებლო. ადამიანზე საუბრისას “უქნარას, მცონარას” გულისხმობს; *oiseux* ლათინური ენიდან შემოვიდა “*otiosus*”, *oisif* კი შეგვიძლია მის დუბლეტად მივიჩნიოთ, რომელიც ძველი ფრანგული სიტყვის “*oisif*” სახეცვლილი ვარიანტია. მაგალითად:

un objet oiseux – ნივთი, რომელიც ზოგადად გამოუყენებელია;

un objet oisif – კონკრეტული მომენტისთვის უსარგებლო ნივთი.

Prolongation /prolongement „გაგრძელება, გახანგრძლივება“/“დაგრძელება, გაფართოება“

Prolongation de congé – შვებულების გაგრძელება,

Prolongation de terme – ვადის გახანგრძლივება;

Prolongement d'un chemin – გზის გაფართოება;

Valide /valable „ვარგისი, კანონიერი, ძალაში მყოფი“ ზედსართავში *valide* ხაზგასმულია საბუთის კანონიერება, სამართლებრივი მხარე, *valable* კი გულისხმობს დროისა და სივრცის საზღვრებსაც, თუმცა საბუთებზე საუბრისას *valable*-ს ემატება დროის მითითება. რაც შეეხება ამ ტერმინთა სხვა მნიშვნელობებით გამოყენებას:


une personne valide – ქმედითუნარიანი პირი; მისი ანტონიმია *invalide*, რომელიც „არაქმედითუნარიანის“ გარდა შემდეგ მნიშვნელობებს ითავსებს „ავადმყოფი“, „ხეიბარი“.

Une raison valable – სერიოზული მიზეზი;

cet acte n'est pas valide / valable – ეს არ არის კანონიერი / მისაღები საქციელი.

აქვე უნდა ავლნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სიტყვის *valable* “ღირებულის, ფასეულის, საინტერესოს, შესანიშნავის” მნიშვნელობით გამოყენება ინგლისური ენის გავლენით არის გამოწვეული (ინგლ. *valuable*) და ამდენად, ამ შემთხვევაში ის ანგლიციზმია. ამ დროს უპრიანი იქნება გამოვიყენოთ მისი ფრანგული ეკვივალენტები: *estimable, de valeur, de qualité, efficace, remarquable*.

პარონიმის სინონიმურობა სინონიმებისა და პარონიმების თანაკვეთის შედეგად ვლინდება. პარონიმთა ეს ჯგუფი სინონიმისა და პარონიმის საერთო ელემენტებს მოიცავს. სინონიმისა და პარონიმის თანაკვეთა სქემატურად ასე გამოიყურება: სქემა 6.⁶⁸



ამგვარად, სინონიმურ პარონიმთა შესწავლისას ძირითადად სამი ჯგუფი გამოიყოფა, თუმცა კვლევის შედეგად შეგვიძლია მასში ქვეჯგუფებიც აღმოვაჩინოთ

⁶⁸ სქემა ჩვენია.

(კონტექსტუალური პარონიმები, ემოციურ-შეფასებითი პარონიმები) და უფრო დეტალურად განვიხილოთ ისინი. პარონიმული წყვილები უმეტესად ერთი ეტიმოლოგიური საწყისის მქონე, სიტყვაწარმოებით (აფიქსაცია, სუფიქსაცია) მიღებული სიტყვაფორმებია, თუმცა შესაძლებელია მათ განსხვავებული წარმოშობა გააჩნდეთ. ეს მოვლენა აერთიანებს როგორც ფორმოზრივ-ფონეტიკურ პროცესს, ასევე სიტყვათა შინაარსს, რაც საშუალებას იძლევა პარონიმია შევუდაროთ სხვა ენობრივ მოვლენებს, მასში ჩავრთოთ ენის ფორმა და შინაარსობრივი მხარე, კერძოდ, სინონიმია.

ამ თვალსაზრისით, სინონიმური პარონიმები ის სიტყვებია, რომლებიც პოტენციურად შეიძლება ან სინონიმები იყოს და ან პარონიმები, მაგრამ არა ერთდროულად. ენის ლიტერატურული ნორმის მიხედვით ისინი სინონიმებია, არალიტერატურული ნორმით კი – პარონიმები. სინონიმური პარონიმები ერთგვარ მიკროსისტემებს ქმნიან, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში თანაბარი მნიშვნელობები უდევს საფუძველად. სინონიმური პარონიმები მთელი პარონიმული სისტემის ბირთვს შეადგენს. როგორც სინონიმები ავსებს და ამდიდრებს ენას, ასევე პარონიმებიც უფრო მეტ ექსპრესიულობას, სიღრმეს და მრავალფეროვნებას ანიჭებს მეტყველებას.

4. 4. კონტაქტური პარონიმები ფრანგულ ენაში

პარონიმების მეორე კატეგორიას შეადგენს სიტყვები, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო ლექსიკური მნიშვნელობა და შესაბამისად, მათი ურთიერთჩანაცვლება არანორმატიულია. მათთვის დამახასიათებელია დეტონაციური სიახლოვე – ისეთი ცნებების გამოხატვა, რომელიც ერთ სემანტიკურ ველს ეკუთვნის:

Glacial / glaciale - ყინულოვანი / მყინვარისა; *spécial / spécifique* - სპეციალური / სპეციფიკური; *torrentiel / torrentueux* - კოკისპირული / ბობოქარი – ამ ტიპის სიტყვებს კონტაქტური ეწოდება.

სემანტიკური კავშირის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. ერთისთვის დამახასიათებელია ცნებითი მსგავსების კონტაქტი, მეორესათვის – ცნებითი მომიჯნავეობა. ორი კონტაქტური ცნების მსგავსება გამოიხატება პარონიმებში. მაგალითად: *aplanir / aplatir* - გასწორება, გათანაბრება / გაბრტყელება; *ronger / rogner* - ღრღნა / კუთხის ჩამოჭრა; *papillonner / papilloter* - ფარფატი / ციმციმი, ცეცება; *goulet / goulot* - ხახა, ყელი / ჭურჭლის ყელი. ცნებითი მსგავსება შეიძლება ეყრდნობოდეს სიტყვათწარმოების ფაქტორებს. პარონიმები – *hachis / hachure* - დაკეპილი ხორცი / დაშტრიხულობა, სემანტიკურ თანაფარდობას ავლენს მათი გამაერთიანებელი ზმნის *hacher* (დაკეპვა, დაჭრა) წყალობით. მსგავსება შეიძლება ეყრდნობოდეს ასევე აბსტრაქტული და კონკრეტული მნიშვნელობების თანაფარდობას: *capturer / capter* - კონკრ. დაჭერა / შეძენა, მოხვეჭა, დაჭერა – რადიომიმლების; *florissant / fleurissant* - აყვავებული / აყვავებული, გაფურჩქნული – ეკონომიკა; *oppresser / opprimer* - ჩაგვრა / ჩაგვრა, ტანჯვა, შევიწროება, ჩახშობა; *billiaire / bilieux* - ნალველისა / ნალველის სიუხვე, სიყვითლე. ამ ტიპის პარონიმების აღრევისას უპირატესობა აქვს აბსტრაქტულ სიტყვებს. თუ კონკრეტული მნიშვნელობა არ უკავშირდება მკვეთრ სახოვანებას, მაშინ პარონიმული არევა შესაძლებელია ორმხრივი იყოს: *servitude / servilité* - მონობა / მონური მორჩილება; *démythifier / démystifier* - რისამე მითიურობის გაბათილება / მისტიფიკაციის მხილება, გამჟღავნება; *predominance / prééminence* - სიჭარბე, ბატონობა / უპირატესობა; *abstrait / abstruse* - განყენებული,

აბსტრაქტული / გაუგებარი, ბუნდოვანი; *primauté / priorité* - პირველობა, მეთაურობა / უპირატესობა, უფროსობა.

შედარებით რთულია მომიჯნავე ცნებათა კონტაქტი, რომლის დროსაც შეიძლება ორივე პარონიმი ერთ დენოტატს (აღმნიშვნელს) მივაკუთვნოთ.

შემდეგი პარონიმები ერთ სემანტიკურ ობიექტად ერთიანდებიან: *pétrolier / pétrolifère* → *pétrole* - ნავთობსასხმელი ტანკერი, ნავთისა / ნავთობის, ნავთობიანი; *populaire / populeux / peuple* - სახალხო / ხალხმრავალი; *passionnel / passionné / passion* - სატრფიალო, ვნებითი / ვნებიანი; *oiselier / oiseleur / oiseau* - ფრინველების გამყიდველი / ჩიტების დამჭერი.

ეს ბოლო წყვილი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დაკვირვება, რომლითაც ვხსნით პარონიმულ პროცესს; თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ მორფემებს, შეიძლება მივიდეთ სრულ სინონიმიაშდე, რადგან ორივე შემთხვევაში გამოიყენება პროფესიის მაწარმოებელი სინონიმური სუფიქსები -ier / -eur; ამიტომაც, სიტყვის მნიშვნელობა (*oiselier / oiseleur*) არ გამომდინარეობს ცალკეული მორფემებიდან; მიუხედავად იმისა, რომ ამ მორფემებს მსგავსი მნიშვნელობები აქვთ, მათი არევა არ შეიძლება.

მნიშვნელობათა არევა იმ გააზრების შედეგია, რაც შემუშავებული იყო წლების განმავლობაში თითოეული სიტყვის მიმართ. პარონიმების სემანტიკური მომიჯნავეობის ერთ ცნებით ობიექტად გაერთიანების სირთულე მდგომარეობს თვით ამ ობიექტის განსხვავებულ გამოვლინებაში. ეს სირთულე ილუსტრირებულია მაგალითში: *météore / météorite* - ცნება ეკუთვნის ერთსა და იმავე ბუნებრივ მოვლენას, მაგრამ სხვადასხვა სტადიაში: *météore* - მყარი ციური სხეულია, რომელიც დედამიწის ატმოსფეროსთან შეხებისას ხილვად სხივებს იწვევს; *météorite* - მყარი კოსმოსური სხეულია, რომელიც დედამიწაზე აღწევს. ამ სიტყვების პარონიმული აღრევა იწვევს აღნიშნული ცნებითი განსხვავების იგნორირებას და მათი ნივთიერი კუთვნილების ცვლილებას.

ანალოგიურია პარონიმები *cerveau / cervelle* - ადამიანის ტვინი / ცხოველის ტვინი. პირველად ორივე სიტყვა წარმოადგენდა ერთი სიტყვის ფონეტიკურ –

გრამატიკულ ნაირსახეობას. ის მოდის ლათინურიდან *cerebellum* (*cerebrum*). მათი ისტორიული ატრაქციის სემანტიკური დიფერენციაცია ურთიერთსაწინააღმდეგოა. კონტაქტურ პარონიმებში პარონიმული პროცესის დინება განსხვავდება სინონიმური პარონიმებისაგან. ამ უკანასკნელს ჩანაცვლება შეუძლია განსაზღვრულ კონტექსტში, შესაბამისად, პარონიმული აღრევა განსაკუთრებით სინონიმურ პარონიმებზე ვრცელდება განსაზღვრულ შემთხვევაში.

კონტაქტურ პარონიმებს ურთიერთჩანაცვლება არ ახასიათებთ, ამიტომ მათი პარონიმული აღრევა მხოლოდ მნიშვნელობების დაახლოებას ანუ სინონიმურ ხასიათს ეყრდნობა. მათში თავს იჩენს მცდარი სემანტიკური იგივეობა, რაც თითქოს შესაძლებელს ხდის ჩანაცვლებას.

4. 5. დისტინქტური პარონიმები ფრანგულ ენაში

სინონიმური და კონტაქტური პარონიმებისაგან განსხვავებით, ამ თანამჟღერ სიტყვებს უმეტესწილად არ გააჩნია სემანტიკური კავშირი. მაგალითად: *vase / case*, *maison /raison*. ზემოთ განხილულ მაგალითებში როგორც დავინახეთ, მსგავსი ჟღერადობა გადადის მნიშვნელობის სიახლოვეში, დისტანციური პარონიმებისათვის კი დამახასიათებელია ნორმატიული სემანტიკური კავშირის უქონლობა, აღრევა ეყრდნობა მხოლოდ ფორმალურ მსგავსებას: *acception / acception* - მნიშვნელობა / დათანხმება; *agoniser / agonir* - სულთმობრძაობა / შეურაცხყოფის მიყენება; *inanité / inanition* - სიცარიელე, ამაოება / გამოფიტვა, დაძაბუნება. საყურადღებოა ისიც, რომ დისტანციური პარონიმების ნაწილი დიაქრონიაში ახდენს სემანტიკური კავშირის (სინონიმურის ან კონტაქტურის) განსაზღვრას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ დისტანციური პარონიმების ურთიერთობა ფონეტიკური სიახლოვის შედეგია. ზოგჯერ, გადმონაშთის სახით, ის უზუალურ კავშირს ინარჩუნებს. წყვილს – *acception / acception* ადრე სინონიმური მნიშვნელობა “მიღება” – ჰქონდათ, რაც დღეისათვის *acception* –ის მოძველებურ მნიშვნელობად ითვლება. იგივე ითქმის პარონიმებზე – *intégralité / intégrité* (ძვ. მნიშვნელობა – ერთიანობა, მთლიანობა);

partage / partition (ძვ. გაყოფა, განაწილება); *affabulation / fabulation* - რომანის ფაბულა, მორალი / წარმოსახვის ნაყოფი. პირველად სიტყვა *fabulation* შემოიღო ბალზაკმა 1830 წელს, როგორც *affabulation* -ის სინონიმი.

სიტყვის ფუძის ერთ მნიშვნელობას უკავშირდება პარონიმები *industriel / industrieux* - სამრეწველო / დახელოვნებული, სამრეწველო. XVIII საუკუნეში არსებითი სახელი *industrie* “მოხერხებულობა” ახალ მნიშვნელობას იღებს – “მრეწველობა”. ამიტომაც, მოცემული სიტყვების პარონიმული კონფლიქტი ეტიმოლოგიურად ახსნილია არა მარტო როგორც ფონეტიკური, არამედ – სემანტიკური პროცესი, განპირობებული ორივე პარონიმის მნიშვნელობების კონტაქტით. ანალოგიური ურთიერთობა აღინიშნება სიტყვებში – *machination / machinerie / machine* - მაქინაცია, ხრიკები / მექანიკური მოწყობილობა - “მაქინაცია, მექანიზმი”; *artificieux / artificial / artifice* - მზაკვრული, ვერაგული / ხელოვნური, არაბუნებრივი / “მზაკვრობა, ცბიერება, ხელოვნება, ოსტატობა”.

ზოგჯერ ნაწარმოები სიტყვების სემანტიკა პოლისემანტიზმის რღვევას განაპირობებს: - *blanchissage / blanchiment / blanchir* - რეცხვა, გაწმენდა / გათეთრება, შეთეთრება; *raffinage / raffinement / raffiner* - შაქრის რაფინირება / სინატიფე, დახვეწილობა; პარონიმები *moussu / mousseux* მომდინარეობს ორმნიშვნელოვანი სიტყვიდან *mousse* “ხავსი, ქაფი”. აქ შეინიშნება პოლისემიის რღვევა, ანუ სიტყვის მნიშვნელობის შევიწროება, რადგანაც ადრე *mousseux* ერთდროულად გამოხატავდა “ქაფიანსაც” და “ხავსიანსაც” და ერთ-ერთი მნიშვნელობით სიტყვის - *moussu* სინონიმი იყო. ამ სიტყვათა ისტორია გვიჩვენებს აბსოლუტური სინონიმიიდან (XVI საუკუნე – “ხავსიანი”) ნაწილობრივ სინონიმიამდე (XVII საუკუნე – *mousseux* იძენს მეორე მნიშვნელობას “ქაფიანი) განვითარების გზას და საბოლოო სემანტიკურ ცვლილებას – თანამედროვე დისტანციურ მნიშვნელობებად ჩამოყალიბებას.

ამ ორი ზედსართავის ურთიერთჩანაცვლებამ დროთა განმავლობაში არანორმატიული, მაგრამ გამოკვეთილი პარონიმული ხასიათი მიიღო. დისტანციური პარონიმები მსგავსია ეტიმოლოგიური თვალსაზრისითაც. მათ შორის

გამოიყოფა მცირე ქვეჯგუფი სიტყვებისა, რომელიც ომონიმური ფუძიდან მოდის: *cannoner / canoniser* → *canon* (ზარბაზანი, ქვემეხი / წმინდა კანონი); *décollation / décollage / décollement* → *col / colle* (ყელი / წებო); *appareillement / appareillage* → *appareiller* (დაწყვილება / აშვება). დისტანციურ პარონიმებს ფორმალური ფონეტიკური თანახმიერებაც აერთიანებს. სემანტიკური თვალსაზრისით, ამ ტიპის პარონიმებს არც დიაქრონიაში და არც თანამედროვე ფრანგულ ენაში ნორმატიული კავშირი არა აქვს. თუმცა, პირდაპირი სემანტიკური კავშირის არარსებობა ყოველგვარი კავშირის უარყოფას არ ნიშნავს. ენის ელემენტები ყოველთვის ურთიერთქმედებენ სხვა ელემენტებთან (სინონიმური და კონტაქტური პარონიმები), დანარჩენები კი მეორეხარისხოვანია და განსაკუთრებულ შემთხვევაში გვხვდება. პარონიმული აღრევა, სადაც ერთი სიტყვა შეცდომით ასოცირდება მეორესთან, ეკუთვნის იმ განსაკუთრებულ პირობათა რიცხვს, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვებს შორის მეორეხარისხოვან სემანტიკურ კავშირებს. ამ სახის კავშირებს შეგვიძლია თემატური ვუწოდოთ, რადგანაც აქ საქმე გვაქვს ერთ ან რამდენიმე თემატურ კავშირთან. ასე რომ, განხილული დისტანციური პარონიმები იყოფა ორ ქვეჯგუფად – თემატური კავშირის მქონე და თემატურად კავშირის არმქონე, რომლებიც მიიღებიან პარონიმთა უზუალური კავშირით.

თემატური კავშირის არსებობა საყურადღებოა თანამჟღერი სიტყვების ფსიქოლოგიური ასოციაციის მხრივ, რომელსაც პარაფაზიამდე მივყავართ. თემატურად დაკავშირებულია, მაგალითად, შემდეგი დისტინქტიური პარონიმები: *Platiné / patiné* პლატინით დაფარული / პატინით, ჟანგით დაფარული – აქ საერთო ელემენტი მეტალთან კავშირია. ორივე პარონიმი თემატურ ერთიანობაშია, რადგანაც ორივე მეტალს გამოხატავს.

Esquille / escarre ძვლის ნამსხვრევი / მედ. მკვდარი ქსოვილის მოშავო ქერქი – საერთო კავშირი სამედიცინო პათოლოგიის სფეროა.

Préemption / préemption იურ. საქმის შეწყვეტა / *droit de ...* პირველობის უფლება, *date de préemption*-ვარგისიანობის ვადა. – ორივე ტერმინი იურისპუდენციას უკავშირდება.

განსაკუთრებულ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ არსებითი სახელები - *événement / avènement* - მოვლენა / რელ. გამოცხადება; ისტ. ტახტზე ასვლა. XII საუკუნეში *avènement* - ნიშნავდა “მოსვლას, ჩამოსვლას” რაც XVII საუკუნეში გადავიდა სიტყვაში - *arrivée*. იმავე ეპოქაში *avènement* - მოდელის მიხედვით აწარმოეს სიტყვა - *événement*. სიტყვების არევის საფუძველი ხშირად სწორედ ეს მოვლენაა - ერთ-ერთი მათგანიდან მეორე სიტყვის წარმოება. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ რომ, სიტყვების პარონიმული ერთიანობა არა მარტო მათი ფონეტიკური სიახლოვის არამედ - დერივაციის მონაპოვარია.

ასე რომ, დისტანციური პარონიმია ეყრდნობა ორი სიტყვის უზუალურ - ფონეტიკურ სიახლოვეს (უზუალური კავშირი ენის ისტორიაში წარმოდგენილია, როგორც სიტყვათწარმოებისა და სემანტიკური მემკვიდრეობის კავშირი). უზუალური კავშირი არ არის მოტივირებული არც ეტიმოლოგიურად და არც თემატურად.

ტრადიციული პარონიმული აღრევა, რაც გამოიხატება მსგავსი სიტყვების ჩანაცვლებით, შეგვიძლია ავხსნათ როგორც თანახმიერი სიტყვების ასოციაციური კავშირი. განხილული პარონიმების დიდი ნაწილი მეტყველებს იმაზე, რომ არა გვაქვს ერთიანი კანონზომიერება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პარონიმულ პროცესს განსაზღვრავს ტიპური პარონიმული აღრევა, რაც სინქრონიას, დიაქრონიას, ან დიაქრონიულ სემანტიკურ კავშირს უკავშირდება.

ურთიერთჩანაცვლებადი პარონიმების გარდა არსებობს სიტყვები, რომლებიც ჩანაცვლებისას ერთი მიმართულების ხასიათს მოითხოვს, მაგალითად: *agoniser / agonir* - *agoniser* ცვლის ნაკლებად გამოყენებად სიტყვას - *agonir*. მათი პარონიმული აღრევა შეიმჩნევა დღესაც და შედის “სირთულეთა ლექსიკონში”. სიტყვამ *agonir* - “აგონიაში ყოფნა” განიცადა პარონიმული ატრაქცია *ahonnir*-თან “შეურაცხყოფა” და მისი მნიშვნელობა გადმოიღო. ლათინური *agonisare* “შებრძოლება”, რომელიც გამოიყენებოდა ხალხურ ენაში, ზმნის *agonir* - გავლენით მიიღო “აგონიაში ყოფნის” მნიშვნელობა. ეს არის დისტანციური მნიშვნელობების დაახლოება, რომელსაც

აღრევადი სიტყვების ურთიერთჩანაცვლებამდე მივყავართ. დანარჩენ დისტანციურ პარონიმებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ:

infirme / infime - ავადმყოფური, შეუძლო / უმდაბლესი, უმნიშვნელო,

affilé / affilié - შეუჩერებლად / მიღებული, წვერი,

prodige / prodigue - სასწაული / მფლანგველი.

ორმხრივი ჩანაცვლება დამახასიათებელია იმ პარონიმებისათვის, რომელთაც არა აქვთ საერთო განსხვავება:

rabattre (l'orgueille) / rebattre (les oreilles) - შემცირება, დაკარგვა / ცემა, მტკიცება,

conjoncture / conjecture - ვითარება / ვარაუდი,

collision / collusion - დაპირისპირება, შეჯახება / შეთქმულება,

percepteur / précepteur - გადასახადების ამკრეფი; აღმქმელი / აღმზრდელი.

პარონიმების იმ ჯგუფს, რომელთა აღრევის შემთხვევები ხშირია, უპირისპირდება ის პარონიმები, რომელთა აღრევაც პასიურ ხასიათს ატარებს:

sarcabane / barbacane - ჩასაბერი მილი / სათოფური,

inanité / inanition - ამაოება / გამოფიტვა,

fouailler / fouiller - გამათრახება / გათხრა, ამოთხრა.

დასკვნები IV თავის მიხედვით

ამგვარად, ლინგვისტიკა ვერბალური სტრუქტურირების ტიპებს განიხილავს, პოეტიკა კი მხატვრული ნაწარმოებების ღირებულებებს სწავლობს, მათი ურთიერთშერწყმით წარმოებული კვლევა მთელი თავისი სიძლიერით წარმოაჩენს კონცეპტების, აკუსტიკური გარსისა და კონტექსტის ღირებულებებს. პარონომაზიულ თქმებში, ანდაზებსა და აფორიზმებში გვხვდება სინონიმური, კონტაქტური, დისტანციური, ოკაზიონალური და წარმოქმნილი პარონიმები. ქართული პარონომაზია გამოირჩევა მორფოლოგიური სტრუქტურის მრავალფეროვნებით (ქართულ ენაში არა გვაქვს წინადადებაში სიტყვის წყობის მკაცრი მოდელი), ხოლო ფრანგული - პოლიფონიურობით.

განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს პარონიმია ენის განვითარების თანმდევ პროცესად მივიჩნიოთ. შევეცადეთ დაგვედგინა პარონიმული კავშირები. მჭიდრო კავშირით ხასიათდება სინონიმური პარონიმები, უფრო ნაკლებით – კონტაქტურები, მინიმალური ან ნულოვანი კონტაქტით კი – დისტანციური კატეგორია. სამივე ჯგუფისათვის პარონიმული პროცესის არსი წარმოადგენს მსგავსი ბგერების გადაადგილებას. პარონიმების სემანტიკური ჩანაცვლება საყურადღებოა მნიშვნელობის გადანაწილების მხრივ, რომელიც გამოიხატება თავად პარონიმებში. პარონიმების სემანტიკური გარდაქმნა ლიტერატურულ ნორმად მიიჩნევა: *agonir (d'injures) /ahonnir, consummer /consommer*.

სიტყვათა მსგავსი ჟღერადობა, რომელსაც განსაზღვრულ სემანტიკურ ცვლილებებთან მივყავართ, შეიძლება არამარტო არანორმატიული სიტყვათწარმოების, მეტყველებაში სიტყვების აღრევის მიზეზი იყოს, არამედ ენის ფარული შესაძლებლობების გამოსახვის საფუძველია.

პარონიმების სპეციფიკას შეადგენს ფორმისა და შინაარსის არამარტო რთული ურთიერთმიმართება, არამედ მათი მეტყველებაში გამოყენების თავისებურება, რომელიც ვლინდება ორ სრულიად განსხვავებულ ასპექტში. ეს ფენომენი ფართოდ გამოიყენება ხალხურ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც ისინი ერთმანეთს ეწყობიან და ქმნიან აფორიზმულ ტიპს.

თავი V. პარონიმთა ტიპოლოგია ქართულ ენაში

5.1. სინონიმური პარონიმები ქართულ ენაში



პარონიმთა კლასიფიკაცია, რომელიც სინონიმურ, კონტაქტურ და დისტანციურ კავშირებს ემყარება, სქემატურად ასე გამოისახება: სქემა 7⁶⁹.

საერთო ფუძის მქონე პარონიმებსა და სინონიმებს ერთი აზრობრივი ღერძი აკავშირებს. მათ მნიშვნელობების მსგავსება და სიტყვაწარმოებითი ბუდეები აერთიანებს.

სინონიმურ პარონიმებს განსხვავებული თვისობრივ-ლოგიკური მიმართებები გააჩნია, რითაც აიხსნება მათი განსხვავებული ლექსიკური თანახმარების წესები. მონოსემური ფუძისგან ნაწარმოებ მინიმუმ ორ ლექსემას საყურადღებო მნიშვნელობის მცვლელი ფუნქცია აკისრია: *წვიმიანი / ნაწვიმარი* (დღე), *კვამლიანი / დაკვამლული* (ოთახი), *თოვლიანი / დათოვლილი* (მთები), *მომღიმარე / გაღიმებული* (ბავშვი), *უცვლელი / შეუცვლელი* (წვერი), *თეთრი / მოთეთრო* (ფერის ინტენსივობაზე მიუთითებს), მათი ურთიერთჩანაცვლება, უმეტესწილად, აზრობრივი სიმეტრიის დარღვევას იწვევს: *წვიმიანი* დამახასიათებელ თვისებას, პროცესს გამოხატავს, ხოლო *ნაწვიმარი* – ერთჯერადი მოქმედების შედეგს ასახავს. იგივე ითქმის დანარჩენ მაგალითებზეც. მაგალითად: *ამხელს/ამხილებს* (ავლენს, ამჟღავნებს, ამბობს/აშკარავებს, კიცხავს), *განურჩევლად / გაურჩევლად* (ერთნაირად, თანაბრად/გარჩევის, განხილვის გარეშე). მათ აღრევას ზოგჯერ ფსიქოლინგვისტური ფაქტორი იწვევს. ამ დროს მოსაუბრე ახდენს პარონიმული წყვილის ერთ-ერთი კონოტაციური მნიშვნელობის გადატანას მეორე წევრზე, რაც საერთო ჯამში აზრის ბუნდოვანებასა და უზუსტობას განაპირობებს. ლექსემათა სინონიმურობა,

⁶⁹ სქემა ეკუთვნის პონომარიოვას

აზრობრივი თანასწორობა პარონიმთა ფუნქციური მახასიათებლებით განისაზღვრება. სინონიმია ურთიერთჩანაცვლების პრინციპს ემყარება, ურთიერთშემცვლელი ლექსემები კი სიტყვის პოლისემანტურობაზეა დამოკიდებული. სინონიმია სიტყვის მნიშვნელობათა ერთ კონკრეტულ ნაწილს მოიცავს:

დაუფასებელი /შეუფასებელი /ფასდაუდებელი – ამ სამეულს მჭიდრო სემანტიკური კავშირი აქვს, ზოგადი მნიშვნელობით “დიდი ფასის მქონეს” ნიშნავს:

“დაუფასებელი რამ არის იმედი” (ი. გოგებაშვილი)⁷⁰,

“მწერლის ღვაწლი შეუფასებელია; ილიას ღვაწლი ფასდაუდებელია ქართველი ერის წინაშე”⁷¹

მაგრამ მათ სხვა მნიშვნელობებიც გააჩნიათ: დაუფასებელი – ვინც ან რაც არ დაუფასებიათ: *“დაუფასებელი ამავი”*, შეუფასებელი: რაც არ შეუფასებიათ *“შეუფასებელი ქონება”⁷²*

გვარიანი /გვაროვანი – “წარჩინებული გვარის” მნიშვნელობა აერთიანებს, მაგრამ გვარიანი გადატ. მნიშვნელობით “საკმაოდ კარგს” ნიშნავს.

მოსწავლე /მოწაფე – “ვინც სწავლობს”. მოწაფის მნიშვნელობა უფრო ფართოა: ვინმეს მოძღვრების, საქმიანობის მიმდევარი.

პირდაპირ /პირისპირ – “ვინმეს ან რაიმეს წინ, მოპირდაპირე მხარეს”: პირდაპირ /პირისპირ ზის. პირდაპირ გამოხატავს მიმართულებას: *პირდაპირ სვლა*, გულახდილობას: *პირდაპირ გეტყვი*, გამოიყენება გამაძლიერებელი ნაწილაკის ფუნქციით: *პირდაპირ გაგიყდა*. პირისპირ = პირადად, უშუალოდ (აფრიდონიძე 2011:189).

ქართულში ბევრია უცხოური წარმოშობის პარონიმები, რომელთაგან ზოგი ქართული აფიქსებით არის ნაწარმოები – ულ სუფიქსიანი ფორმები, ასევე –აცია, -ირება ფორმანტები. *რეკლამაცია /რეკლამირება, რეგულარული/რეგულირებული*.

⁷⁰ *ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი*, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი, 2011. გვ.76.

⁷¹ იქვე, გვ.76.

⁷² იქვე, გვ.76.

საჭიროა დავაზუსტოთ ის ფაქტი, რომ აბსოლუტური სინონიმებისათვის პოლისემანტიურობის გარდა, ორი სიტყვის შესაბამისი ერთი რეფერენტის არსებობაც კი არ კმარა. მაგალითისთვის მოვიყვანოთ შემდეგი წყვილი: *სურნელოვანი /კეთილსურნელოვანი*, მათ სტილური თავისებურებები განასხვავებს (სასაუბრო და პოეტური სტილი). ამგვარად, როგორც ფრანგულში, ისევე ქართულშიც, სინონიმური პარონიმები სტილურადაცაა დიფერენცირებული.

თანამედროვე ლინგვისტიკაში იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ხასიათდებიან მნიშვნელობების სიახლოვით/მომიჯნავეობით და არა იდენტურობით, პარასინონიმია ეწოდება. განხილული მაგალითების საფუძველზე, ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სინონიმური მნიშვნელობის პარონიმები პარასინონიმებია. მნიშვნელობის იდენტურობა არ დაიყვანება რეფერენტის იგივეობამდე. აქედან გამომდინარე, სიტყვათა დუალობა გარკვეული თვალსაზრისით მოიცავს მნიშვნელობებისა და სიტყვათა პარალელურ გამოყენებას.

5. 2. კონტაქტური პარონიმები ქართულ ენაში

კონტაქტური პარონიმები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დენოტატიური მნიშვნელობის მქონე საერთო სემანტიკური ველის სიტყვებია. მათ არ გააჩნიათ საერთო სალექსიკონო მნიშვნელობა, ამიტომაც მათი ურთიერთჩანაცვლება არ შეესაბამება ენის ნორმატიულ სისტემას. ისინი ხასიათდებიან მცდარი ფორმალურ-სემანტიკური სიახლოვით.

გაუგებარი /გაუგებელი – რაც ვერ გაიგეს, გაურკვეველი, გაუგებარი ამოცანა/შეუტყობელი, გაუგებელი ამბავი.

განაცხადი /განცხადება – ოფიციალური თხოვნა, მოთხოვნა / რაიმე წინადადების ან თხოვნის შემცველი ოფიციალური ქაღალდი.

შეფერადება /გაფერადება – საერთო ფუძის მქონე ეს პარონიმული წყვილი “ფერის მიცემის” მნიშვნელობით ერთიანდება. შეფერადება გადატ. მნიშვნელობით გალამაზებას მოიცავს, მეორე პარონიმი კი ზედაპირის გაფერადებას გულისხმობს.

მოსაგონარი /მოსაგონებელი - 1. ვინმეს გასახსენებლად განკუთვნილი - სულიერი ადრესატი; 2. რაც უნდა მოიგონონ და გაიხსენონ (უსულო). მათ განსხვავებული ვალენტობა აქვთ.

ფაკულტატიური / ფაკულტეტური - 1. საკუთარ არჩევანზე დამოკიდებული, არასავალდებულო; 2. ფაკულტეტისთვის განკუთვნილი.

ფაკულტატიური საგნები;

საფაკულტეტო ღონისძიება.

საზოგადო /საზოგადოებრივი - 1. რაც ყველას ეკუთვნის ან ახასიათებს, საერთო; 2. საზოგადოებისთვის დამახასიათებელი.

საზოგადო საკუთრება;

საზოგადოებრივი ცხოვრება.

საგულისხმო /საგულისხმებელი - 1. მნიშვნელოვანი, საყურადღებო;
2. მხედველობაში მისაღები.

სიმბოლური /სიმბოლისტური - 1. სიმბოლოს ხასიათისა, პირობითი;
2. სიმბოლიზმისთვის /სიმბოლისტისთვის დამახასიათებელი.

სიმბოლური ნიშანი;

სიმბოლისტური პოეზია.

ჰუმანური /ჰუმანისტური /ჰუმანიტარული - 1. ადამიანური, გულისხმიერი;
2. ჰუმანისტის /ჰუმანიზმის თვისების მქონე; 3. ადამიანთა საზოგადოებისა და კულტურის შემსწავლელი; უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებული.

ჰუმანური დამოკიდებულება ;

ჰუმანიზმის თეორიები;

ჰუმანიტარული მეცნიერებანი.

პრობლემური /პრობლემატური - ორივე წყვილს აქვს „გადასაწყვეტი, პრობლემის შემცველი“ მნიშვნელობა, მაგრამ მეორე პარონიმის მნიშვნელობა უფრო ფართეა: - პრობლემათა ერთობლიობისთვის დამახასიათებელი.

ელექტრონული /ელექტრული - 1. ელექტრონთან დაკავშირებული;
2. ელექტრობასთან დაკავშირებული.

დოკუმენტის ელექტრონული ვერსია;

ელექტრული ველი.

ერთწლიანი /ერთწლოვანი – 1. ერთი წლისა; 2. რაც ვითარდება და კვდება ერთი წლის განმავლობაში.

ერთწლიანი ნარგავები ;

ერთწლოვანი მცენარეები.

ელემენტური /ელემენტარული – 1. ელემენტების მიხედვით განხილვა; 2. დაწყებითი, მარტივი, უბრალო.

ელემენტური ანალიზი;

ელემენტარული ზრდილობა;

ენის ცოდნის ელემენტარული დონე.

დაშაქრული /დაშაქრებული – 1. შაქრით დამტკვარი; 2. რაც დაშაქრდა, რამაც შაქარი გამოყო.

დაშაქრული მარწყვი;

დაშაქრებული მურაბა.

ყინულოვანი /ყინულის

ჩრდილო ყინულოვანი პოლუსი;

ყინულის სასახლე.

კონტაქტურ პარონიმებს საერთო ფუძე აქვთ, საერთო სფეროს ეკუთვნიან.

ამრიგად, პარონიმია ენის განვითარების თანამდევი პროცესია. მის შედეგად ზოგი ლექსემა, მნიშვნელობების სხვაობის მიუხედავად, მეტყველებაში ერთმანეთს ანაცვლებს. მაგალითად: *აკითხებს/აკითხვინებს* 1. წასაკითხად აძლევს, კითხვას ავალებს. 2. *იკითხავს* ზმნის კაუზატივია, ავალებს ჰკითხოს, იკითხოს. მოძველებული მნიშვნელობაა *სთხოვს უმკითხაოს*⁷³. ასევეა *იწყებს /იწყობს* -

1. დაწყება, დასაბამის მიცემა; 2. დაწყობა, მოწესრიგებულად დადება, დალაგება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ზმნების II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმები

⁷³ ღვინაძე თ. *პარონიმია თანამედროვე ქართულ სიტყვახმარებაში*, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბილის, 1981. გვ.80

ომონიმურია (იწყებს, უწყებს), განსხვავებულია მხოლოდ I თურმეობითის ფორმები (დაუწყია, დაუწყვია), მათი აღრევის საფუძველს დიალექტური განსხვავებებიც ქმნის (დიალექტებში ხშირად მონაცვლეობს *ებ /ობ* სუფიქსები)⁷⁴.

ენაში არსებული თანახმიერი სიტყვები ადვილად განირჩევა და არ გულისხმობს ორმხრივ ჩანაცვლებას. ამ თვალსაზრისით ანალიზი ექვემდებარება თანაჟღერობის არსებობას და პარონიმული წყვილის არევას ობიექტური ნიშნის მიხედვით. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არ შეიძლება ეს აღრევა წმინდა ფონეტიკურ პროცესად მივიჩნიოთ. პარონიმია, როგორც განსაკუთრებული ენობრივი მოვლენა ახსნას პოულობს არა თვით სიტყვათა ნაწილობრივ ფონეტიკურ დამთხვევაში, არამედ სიტყვათა ფორმების სემანტიკურ სიახლოვეში, კერძოდ, მათ ურთიერთჩანაცვლებაში (ვინოგრადოვი, 1960: 6).

5.3. დისტინქტური პარონიმები ქართულ ენაში

აზრის ბუნდოვანება აღმნიშვნელთა (signifiant) ნაწილობრივ ან მთლიან მსგავსებაში (ომონიმია, ომოფონია, პარონიმია) ან აღსანიშნის (signifié) მნიშვნელობებში (პოლისემია) მდგომარეობს. ენაში არსებული ეს ორი ფენომენი – თანამსგავსება და განსხვავებული მნიშვნელობები – ბუნდოვანების პარადიგმას ქმნის. ამ ტიპის ლექსემების პარონიმისადმი მიკუთვნების ფაქტს ი. კუზნეცოვა ასე განმარტავს: *„ინდივიდის ცნობიერებაში ადგილი აქვს ცალკეული სიტყვების არა მარტო ფონეტიკური ნიშნით (ბგერითი ფორმით) აღრევას, არამედ მათი მნიშვნელობების გაიგივებასაც. ნორმატიული სემანტიკური კავშირის უქონლობა მცდარი სინონიმური კავშირის ილუზიას ქმნის, ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება პარონიმთა სხვა ჯგუფებში“* (კუზნეცოვა, 1990:39).

დისტანციური პარონიმები იმ ქვეჯგუფს წარმოადგენს, რომელშიც შემავალი ლექსიკური ერთეულები წმინდა ფონეტიკური მსგავსებით ერთიანდებიან და მცირე აზრობრივი კავშირები გააჩნიათ. მიუღებელია მათი ურთიერთჩანაცვლება.

⁷⁴ იქვე, გვ. 81.

აპატიებს /აპატივებს – 1. მიუტევებს; 2. სასუქს აყრის, აპოხიერებს მიწას.

აშენება /გააშენება – 1. აშენებს სახლს; 2. ბაღი გააშენა.

მაგოდენა /მაგდენი – 1. სიდიდის გამომხატველი ნაცვალსახელი;

2. რაოდენობის გამომხატველი ნაცვალსახელი.

ღერი /ღერო – 1. ცალი; 2. მცენარის ძირითადი ორგანო.

ასანთის ღერი ;

სიმინდის ღერო.

ბევრია უცხოური წარმოშობის პარონიმებიც, რომელთა მნიშვნელობის ბუნდოვანება გამოწვეულია უცნობი სტრუქტურით.

კონსონანსი /კონსონანტი – 1. რამდენიმე ბგერის ჰარმონიული შეხამება;

2. თანხმოვანი ბგერა.

კონვენცია /კონვენცია – 1. შეთანხმება, ხელშეკრულება. 2. მიტანა, მიზიდვა.

ინფორმატიკა /ინფორმაცია – 1. მეცნიერება გამომთვლელი მანქანების (კომპიუტერი) საშუალებით ინფორმაციის დამუშავების შესახებ; 2. ამბავი, შეტყობინება.

ინტერპელაცია /ინტერპოლაცია – 1. პოლიტ. პარლამენტის წევრის შეკითხვა მთავრობის მიმართ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით; 2. ფილოლ. მინაწერი ლიტერატურული ძეგლის ტექსტში (გადამწერის ან მკითხველის მიერ); მათემ. შუალედურ წევრთა ჩართვა საძიებელ სიდიდეთა ნამდვილი მნიშვნელობის გამოსარკვევად.

თემატური კავშირის მქონე დისტანციური პარონიმებია:

ვერცხლისა /მოვერცხლილი – ვერცხლის სამაჯური / ვერცხლით დაფარული.

ფაბრიკანტი /ფაბრიკატი – 1. ფაბრიკის პატრონი; 2. მზა საფაბრიკო ნაწარმი.

თემატური კავშირის არმქონენი:

ფორმულა /ფორმულარი – ქიმიური ფორმულა / წიგნის ფორმულარი.

ფორმანტი /ფორმატი 1. გრამატ. მაწარმოებელი აფიქსი; 2. წიგნის ფურცლის ზომა; პოლიტ.გადატ. პირობები.

მაწარმოებელი ფორმანტები ;

მცირე ფორმატი.

დაწვრილებით /დაწვრილმანებით 1. ყველა წვრილმანის გათვალისწინებით, დეტალურად; 2. დაქუცმაცებით, წვრილმანების გამოდევნებით.

მჟავა /მჟავე 1. აზოტის მჟავა; კომბოსტოს მჟავე.

ნატურალური /ნატურალისტური 1. ბუნებრივი; 2. ნატურალიზმისთვის დამახასიათებელი.

საშუალო /საშუალო 1. საშუალო გვარი; 2. საშუალო არითმეტიკული.

სახალხო /ხალხური 1. სახალხო გმირი, სახალხო მოძრაობა; 2. ხალხური (ფოლკლორი) პოეზია, ცეკვები.

საწვიმარი /საწვიმური 1. წყალგაუმტარი; წვიმის წყლის სადენი. 2. შენობის სახურავზე გაკეთებული თუნუქის ძაბრი, საიდანაც ჩადის დაგროვებული წვიმის წყალი.

სახელო/სახელური 1. პიჯაკის სახელო; 2. კარის სახელური.

5. 4. პარონიმთა ტიპების შეპირისპირებითი კვლევა ფრანგულ და ქართულ ენაში

პარონიმთა სემანტიკური ტიპების კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი პრაგმატისტული ფუნქციები, მეტყველებაში ფუნქციონირების თავისებურებები, განვსაზღვროთ სუბსტიტუციური მოდელები, პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები. როგორც ფრანგულში, ისევე ქართულ ენაში იკვეთება პარონიმთა სამი ჯგუფი: სინონიმური, კონტაქტური და დისტანციური. კლასიფიკაცია ეყრდნობა სემანტიკურ თანაფორდობას. სინონიმური, კონტაქტური და დისტანციური პარონიმების ქვეჯგუფების არსებობა მიუთითებს პარონიმის კავშირზე სინონიმასთან, ანტონიმასა და ომონიმის ლექსიკურ კატეგორიებთან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული ენის პარონიმთა ეტიმოლოგიური კვლევები ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეტად მწირია, ახსნა მოემდებნება ნაშრომში ქართულ პარონიმთა ეტიმოლოგიური ცნობების ნაკლებობას.

შეპირისპირებითი მეთოდის საფუძველზე გამოვყოფთ პარონიმთა საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს ფრანგულსა და ქართულ ენებში.

საერთო ნიშნები:

სინონიმური პარონიმები

pluvial / pluvieux – წვიმიანი / ნაწვიმარი,

odorant / odoriférant – სურნელოვანი / კეთილსურნელოვანი,

granuleux / grenu – მარცვლოვანი / უხვმარცვლოვანი,

biennal / bisannuel – ერთწლიანი / ერთწლოვანი.

საერთო ფუძის მქონე, დერივაციული ტიპის ლექსემებია, ხასიათდებიან მნიშვნელობის განსაკუთრებული სიახლოვით. გააჩნიათ სუბსტიტუციური კომპონენტები, თუმცა მათი სუბსტიტუციები გვერდს ვერ უვლიან გარკვეულ სემანტიკურ-სტილისტიკურ მოდიფიკაციებს, ურთიერთასიმეტრიულნი არიან. ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით მათი ჩანაცვლება კონოტაციური მნიშვნელობების ტრანსფერებსა და პოლისემანტური მნიშვნელობების არსებობას ემყარება.

კონტაქტური პარონიმები

spécial / spécifique – სპეციალური / სპეციფიკური;

électronique / électrique - ელექტრონული / ელექტრული;

humain / humaniste / humanitaire - ჰუმანური / ჰუმანისტური / ჰუმანიტარული

ერთი ფუძის, საერთო სემანტიკური ველის მქონე დერივაციული ტიპის ლექსემებია, ხასიათდებიან დენოტაციური სიახლოვით. არანორმატიულია მათი სუბსტიტუცია, რომელიც მცდარ ფორმალურ-ლექსიკურ მსგავსებას ემყარება. ინარჩუნებს სემანტიკურ კავშირს, რაც ორი ფორმით გამოიხატება: ცნებითი მსგავსება და ცნებითი მომიჯნავეობა.


დისტინქტიური პარონიმები

informatique / information - ინფორმატიკა / ინფორმაცია;

formule / formulaire - ფორმულა / ფორმულარი;

consonance /consonant - კონსონანსი /კონსონანტი.

ძალიან სუსტი, ან ნულოვანი სემანტიკური კავშირი გააჩნიათ, მიუღებელია ურთიერთჩანაცვლება. დიდი ნაწილი სემანტიკური კავშირების განსაზღვრას დიაქრონიაში აღწევს. მისი ვარიანტები პოლისემანტურობის რღვევას განაპირობებს. დისტინქტური პარონიმები ეყრდნობა ორი სიტყვის უზუალურ-ფონეტიკურ სიახლოვეს. სქემა 8.



ამრიგად, თითოეულ ჯგუფში მოცემულია აზრობრივი კავშირების ვარიაციები (სქემა 7). მათი ურთიერთმიმართებები შეიძლება ემყარებოდეს როგორც გარეგნული ფორმის მსგავსებას, ისე სემანტიკურ სიახლოვესაც. გვაქვს ფუნქციურად დიფერენცირებული პარონიმებიც: *électronique /électrique - ელექტრონული /ელექტრული*; მნიშვნელობის მოცულობით განსხვავებული ფორმებიც: *granuleux/grenu – მარცვლოვანი/ უხვმარცვლოვანი*, ან გააჩნიათ სხვადასხვა ვალენტური მიმართებები *compréhensible / compréhensif - გასაგები/გამგებიანი*.

პარონიმია კომპლექსური ენობრივი მოვლენა, რომლის არსებობის ძირითადი საფუძველი ნიშნის ბინარულობაა (ორსახოვნება – გამოხატულებისა და შინაარსის პლანი), მისი განმსაზღვრელია ფონეტიკური მსგავსება. ენაში ანალოგიის ფენომენის არსებობა სემანტიკურ-ფონეტიკური კორელატების თანაარსებობას მოიცავს. ლექსიკური ინტერფერენცია არის საფუძველი მსგავსი ფუძის სიტყვების

აღრვეისაც და მათი მიზანმიმართულად (სტილისტიკური მიზნებით) გამოყენებისაც. პარონიმები სემანტიკურად უკავშირდება სინონიმებს, ომონიმებს, ანტონიმებს და პოლისემანტურ ლექსემებს. ორივე ენაში ის პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებებით განისაზღვრება. ყოველივე ზემოთქმული შეგვიძლია პარონიმის უნივერსალიებად მივიჩნიოთ და ერთ სისტემურ რგოლში გავაერთიანოთ. ბუნებრივ ენათა ლინგვისტური უნივერსალიების არსებობა განპირობებულია ენის ზოგადი ფუნქციებითა და ფსიქო-ფიზიოლოგიური სუბსტრატებით.

ენობრივი ერთეულების ორმაგი – ფუნქციურ-ფორმალური თავისებურებების მიხედვით ენის სტრუქტურის ასაღწერად გამოიყოფა ორი პირობა: 1. “ფუნქციური ურთიერთქმედება“ და 2. „ფორმალური ურთიერთქმედება“ (თანამედროვე ენათმეცნიერების,...2009:11). ფრანგულ და ქართულ ენებში ეს ურთიერთქმედებაც მსგავსი ნიშნებით გამოიხატება.

სემიოლოგიური ანალიზის საშუალებით დავაზუსტეთ და თვალსაჩინოდ გამოვიტანეთ პარონიმულ ლექსემათა სემების დიფერენციაცია. სემიოლოგიური ანალიზი ცხადად გვიჩვენებს პარონიმის პოლისემანტურ საფუძვლებს, სქემატურად წარმოაჩენს, თუ მნიშვნელობის რა სუბსტიტუციები შეიძლება განხორციელდეს მოცემულ პარონიმებში.

განმასხვავებელი ნიშნები:

რაც შეეხება განსხვავებებს, ფრანგული პარონიმია გამოირჩევა პოლიფონიური მრავალფეროვნებით, ქართული კი – მოქნილი მორფოლოგიური სტრუქტურით. ქართული ენის კაუზატივი ფრანგულში შემდეგი სტრუქტურით გადმოიცემა: *Faire+verbe* (infinitif). სიტყვათწარმოებითი პრინციპების მიხედვით ქართულში გვაქვს ბმული მორფები - *დიალექტი /დიალექტიკა, რეგულარული/რეგულირებული*; ფრანგულში – თავისუფალი: *dialecte /dialectique, réguler /régulariser*. ქართული ზმნის პოლიპერსონალური ბუნებიდან გამომდინარე, მისი გამომსახველობა უფრო ფართეა, პოლისემანტურია, ვიდრე ფრანგულისა. ფრანგული ენა ამ ფუნქციას აქტანტებისა და გარემოებების დახმარებით იკვებებს:

თხოვნა /თხოვება – prêter / emprunter.

ორ არამონათესავე ენაში შეპირისპირებითი კვლევის განხორციელების ძირითად მეთოდად გამოვიყენეთ სალექსიკონო სტატიების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით ერთ-ერთი ოპტიმალური ხერხია ადეკვატური შედეგების მისაღწევად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პარონიმთა ინტერფერენცია (იქნება ეს ერთი ენის შიგნით თუ ორი/რამდენიმე ენის მაგალითზე) ძირითადად გამოწვეულია ამ ლექსემათა განსხვავებული კორელაციური ვარიანტებით, უფრო ზუსტად კი ცრუ ფორმალურ-ფონეტიკური კორელატის არსებობით. შეპირისპირებითი კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა მსგავსი ფუძის მქონე ფრანგულ-ქართული ერთეულების სიმეტრიული და ასიმეტრიული ეკვივალენტები, რაც საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ „ცრუ მეგობრების“ სუბსტიტუციები თარგმნის პროცესში.

სტრუქტურული თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ ენებში მსგავსი ფუძის ლექსემების არსებობა, ცხადია ემყარება ერთ-ერთი ენის ტერმინოლოგიურ (ინტერნაციონალურ) ლექსიკას, ჩვენს შემთხვევაში - ქართული ენის უცხოური წარმოშობის ლექსემებს.

შიდაენობრივი და ენათშორისი ურთიერთქმედება იწვევს კონკრეტული ენის ფორმალური კორელატის არანორმატიულ ინტერფერენციას. ქართული სიტყვა→თარგმნითი ეკვივალენტი→ფორმალური კორელატი ამ მიმართების საფუძველზე დავაზუსტეთ და გამოვყავით კორელაციური ტიპები.

ინტერფერენციული პარონიმები თავს იჩენს ძირითადად ორ გარემოებაში:

1. ქართული ენის ლექსემა → ნორმატიული თარგმნითი ეკვივალენტი // ფორმალური კორელატი, რომელიც ყველა კონტექსტური მნიშვნელობით „ცრუ მეგობარია“: *ალოგიკური→illogique//alogique, დემონსტრირება montrer//démontrer.*
2. ქართული ენის ლექსემა → ნორმატიული თარგმნითი ეკვივალენტი/ ფორმალური კორელატი, რომელიც ზოგ შემთხვევაში „ცრუ მეგობარია“, ზოგში კი - ნორმატიული ეკვივალენტი, გარკვეული კონტექსტური მნიშვნელობების მიხედვით ნაწილობრივი სემანტიკური თანხვედრა ახასიათებს:

კულტურული → *cultivé /culturel*,
აბსურდული → *absurdité /absurde*,
კლასიფიკაცია → *classer /classifier*.

დასკვნები

პრონომია წარმოადგენს თანახმიერ სიტყვებს, რომელიც გამოხატულების პლანში გარკვეული მსგავსებით ხასიათდება, მსგავსი კომპონენტი გააჩნია შინაარსის პლანშიც, რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ლინგვისტურ ან ექსტრალინგვისტურ ფაქტორებად და რის გამოც პრონომები მცდარად ან მიზანმიმართულად გამოიყენება მეტყველებაში. პრონომია პარადიგმატული მიმართებების წიაღში ისახება და ვერბალურ კომუნიკაციაში ვლინდება, მისთვის დამახასიათებელი კვაზი-იდენტურობა და სემანტიკური სხვაობა ხაზს უსვამს ამ ფენომენის ბინარულ სტრუქტურას და ფუნქციურ თავისებურებებს. ეს ლექსიკური ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჰომორგანული და ჰეტერორგანული ბგერებით. პრონომულ ატრაქციას ხშირად მცდარად აიგივებენ “ხალხურ ეტიმოლოგიასთან”. მეტყველებისთვის დამახასიათებელ სპონტანური შეცდომის ე.წ. “lapsus lingua” განხილვის შედეგად ეს ფენომენი შეგვიძლია მივიჩნიოთ პრონომიის ერთ-ერთ გამოვლინებად.

პრონომიას, როგორც მეტყველებისთვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენას, კომუნიკანტები იაზრებენ სემანტიკურად შეთავსებად მსგავსი ფორმის მქონე სიტყვებად. პრონომულ წყვილთა სემანტიკურ სიახლოვეში მოცემულია ორი ნორმატიული ერთეულის ურთიერთქმედების საერთო პრინციპი, მასში შემავალი კომპონენტები გამოდიან პრონომული ატრაქტორისა და პრონომული დონატორის (მიმღებისა და გამცემის) როლში. ატრაქტორი თავის წილ მნიშვნელობას გადასცემს მეწყვილეს. პრონომთა აღრევა შეგვიძლია შევაფასოთ როგორც ლექსიკური ინტერფერენციის პროცესების ერთ-ერთი გამოვლინება.

ინტერფერენციის ორმაგი ბუნების შესწავლა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ჩვენ შევეცადეთ ზედმიწევნით განგვეხილა პრონომთა (შიდაენობრივი და ენათშორისი) მაგალითები და შესაბამისი დასკვნები გამოგვეტანა. ამრიგად, პრონომთა არანორმატიული გამოყენება, რაც გამოწვეულია ინტერფერენციის ფაქტორით, შესაძლებელია როგორც ერთი ენის შიგნით (შიდა ენობრივი

ინტერფერენცია), ისე რამდენიმე ენის ფარგლებში (ენათშორისი ინტერფერენცია, „ცრუ მეგობრები“). ამ თვალსაზრისით, ინტერფერენციის მექანიზმი ვრცელდება ფუნქციურად მსგავს ორ -სამ ლექსემაზე მშობლიურ ან უცხო ენაში.

ინტერფერენციული ფენომენის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს ორ სტრუქტურულად მსგავს ან განსხვავებულ ენებში. ექსტრალინგვისტური ფაქტორი ძირითადად მოქმედებს სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში, სადაც გასათვალისწინებელია ორი ენის მცოდნე ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურებები. ზოგადად, უცხო ენის გაცნობიერება ეტაპობრივად მიმდინარეობს და საბოლოოდ, სიტყვათა გამოყენება კოორდინირებულად, მიზანმიმართულად ხორციელდება. უკვე გარკვეულ ეტაპზე უცხო ენაზე საუბრისას, ბილინგვი ახდენს მშობლიური ენის მექანიზმების ერთგვარ ბლოკირებას, მცირდება ინტერფერენციული ზეგავლენა. ბილინგვი ინდივიდის ფონეტიკურ-სემანტიკური ასოციაციების თანაკვეთა იწვევს მშობლიური ენის თუ ენათშორისი ინტერფერენციების გამოვლენას. სწორედ ამის საფუძველზე ვადგენთ ორ ენაში არსებულ კორელაციურ ლექსემებს (*პროცესი*→*procès /processus*, *ინსტიტუტი*→*institut /institution*, *იზოლაცია*→*isolement /isolation*) და მათ „ცრუ მეგობრებს“.

ინტერფერენციული მოდელების ურთიერთკავშირი და მიზიდულობა გამომდინარეობს არამარტო მათი ფუნქციური თავისებურებებიდან, არამედ მსგავსი სემიოტიკური ბუნებიდან. ინტერფერენციული აღრევა, როგორც ენის სემიოტიკური სისტემის ნაწილი, ემყარება სიტყვათა ასიმეტრიულობას. ასიმეტრიულობა თავს იჩენს ცალკეული ენის შესწავლისას (სტატიკური ასიმეტრია), ენათა შედარებისას (ნაწილობრივი ასიმეტრია) და ენათა დიაქრონიული ასპექტების კვლევისას (დინამიური ასიმეტრია) (პანომარიოვა, 2008:75).

შეპირისპირების საფუძველზე გამოხატულების პლანში გამოვლინდა კორელაციურ ლექსემათა სიმეტრიულობა (ეკვივალენტურობა) და ასიმეტრიულობა (არაეკვივალენტურობა). ფრანგულ-ქართული კორელატების მნიშვნელობათა ეკვივალენტურობა, რომელიც მოიცავს იმ შემთხვევებსაც, როცა შეპირისპირებულ ერთეულთა მნიშვნელობის მოცულობა არ ემთხვევა ერთმანეთს (ფრანგული სიტყვის

მნიშვნელობა ითავსებს (უფრო ფართოა) ქართულისას, ან პირიქით). განსაკუთრებით ხელსაყრელია ის შემთხვევები, როდესაც ფრანგული ენის ლექსემა მოიცავს ქართული ეკვივალენტის მნიშვნელობებს, ეს თავიდან გვაშორებს თარგმნის დროს არსებულ სირთულეებს. ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით ნორმატიულ ჩანაცვლებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ლექსიკონში მოცემულია ერთადერთი ფონეტიკური კორელატი: *ავიაცია – aviation, ავტორიზაცია – autorisation, ვაკანტური – vacant, გეპარდი – guépard, ოპოზიცია – opposition, პარალელური – parallèle* და ა.შ.

პარონიმთა აღრევას შესაძლებელია გააჩნდეს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ხასიათი. აღრევის დადებით ხასიათში ვგულისხმობთ პარონიმთა მიზანმიმართული გამოყენება, რომლის დროსაც ისინი გარკვეულ ეფექტს ქმნიან (სტილისტიკური ხერხი). პარონიმთა ფუნქციონირების პროცესში ლექსიკურ ერთეულთა აღრევა კი ზოგჯერ უნებურად ხორციელდება. პარაფაზია (პარონიმთა აღრევით გამოწვეული შეცდომა) ამახინჯებს აზრს და შესაბამისად, უარყოფითი ეფექტის მქონეა. ის ვლინდება მოსაუბრის მიერ აზრის გამოხატვის უზუსტობაში და აღქმის სირთულეებთან არის დაკავშირებული.

პარონიმია სიტყვაწარმოებითი პროცესებისა და სხვადასხვა აფიქსების მქონე ლექსიკური ერთეულების თანაკვეთის შედეგად ვლინდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფორმანტები, რომლებიც ლექსიკურ ერთეულს განსხვავებულ აზრობრივ შეფერილობას ანიჭებს ან სრულიად ახალ მნიშვნელობას აწარმოებს. პარონიმთა მორფემულ ანალიზში განვიხილეთ ამ ლექსემათა სტრუქტურა, განვსაზღვრეთ სიტყვაში შემავალი თითოეული მორფის ტიპი, მათი თანმიმდევრობა და ფონემური მოდიფიკაციები. სიტყვაწარმოებითი პროცესების შედეგად მიღებულ პარონიმებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1.მარტივი და 2.რთული პარონიმები. მორფემული სტრუქტურის მიხედვით კი არსებობს პარონიმთა შემდეგი ტიპები: ფუძისეული და აფიქსალური (პრეფიქსალური და სუფიქსალური).

წარმოგიდგინთ პარონიმთა სისტემური კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს:

1. **პარონიმთა პრაგმატიკულ-კომუნიკაციური მნიშვნელობა** მდგომარეობს მათ განზრახ აღრევაში, რაც ემსახურება საავტორო ინტენციების გამოხატვას, პრაგმატიკული ფუნქციების (კომიკური, პოეტური, საავტორო) რეალიზაციას.

2. პარონიმთა საკუთარი საზღვრები აქვს **სინონიმური, ომონიმური და პოლისემანტიური მნიშვნელობების** მიმართ:

ა) ომონიმებისთვის დამახასიათებელი ფორმალური იგივეობა და სემანტიკური განსხვავება;

ბ) პოლისემანტურობა ფორმალური მსგავსებითა და აზრობრივი თანაფარდობით გამოიხატება;

გ) სინონიმური კავშირები ფორმალურ განსხვავებებსა და მნიშვნელობათა ერთიანობას მოიცავს;

3. პარონიმული წყვილები მოიცავს სინონიმის, ანტონიმის, პოლისემიისა და ომონიმის კავშირთა სინთეზს.

4. **მორფოლოგიური თვალსაზრისით**, პარონიმები შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილს: მშვიდად/მშვიდი, დიდად/დიდი, bien/bon.

5. **ლექსიკური თვალსაზრისით**, პარონიმები ერთი და იმავე მეტყველების ნაწილებს წარმოადგენენ: არსებითი სახელი:

N : N, ზედსართავი სახელი: A : A, ზმნა: V : V;

6. **პარონიმთა სემანტიკური ტიპების** კლასიფიკაციის საფუძველზე დავადგინეთ მათი პრაგმატისტული ფუნქციები, მეტყველებაში ფუნქციონირების თავისებურებები, განვსაზღვრეთ სუბსტიტუციური მოდელები, პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები.

7. **სინტაქსური თვალსაზრისით**, პარონიმები ცალკე ჯგუფს შეადგენს. ამ ტიპის პარონიმული ერთეულები წარმოადგენენ ფრაზებს, გამოთქმებს, მოდელის ანალოგიურად შედგენილ ფრაზემებს.

8. **ფუნქციური თვალსაზრისით**, პარონიმები რელევანტური მიმართებებით ხასიათდება. რელევანტური პარონიმების პრაგმატისტული ფუნქცია გამოიხატება მათ უნებლიე ან განზრახ აღრევაში. კომუნიკანტთა მიერ ინფორმაციის მცდარი

კოდირება პარონიმთა უნებლიე აღრევაა, ენის ნორმატიული სისტემის დარღვევაა, ხოლო წინასწარგანზრახული, მიზნობრივი გამოყენება, ავტორთა მიერ ენის რესურსით მანიპულირება სტილისტიკური ეფექტების შექმნას ემსახურება.

9. **პარონიმთა პოეტური ფუნქცია** მეტყველებას ექსპრესიულობას, ემოციურობასა და ესთეტიკურ ღირებულებას მატებს.

ამგვარად, პარონიმია ღრმა და საინტერესო ენობრივი მოვლენაა. მისი კვლევა მოიცავს სინქრონიასა და დიაქრონიას, ხალხურ ეტიმოლოგიას, ადგენს ენის ნორმატიულ საზღვრებს, მას შეისწავლის სტილისტიკაც. როგორც ერთ-ერთი წამყვანი რიტორიკული ფიგურა, მონაწილეობს ენის ლექსიკის გამდიდრებაში. მისი შესწავლა აადვილებს ლექსიკურ ერთეულთა სწორ გამოყენებას, აწესრიგებს მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას. კონცეპტების მეცნიერული ანალიზი, რის შედეგადაც შევძელით მიგვეღწია დასახული მიზნისთვის, განხორციელდა ლექსიკოლოგიურ, ლექსიკოგრაფიულ, სემანტიკურ, სემიოტიკურ, ფსიქოლინგვისტურ კონცეფციებზე დაყრდნობით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ ქართულსა და ფრანგულ ენებს შორის ინტერფერენციული ლექსემების მეცნიერულად დასაბუთებული კვლევა არ მოიპოვება. ჩვენი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პარაფაზიის მიზეზები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა - როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორით.

ფრანგულ-ქართული კორელაციების კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა თარგმნის დროს დაშვებული ტიპობრივი შეცდომები, დაგვედგინა შესაბამისი თარგმნითი ეკვივალენტები და ცრუ ფონეტიკური კორელატები. გამოყენებული მეთოდებისა და მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლებელია შემდგომი ენათშორისი ლექსიკურ-მორფოლოგიური ინტერფერენციების კვლევა.

პარონიმული აღრევის სპეციფიკა უცხო ენაში უკავშირდება ამ ენისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ თავისებურებებს, მის შეთავსებას მშობლიური ენის სტრუქტურასთან, ნორმათა რელევანტურობას, ხოლო მშობლიურ ენაში -

ფონეტიკურ სიახლოვეს, სემანტიკურ შესაბამისობას, რაც გამოიხატება სინონიმურ, კონტაქტურ და დისტინქტურ მიმართებებში.

პარონიმთა ზოგადი ნიშანი, მშობლიურ თუ უცხოურ ენაში, ემყარება სემიოტიკურ ხასიათსა და ენობრივი ნიშნის ასიმეტრიულ ბუნებას.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. არაბული ა. “ქართული მეტყველების კულტურა” გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი. 2008.
2. ახვლედიანი ც. “ფრანგული ენის ისტორია” “მედეა”, თბილისი. 2008.
3. ბრეგაძე კ. “ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები”, თბილისი. 2009.
4. გამყრელიძე თ. კიკნაძე ზ. შადური ი. შენგელაია ნ. “თეორიული ენათმეცნიერების კურსი”, თსუ, თბილისი. 2008.
5. დოლიძე ნ. „მასდარისა და აწმყოს ფუძის ურთიერთმიმართებისათვის ახალ ქართულში“, ავტორეფერატი, ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003, 44 გვ.
6. იმნაიშვილი ი. იმნაიშვილი ვ. „ზმნა ძველ ქართულში“, ნაწილი II, მაინის ფრანკფურტი. 1996.
7. მინდაძე ი. „ფსიქოლინგვისტიკა“ არეტე, თბილისი. 2009.
8. რუსთაველი შ. “ვეფხისტყაოსანი”. თბილისი. 1986.
9. საერთაშორისო კონფერენციის “მრავალენოვნება და უცხოური ენების სწავლების პრობლემები საქართველოში” მოხსენებათა კრებული, თბ. ნორმა და ნორმის დარღვევა გრამატიკისა და ლექსიკის კომპლექსური სწავლებისას, მ. ჯაში გვ. 206-210. 2010.
10. სოსიური ფ. დე „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“. დიოგენე, თბილისი. მთარგმნელი ც. ბიბილეიშვილი. 2002.
11. სურგულაძე ნ. “რომანული ფილოლოგია” გამომცემლობა “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” ბათუმი. 2009.
12. ტაბიძე გ. „ლექსები“, პოეზია პალიტრა L, თბილისი. 2011.
13. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი XI, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი. 1998.
14. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი XII, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი. 1981.

15. ჩიქობავა ა. "ენათმეცნიერების შესავალი" თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2008.
16. ცეცხლაძე ნ. „მიმღეობა ძველ ქართულში“ ბათუმის უნივერსიტეტი, 2006.
17. ცხადაძე ბ. „მასდარის წარმოება ძველ ქართულში“, მეცნიერება, თბილისი. 1984.
18. წერეთელი ა. „ლექსები“, ტ I თბილისი. 1965.
19. ჯაში ქ. “ფრანგული და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია”. Lingua Plus, თბილისი. 2003.
20. „ხალხური სიბრძნე - ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები“, ტ.V, ნაკადული, თბილისი. 1965.
21. „Actes du VI^e Congrès International des Linguistes“. Paris. 1984.
22. Aino N-S. „La lexicologie”, Armand Colin, Paris. 1997.
23. Argod-Dutard F. “Eléments de phonétique appliquée ”Armand Colin. 1996.
24. Bailly S. « Le meilleur des jeux de mots », Paris. 2006
25. Bastin J. „Le Verbe dans la langue française; Etude Historique“ Part 1: Lexicologie (1896) 1987
26. Bastin J. „Traité des homographes, homonymes, paronymes et doublets de la langue française avec leurs significations en russe et indication de leurs racines“. Saint-Petersbourg. 1979.
27. Baylon Ch. Xavier M. “Initiation à la sémantique du langage” Nathan, Paris. 2000.
28. Bidois R. “Les mots trompeurs ou le délire verbal”, Hachette, Paris. 1970.
29. Bissardon S. „Guide du langage juridique“. Paris, Lexis. 2005.
30. Borel P. „Français plus précis et plus riche. Homonymes, paronymes, antonymes“ P. 1990.
31. Brunot F. “La pensée et la langue”, Que sais-je?, Paris. 1922.
32. C. Vautel “Mon Curé chez les riches” éd. Albin Michel, Paris. 1947.
33. Chanine Ch., Ghavimi M., „Versification française et genres poétiques“ SAMPT. 1994.
34. Chateaubriand F. A. „Génie Du Christianisme“ V2, Kessinger Publishing , 2010.

35. Chauveau J-P. „Discours étymologiques des locuteurs, des militants, des linguistes: à propos des rapports du gallo et du breton“, in Chambon&Ludi. 1991.
36. Chosson M. " Parlez-vous la langue de bois ? " Petit traité de manipulation à l'usage des innocents, Points, Paris. 2007.
37. Colignon J.-P. et Berthier P.-V. „Pièges du langage. Homonymes, paronymes, "faux amis", singularités...“ . Paris, Gembloux. 1979.
38. CORBIN, D. „Morphologie dérivationnelle et structuration du lexique“, Tübingen, Niemeyer. 1987.
39. Darmesteter A. “Cours de grammaire historique de la langue française” III, Delegrave, Paris. 1895.
40. Darskis, J. Der Begriff „Valenz und sein Beitrag zur exakten Definition mancher Wortarten“. In: Dependenz und Valenz. Band 10. Hamburg: „Helmut Buske Verlag“. 1995.
41. Dauzat A. „Le genre en français moderne “ : N° 3. P. 194. 1973.
42. Dell Gary S. „Speaking and Misspeaking , Language“. An Invitation to Cognitive Science. Vol. I. The MIT Press. Cambridge, Massachusetts. P. 183-208. 1995.
43. Duneton C. “La puce à l'oreille”, Anthologie des expressions populaires avec leur origine. Stock, Paris. 1978.
44. Fontanier P. „Les figures du discours“ , Paris. 1968.
45. Forstemann E., „Über deutsche Volksetymologie“, Kuhn's Ztschr. f. vergl. Sprachforschung, I. 1852.
46. Frei H. „La grammaire des fautes“. Librairie Paul Geuthner, Paris, 1929.
47. Greimas ”Du sens”, Seuil, Paris. 1970.
48. Grevisse M. „Nouveaux exercices français“ Livre du maître. Paris, Gembloux. 1897.
49. Grote G. „Aristotle“, New York : Arno Press. 1973.
50. Guillemard C. “La Fin des haricots et autres mystères des expressions françaises”, Bartillat, Paris.2002.
51. Guiraud P. “Structures étymologiques du lexique français”, Payot. 1986.
52. Hamon A. “Les mots du français”, Hachette, Paris. 1992.

53. J. Racine „Phèdre“ I, 3. éd. Libro, Paris. 2003.
54. Jacobson R. „Linguistique et poétique“, *Essais de linguistique générale*, Minit, Paris.1963.
55. Koessler M., Derocquigny J., „Les faux amis ou les trahisons du vocabulaire anglais. Conseils aux traducteurs“. Vuibert, Paris. 1928.
56. La Sémantique, Nyckces, Belin, Paris. 1998.
57. Lehmanne A. Martin-Berthet F. „Introduction à la lexicologie, sémantique et morphologie“, Armand Collin, Paris. 2008.
58. Leon N.-F. „La politesse de la langue française pour parler purement et écrire nettement“. 3^e ed. Lyon. 1668.
59. "Le langage, nature, histoire et usage" . éd. Sciences Humaines. 2001.
60. Marouzeau J. “ Précis de stylistique française“ Masson, Paris. 1959.
61. Martinet A. „Éléments de linguistique générale“, Paris, Colin, Chap. 4: Les unités significatives, I: L’analyse des énoncés, p. 101-107. 1967.
62. Maupassant Guy de. Bel-Ami. Éditions Gallimard, Paris. 1973.
63. Molière „L’École des femmes“, Libro, Paris. 2003.
64. Novalis: „Schriften „ Bd. II, Stuttgart. 1977.
65. Nyckées V.”La sémantique” Collection sujets, Paris Belin. 1998.
66. Owens J. “Aristotle on Categories” *The Review of Metaphysics*, XIV Paris. 1989.
67. Pennac D. „La petite marchande de prose“, Gallimard, Paris. 1997.
68. Poitevin P. „Étude méthodique et raisonnée des homonymes et des paronymes français.“ Hachette, Paris. 1908.
69. Rey-Debove J. “La linguistique du signe” Une approche sémiotique du langage, Armand Colin, Paris. 1998.
70. Rossi M., Peter-Defare E. „Les lapsus ou comment notre fourche a langue.“ PUF, P. 1998.
71. Saussure F. de „Cours de linguistique générale“, Payot. 1967.
72. Ullmann S. “Sémentation et étymologie”. *Cahiers de l’Association internationale des études françaises*. N°11. P. 323-335. 1959.

73. Verlaine P., « Romances sans paroles », Gallimard, Paris.1974.
74. Voltaire, „Dictionnaire philosophique“, Flammarion, Paris. 1993.
75. Weyl D. „Créliana №3“, Université de Haute Alsace. 2003.
76. Актуальные проблемы современного языкознания. *Studia linguistica XVIII* .Санкт – Петербург, стр.11-17. 2009.
77. Алимов В. В. „Интерференция в переводе“ (на материале профессионально ориентированной межкультурной коммуникации и перевода в сфере профессиональной коммуникации). М.: КомКнига. 2005.
78. Апресян Ю. Д. „Лексическая семантика. Синонимические средства языка“. М.: Наука. 1974
79. Ахманова О. С. „Очерки по общей и русской лексикологии“. М.: Учпедгиз.1957.
80. Балли Ш. „Общая лингвистика и вопросы французского языка“. М: Изд-во Иностранной литературы. 1995.
81. Блумфилд Л. „Язык“. Прогресс, М. с. 167-168. 1968.
82. Василяки Ч. С. „К вопросу о межъязыковой паронимии (на материале французского и молдавского языков). Функционально-семантический аспект“. Кишинев. 1989
83. Васильев Л.М. „Современная лингвистическая семантика“. Высшая школа, М. 1990
84. Васильева А.Н. „Основы культуры речи“. М: Русский язык. 1990.
85. Виноградов В. А. , “Об омонимии и смежных явлениях”. Вопросы языкознания, №5. стр. 7-12. 1960.
86. Виноградов В. А. „Стратификация нормы, интерференция и обучение языку. Лингвистические основы преподавания языка“, М.: Наука, стр. 44-65.1983.
87. Вишнякова О В “Паронимы современного русского языка” Русский язык, М. 1987.
88. Гак В. Г. „Семантические основы парафазии в нормальной речи“ Психолингвистика и обучение иностранцев русскому языку. М.: МГУ. 1972.
89. Гак В. Г. „Языковые преобразования“. М.: Школа «Языки русской культуры». 1998.
90. Голуб И.Б., «Русский язык и культура речи»-учебное пособие, «Логос», М. 2003.

91. Залевская А. А., „Слово в лексиконе человека: психолингвистическое исследование“. –Воронеж. стр.14-22. 1990.
92. Залевская А.А., „Психолингвистические исследования. Слово. Текст.“ Избранные труды. – М.: Гнозис. 2005.
93. Карцевский С. И. „Об асимметричном дуализме лингвистического знака“. Т. 2. М.: Языки славянской культуры. 2004.
94. Карцевский С. И. „Система русского глагола“ Т. 2. М.: Языки славянской культуры. 2004.
95. Кравченко А.В. „Язык и восприятие: Когнитивные аспекты языковой категоризации“. – Иркутск: Изд. Иркут. гос. ун-та, (2-е исправл. издание). 2004.
96. Кузнецова И Н “Теория лексической интерференции”. Москва. 1988.
97. Кузнецова И. Н. „О лексической-интерференции в одном и в разных языках.“ Вестник Московского университета. Серия 9. Филология. М.: МГУ, № 1 стр.25-41. 1990.
98. Кузнецова И. Н. Т. “Паронимия в современном французском языке”. Автореферат. Работа выполнена на кафедре романской филологии, МГУ, им.
99. Лебедев С.В. „Синонимы или проксонимы?“ – Курск: Изд-во Курского пед. ун-та. 2002.
- 100.Лебедева С.В. „Интегративная модель близости значения слов“ Вопросы психолингвистики. № 5 стр. 27-30. 2007.
- 101.Лебедева С.В., „Человек и слово“. Ученые записки КГУ. Серия гуманитарные науки. № 1. стр. 14-19. 2004.
- 102.М. В. Ломоносова, Москва. 1977.
- 103.М. В. Ломоносова, Москва. 2008.
- 104.Морару, Л. И. „Паронимия членимых слов в современном французком языке“ Автореферат. Работа выполнена на кафедре романской филологии, Минск. 1984.
- 105.„Общая лингвистика и вопросы французского языка“. М.: Иностр. Лит 1973.

106. Пешковский А. М., “Методика родного языка”, лингвистика, стилистика, поэтика. Москва. 1925.
107. Пономарева В., “Паронимическая ошибка во французском языке”. диссертация. Работа выполнена на кафедре романской филологии, МГУ, им.
108. Пономаренко Т. Г. „Семантическая характеристика однокорневых глаголов современного русского языка“. Автореф. дис. ...канд. филол. наук. Л. 1971.
109. Соссюр Фердинанд де. „Курс общей лингвистики“ М.: Едиториал УРСС. 2004.
110. Степанов Ю. С. „Основы общего языкознания“ Просвещение, Москва. 1975.
111. Халифман Э. А., Макеева Т. С., Раевская О. В., „Словообразование в современном французском языке“, Высшая школа, Москва. 1983.
112. Шмелев А. Д. “Языковая концептуализация мира“. М., 1997.
113. Щерба Л. В., „К вопросу о двуязычии“ Языковая система и речевая деятельность. М.: Едиториал УРСС., С. 313 - 318. 2004.
114. Языковых единиц разных уровней, Романо-германская филология. Кишинев, С. 124-129. 1986.
115. Язык. текст. Культура. Санкт Петербург, Studia Linguistica XVI. стр. 36-40. 2007.

ლექსიკონები

116. აფრიდონიძე შ. ვაშაკიძე თ. მაღრაძე მ. ... “ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი” თბილისი. 2011.
117. თოფურია ვ. გიგინეიშვილი ი. „ქართული ენის ортоგრაფიული ლექსიკონი“ განათლება, 1968.
118. კლდიაშვილი ნ. კლდიაშვილი ლ. ქართველი რ. "საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი" იმედი, თბილისი. 2010.
119. ჯოლია გ. “უცხო სიტყვათა ლექსიკონი” ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2008.
120. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I I, მერიდიანი. 2010.
121. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, მერიდიანი. 2008.

122. „A la découverte de notre langue“, André Hinard, Christine Lamotte, Magnard, P. 1989.
123. Brachet A. „Dictionnaire des doublets ou doubles formes de la langue française " Librairie A. Franck, Paris. 1868.
124. „Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française“. Dictionnaire Le Robert. VUEF 1994-2003. Version 1.6. 2003.
125. „Dictionnaire des difficultés de la langue française“, Larousse, P. 19971.
126. „Dictionnaire des rimes et assonances“, Le Robert. 2006.
127. „Dictionnaire des synonymes“. Dictionnaire Le Robert. 1992.
128. „Le petit Littré“, La Pochothèque, Paris. 1990.
129. „Trésor de la Langue française informatisée“ . CNRS EDITIONS. 2004.
130. Bertrand J. „Dictionnaire pratique des faux frères“. Moscou, Vyssaja skola. 1983.
131. Bonnaffé, E. " L'Anglicisme et l'anglo-américanisme dans la langue française " dictionnaire étymologique et historique des anglicismes. Paris. 1920.
132. Colignon J-P. "Étonnantes étymologies" Les Dicos d'Or de Bernard Pivot, Albin Michel, Paris. 2004.
133. Corbeil J.-C, Archambault A. „Dictionnaire Visuel“. Éditions Fontaine. 1997.
134. Cornu G. „Vocabulaire juridique“ PUF, Paris. 2005.
135. Ducrot O. Todorov T. " Dictionnaire encyclopédique des sciences du langage", Seuil, P. 1972.
136. Hanse J., Blancpain D. „Nouveau dictionnaire des difficultés du français moderne“. 4^e ed. De Boeck Duculot. Paris. 2000.
137. Lacroix U. „ Dictionnaire des mots et des idées“. Nathan, P. 1967.
138. Maloux M. „Dictionnaire des proverbes, sentences et maximes“. P, Librairie Larousse. 1960.
139. O. Bloch, Wartburg W. „Dictionnaire étymologique de la langue française“ PUF. 1966.
140. Picoche J. "Dictionnaire étymologique du français", Le Robert, Paris. 2009.
141. Robert. „Dictionnaire“ Le Robert, Paris. 1996.

142. SOED, „The Shorter Oxford English Dictionary on Historical Principles“. Oxford: Oxford University Press. 1984.
143. Thomas A. V. „Dictionnaire des difficultés de la langue française“. Hachette, Paris. 1956.
144. "Verbes paronymes franco-russes", Corpus raisonné. Specimina slavica Tolosae, Département de Slavistique de l'Université de Toulouse le Mirail, Toulouse. 1998.
145. Ахманова О. С. „Словарь лингвистических терминов“, Москва. 1966.
146. Бельчиков Ю. А. Панюшева М. С. “ Словарь паронимов современного русского языка”, Русский язык, Москва. 1994.

ელექტრონული რესურსი

